საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ზ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების
ისტორიის ინსტიტუტი

ციალა გაგაშვილი

ზედა ვარძია

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1985

72(С 41)1
85,113(2 Г)Г
72(47.922(09)
ბ 123

მონოგრაფია ეხება ქართული ხელოვნების ერთ-ერთ საინტერესო ძეგლს — ასპინძის რაიონის სოფელ ზედა ვარძიის ღვთისმშობლის სახელობის ორნავიან ეკლესიას. მასში დაწერილებითაა განხილული ძეგლთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

ძეგლის გეგმის ხასიათის, მისი არქიტექტურულ-სტილისტური ანალიზისა და პალეოგრაფიული მასალის შესწავლის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა, რომ ზედა ვარძიის ეკლესია X ს. ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება.

ნაშრომს ერთვის საინტერესო საილუსტრაციო მასალა.

Le livre est dédié à l'église de Zéda Vardzia, comme à un monument original, et intéressant au point de vue artistique, de l'époque marquant l'épanouissement de l'architecture géorgienne. L'analyse architecturale et artistique du monument et l'analyse paléographique de l'inscription permettent de rattacher l'édification de l'église à la limite des Xe—XIe siecles.

ბ $\frac{4902020000}{М\ 607\ (06)—85}$ 207—84 © გამომცემლობა „მეცნიერება", 1985

გუმღვნი ლევან (ლენკო) მუსხელიშვილის ნათელ ხსოვნას

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ასპინძის რაიონში, ვარძიის გამოქვაბულთა კომპლექსის ჩრდილო-დასავლეთით, „ზედა ვარძიის“ ხევში, მდებარეობს ნასოფლარი ზედა ვარძია. „ზედა ვარძიის“ ხევი, ვარძიის ზემოთ 2 კილომეტრის მანძილზე, მარცხნიდან ერთვის მდ. მტკვარს. ვარძიის ხიდიდან ნასოფლარამდე 4 კილომეტრია.

ნასოფლარისაკენ მიმავალი გზა ხევ-ხევ ზევით მიიწევს. ხევის მსაზღვრელ კლდეებში, ტუფის თითქმის შვეულ ქანში, აქა-იქ მოჩანს ცალკეული გამოქვაბული ან გამოქვაბულთა მცირე ჯგუფი, რომელთა ნაწილი მოსახლეობას საცხოვრებლად ჰქონდა გამოყენებული. ხევის ზედა ნაწილში, მის ორივე ფერდობზე მოწყობილ ტერასებზე, საცხოვრებელი მიწურები, ხილის ბაღები და ბოსტნები იყო განლაგებული. სოფლის თავში ზედა ვარძიის ხევს გიორგიწმინდის მცირე ხევი უერთდება. სწორედ ამ მცირე ხევთა შესართავთან, სოფლის ყველაზე მაღალ ადგილას, კლდის ძირში ხელოვნურად მოსწორებულ და გამაგრებულ კლდოვან მოედანზე არის აგებული ზედა ვარძიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია(სურ. I, ტაბ. 5,6). იგი ნასოფლარში შესვლის შემდეგ გამოჩნდება მხოლოდ. ვიწრო მყუდრო ხეობაში მოთავსებული სოფელი გზიდან საკმაოდ დაცილებულია, მსაზღვრელი ხრიოკი გორაკებით არის შენიღბული, არ ჩანს და არ ეცემა თვალში გამვლელს.

ზედა ვარძიის ეკლესიის შესახებ ცნობას ქართულ მატიანეში ვხვდებით: „ამისათჳს ჴელ-ყო აღშენებად საყოფელსა გამმარჯუებულისა მისისა ზეშთა-კურთხეულისა ვარძიის-ღმრთის-მშობელისასა, ზემო ვარძიის ქუემოვარძიით მიცვალებითა, რომელი კლდისაგან გამოკუეთა,...“ ეს არის თითქოს ერთადერთი უძველესი ცნობა ზედა ვარძიის ეკლესიის შესახებ. იგი, როგორც ეკლესიის სამხრეთ კარის ბალავრის ქვის წარწერითაც დასტურდება, ღვთისმშობლის სახელობაზე ყოფილა აგებული და თავის დროზე, ალბათ, საკმაო პოპულარობითაც სარგებლობდა.

მემატიანის ზემომოყვანილი ცნობა, ნასოფლარის მიდამოებში გამოქვაბულთა ნაშთები, კლდეში აქა-იქ მიშენებული სამალავები და თვით ეკლესიის აგების თარიღიც (X—XI ს. მიჯნა) მიგვითითებს, რომ ეს ხევი XI საუკუნისათვის უკვე დასახლებული და დამოუკიდებელი მნიშვნელობის სამოსახლო ყოფილა. შესაძლებელია, თავის დროზე, მასზე გადიოდა საქარავნო გზა, რომელიც სოფ. გიორგიწმინდაზე გავლით აგარას, ნიალას და სხვა მეზობელ სოფლებსაც აკავშირებდა ურთიერთთან[2].

---

[1] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, კ. კეკელიძის გამოცემა, თბილისი, 1941, გვ. 123.
[2] ამჟამად საშანქანო გზა ზეგანზე ნასოფლარ ახჩიის მახლობლად დის.



სურ. 1. გენგეგმა.

სოფელ ზედა ვარძიის უფრო გვიან ხანაში არსებობაზე მოგვითხრობს XVI საუკუნის ერთ-ერთი საბუთი[3]. 1595 წლის ხელნაწერში — გურჯისტანის ვილაიეთის საბეგრო დავთარში — სოფელი ზედა ვარძია დასახლებულ პუნქტთა სიაშია მოხსენიებული და დაბეგრილ ობიექტს წარმოადგენს. ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ზედა ვარძია, იმ დროისათვის (XVI ს.) ცნობილ მის მახლობლად მდებარე სოფლებს შორის (გიორგი წმინდა, ვარძია, ჭაჭკარი, ვანისქვაბი, თმოგვი, წუნდა და სხვა....), ყველაზე მცირე ყოფილა და შესაბამისად გადასახადიც ყველაზე ნაკლები ჰქონია შეწერილი[4]. მართლაც, ვიწრო და მოკლე ხევი ზღუდავდა სოფლის ფარგლებს, ზრდის და გაფართოების საშუალებას არ აძლევდა მას.

1828 წლიდან აქ გენერალ პასკევიჩის მიერ ჩასახლებული 35 კომლი ქურთი ცხოვრობდა. ეროვნებით და სარწმუნოებით უცხო მოსახლეობას, როგორც ამას XIX ს. აღმწერლები მოგვითხრობენ, ეკლესია საქონლის საკვების შესანახად და ზოგჯერ პირუტყვის დასაყენებლადაც კი გამოუყენებია, რამაც ამ ხნის განმავლობაში, ატმოსფერულ დანალექებთან ერთად, საგრძნობლად დააზიანა ძეგლი.

1847—48 წწ. მ. ბროსემ სამცხე-ჯავახეთში მოგზაურობის დროს დაათვალიერა ზედა ვარძიის ეკლესია, რამდენიმე სიტყვით შეამკო იგი და სამხრეთ კარის ბალავრის ქვაზე ამოკვეთილი წარწერაც გამოაქვეყნა[5]. 1875 წ. დ. ბაქრაძემ თავის შრომაში[6] მოკლედ აღწერა ეკლესია და შესწორება შეიტანა ბროსესესეულ წაკითხვაში. ამ ძეგლის მოკლე აღწერას ვხვდებით აგრეთვე, ჟურნალ „მწყემსის“ ფურცლებზე[7] და გაზეთ „ივერიაში“[8]. 1891 წლიდან ზედა ვარძიის ეკლესიის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება.

ძეგლის აზომვა 1941—1942 წწ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის სამუშაო გეგმით იყო გათვალისწინებული. იგი შეასრულეს არქიტექტორებმა — კ. მელითაურმა, თ. ქარუმიძემ და ც. გაბაშვილმა. აზომვის დროს ძეგლის სამხრეთის და დასავლეთის ფასადებზე მიშენებული იყო მიწურები, რომლებიც თითქმის ფარავდნენ ნაგებობას. 1945 წელს მოხერხდა სამხრეთ მიწურის ნაწილობრივ ჩამოცილება და ნგრევას გადარჩენილი სამხრეთის ფასადის ნაწილი გასუფთავდა. აღმოსავლეთ ფასადზე მიშენებულ მიწურს დასავლეთ კედლად ეკლესიის საყრდენი კედელი ჰქონდა გამოყენებული. მიწურის ბანი კი ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადის წინა მოედნის როლს ასრულებდა. ეს ბანი 1945 წელს ჩაიცა და ეკლესიის აღმოსავლეთი საყრდენი კედლის — „კვარცხლბეკის“ — მაღალი ტლანქი წყობა გამოჩნდა. დამატებითი აზომვა 1945 წ. შეასრულეს არქიტექტორებმა: რ. გვერდწითელმა, ც. და გ. გაბაშვილებმა. ტაძარი საგრძ-

---

[3] ს. ჯ ი ქ ი ა, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგ. II. თბილისი, 1941, გვ. 16.

[4] ი ქ ვ ე, გადასახადის ჯში ახჩიებში: ზედა ვარძია — 2400, გორგიწმინდა — 3000, ვარძია — 4000, ჭაჭკარი — 4500, ვანისქვაბი — 16660, წუნდა — 13000; ახჩია ფულის ერთეულია — ქართ.ულ თეთრს შეესატყვისება.

[5] M. B r o s s e t, Rapports sur un voyage archéologique dans la Georgie et dans l'Armenie. exécuté en 1847—1848, 1850 ап.

[6] Д. Б а к р а д з е, Кавказ в древних памятниках христианства, Тбилиси, 1875, с. 71.

[7] 1886 წ. № 11.

[8] 1891 წ. № 239.

ნობლად იყო დაზიანებული, მაგრამ მისი პირვანდელი სახის აღდგენა სავსებით შესაძლებელი გახდა.

1954 წ. არქიტექტორმა გ. გაფრინდაშვილმა ეკლესიის მახლობლად, მიწურში, აღმოაჩინა სვეტისთავი, რომლის ადგილზე შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ იგი ამავე ძეგლს ეკუთვნის და, მაშასადამე, სამხრეთი შესასვლელი სამთაღედი ყოფილა. მართალია, ეს გარემოება ძეგლის თარიღს არ ცვლის, მაგრამ გარკვეული კორექტივები შეაქვს ძეგლის გეგმისა და სამხრეთ ფასადის გადაწყვეტაში. იმატა ძეგლის დაზიანებამაც. მაგალითად, სამხრეთ ფასადზე გადარჩენილი ლავგარდანის ფრაგმენტი უკვალოდ გაქრა, ჩამოწვა კამარის ნაწილი ჩრდილო ნავში და სხვა...

ძეგლის შემდგომი დაზიანებისა და ნგრევის თავიდან ასაცილებლად საქართველოს კულტურის სამინისტროსთან არსებულმა ისტორიის, კულტურის და ბუნების დაცვის და რესტავრაციის მთავარი სამმართველოს სარესტავრაციო სახელოსნოში 1968 წ. შეადგინეს ზედა ვარძიის აღდგენის პროექტი (სახელოსნოს უფროსი რ. გვერდწითელი, ავტორი თ. ნემსაძე). აღდგენითი სამუშაოები შესრულდა 1975—1978 წლებში. აღდგენით სამუშაოებს წინ უძღოდა ძეგლის გარშემო მოედნის გაწმენდა-გასუფთავება. გაწმენდის შედეგად აღმოჩნდა, რომ ეკლესიის სამხრეთი მოედანი შემოფარგლული ყოფილა საყრდენი კედლით და სამხრეთ მოედანზე ასასვლელად, ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხის მახლობლად, ექვსაფეხურიანი კიბე ყოფილა. ამგვარად, უფრო ორგანიზებული ყოფილა მისასვლელი. გამოირკვა აგრეთვე, რომ აღმოსავლეთ ფასადის ქვეშ შეშენებული საყრდენი კედელი ჩრდილოეთით უფრო ღრმად იჭრება (8 მეტრზე), ვიდრე აქამდე ჩანდა. მისი სიმაღლე ჩრდილო ფასადის გასწვრივ თანდათან მცირდება და კლდეს ერწყმის.

დასასრულ მინდა მადლობით მოვიხსენიო გიორგი ჩუბინაშვილი, ქრისტინე შარაშიძე, რენე შმერლინგი, ირ. სონღულაშვილი და აგრეთვე მადლობა ვუთხრა ჩემს კოლეგებს: კ. მელითაურს, თ. ქარუმიძეს, ნ. სხირტლაძეს, რ. გვერდწითელს, გ. გაბაშვილს, გ. გაფრინდაშვილს, ზ. ალექსიძეს, ე. პრივალოვას, დ. თუმანიშვილს, რომელთაც სიტყვით თუ საქმით გამიწიეს დახმარება.

ძეგლის აღწერა[1]

ზედა ვარძიის ეკლესია გარეგნულად, ჩვეულებრივ, ორსაფეხურიან ცოკოლზე მდგარ ორფერდა სახურავით გადახურულ დარბაზულ ეკლესიას მოგვაგონებს, თუმცა სინამდვილეში იგი სამწევროვან შენობას წარმოადგენს. მისი შემადგენელი სამივე გრძივი ელემენტი ერთ სწორკუთხედში (10,5 X 12,25 მ) არის მოქცეული (სურ. 2.). ეკლესიას მთავარი და ჩრდილო ნავი უკავია, სამხრეთის ნავი კი სტოას როლს ასრულებს. ჩრდილო ნავი მთავარი ნავიდან ორი საკმარისად მასიური სამსაფეხურიანი ბოძით არის გამოყოფილი. სამხრეთი ნავი კი მთავარი ნავისაგან კედლითაა გამოცალკეეებული და მათ ურთიერთთან ერთადერთი კარი აკავშირებს. სამხრეთი ნავი — სტოა — შენობის მთელ სიგ-



სურ. 2. გეგმა.

---

[1] ძეგლის აღწერა მოცემულია ძეგლის აზომვის დროს არსებული ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით.



სურ. 3. სიგრძივი განაკვეთი, ხედი სამხრეთისაკენ.



სურ. 4. სიგრძივი განაკვეთი, ხედი ჩრდილოეთისაკენ.

რძეს იკავებს, იგი ძირითად შენობასთან ერთად არის ჩაფიქრებული და განხორციელებული.

მთავარი ნავი — დარბაზი — წყვილი ბოძით და მათი შესაბამისი სამხრეთ კედლის პილასტრებით, აბსიდის ჩაუთვლელად, სამ თითქმის თანაბარ ნაწილად იყოფა. ბოძები სამმხრივ სამსაფეხურიანია, მხოლოდ ჩრდილო მხარე აქვს სადა — უსაფეხურო. პილასტრები ორსაფეხურიანია. სამხრეთ კედლის ცენტრალურ მონაკვეთში ორ პილასტრს შუა არის მოთავსებული ეკლესიაში შესასვლელი კარი. პილასტრების პირველი საფეხური სვეტისთავით მთავრდება და ზემოთ თაღის ვიწრო ზოლით იფარგლება, რის შედეგად სამხრეთ კედელზე სამი ბრტყელი შეღრმავება — „ნიშა“ — იქმნება (სურ. 2,3).

ბოძების აღმოსავლეთი, სამხრეთი და დასავლეთი საფეხურები (სურ. 4) სვეტისთავებითაა დამთავრებული. ასევე არის დამთავრებული ბოძის შესაბამისი აბსიდის ორსაფეხურიანი ჩრდილო კუთხე. ამავე დონეზეა დასავლეთი პილასტრის სვეტისთავიც. ამ სვეტისთავებს ეყრდნობიან გრძივი, ორსაფეხურიანი თაღები. ბოძების სამხრეთისკენ მიმართული შუა საფეხურები კი პილასტრის როლს ასრულებენ. ზევით მიიმართებიან და, სამხრეთ კედლის პილასტრებთან ერთად, საბჯენი თაღების საყრდენებს წარმოადგენენ (სურ. 4).

მთავარი ნავის საკურთხევლის აბსიდი გეგმაში ნახევარწრიულია, ოდნავ ღრმად აღებული ცენტრით (სურ. 2, ტაბ. 10). აბსიდში ორი ნიშაა, ისინი ამცირებენ კედლის უსარგებლო მასივს და თავის დროზე, ცხადია, მღვდელმსახურების გარკვეული წესების შესრულებას ემსახურებოდნენ. ჩრდილო სწორკუთხოვან ნიშასა და სამკვეთლოს შორის კედელი განგრეული იყო. ამჟამად (სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარებისას) იგი ამოშენებულია და პირვანდელი სახით წარმოგვიდგება. სამხრეთის ნიშა მრგვალია (1,15 მ დიამეტრის) და, როგორც მთელი ეკლესია, სუფთად თლილი ქვითაა მოპირკეთებული. მისი გადახურვა დაბალგუმბათოვანია. იატაკი დაზიანებული აქვს. ამ ნიშიდან აღმოსავლეთ ფასადზე მრგვალი სარკმელი გადის. სარკმლის ქვევიდან თაროა ჩატანებული (ტაბ. 11), მის გვერდით კი მცირე თაახჩაა. ნიშაში შესასვლელის ბალავრის ქვაზე გარედან ჩაჭრილია ნახევარწრიული მოხაზულობის მარტივი თარზულგადანაკეცებიანი თავსართი (სურ. 5, ტაბ. 10). მრგვალ ნიშას კარი ჰქონია, რასაც შესასვლელის ანყოლებზე ამოკვეთილი ბუდეები გვიდასტურებენ. ალბათ, ეს ნიშა სადიაკვნოს როლს ასრულებდა, ე. ი. სამღვდელმსახურო ტანისამოსის შესანახად იყო განკუთვნილი. საკურთხევლის აბსიდის ცენტრში ორი სარკმელია: ქვედა — მაღალი და ვიწრო, მის ზევით კი — მრგვალი (სურ. 5, ტაბ. 10).

შენობის ყველა თაღი და კამარა ნახევარწრიული მოყვანილობისაა. მხოლოდ აბსიდის თაღია დანარჩენი თაღებისგან განსხვავებით ოდნავ შეისრული. მთავარი ნავის დასავლეთის თაღი, რომელიც დასავლეთ კედელს ეკვრის, სამხრეთით კუთხის პილასტრს, ჩრდილოეთით კი თარხანს (კრონშტეინს) ეყრდნობა. მთავარი ნავის დასავლეთის კარი ახლა დასავლეთით მოშენებულ ყრუ მინაშენში გადის, წინათ აქ ეკლესიის მეორე შესავლელი უნდა ყოფილიყო. ამ კარს ზემოთ მაღალი ვიწრო სარკმელია (სურ. 6, ტაბ. 14). დასავლეთის კარი, ისევე როგორც სამხრეთის კარი, გარედან ზღუდარით, შინგით კი თაღით მთავრდება. ორივე კარის ანყოლზე კარის ჩამოსადგმელი ბუდეებია ამოჭრილი. ჩრდილო ნავი გრძელ და ვიწრო სათავსს წარმოადგენს. დასავლეთ კედელში მას სარკმელი ჰქონია, აღმოსავლეთით კი მოგრძო სწორკუთხოვანი სადგომით — სამკვეთლოთი — არის დამთავრებული. სამკვეთლოს დასავლეთ კედელში კარია,

აღმოსავლეთ კედელში კი — პატარა სარკმელი. ამ კარსაც სათავსოს შიგნიდან თაღი აქვს, გარედან, ჩრდილო ნავის მხრიდან კი — ზღუდარი. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სამივე კარის ზღუდარი ჩვეულებრივი შვეული სიბრტყის მაგივრად შიდა მხრიდან ქვევიდან ზევით ვიწროვდება (სურ. 3, 4, 5), რაც კონსტრუქციულად არაფერს მატებს მას. სხვა ძეგლებში ეს თითქოს არ გვხვდება, გარდა ხცისის სამხრეთ შესასვლელი კარისა და ზემო კრიხის სამხრეთ შესასვლელისა შიგნიდან, მის ძირითად — X საუკუნის დასასრულს აგებულ ნაწილში[2]. შეიძლება ეს თვით ლოდის კონფიგურაციით არის შეპირობებული? ჩრდილო ნავს ბოძების შესაბამისი პილასტრები არ აქვს, არც იყო საჭირო. იგი ძალიან ვიწროა. განივი თაღები ორივე მხრით სამკუთხა პროფილის სადა თარხნებს ეყრდნობა. (სურ. 5, ტაბ. 16).



სურ. 5. განივი განაკვეთი, ხედი აღმოსავლეთისაკენ.

[2] Рене Шмерлинг, Древний Цвимоетский храм близ сел. Хциси, ქართული ხელოვნება 4, თბილისი, 1955. გვ. 142, სურ. 3; ვ. ფინცაძე, ზემო კრიხის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება, 6, 1963, სურ. 3, 4, გვ. 60, 61.

სამხრეთი ნავი — სტოა დასავლეთით ყრუ კედლით მთავრდება, აღმოსავლეთით — ნახევარწრიული აბსიდით. გადარჩენილი ნაწილის მიხედვით ეს აბსიდი ყრუ უნდა ყოფილიყო, სარკმელი არ უნდა ჰქონოდა (ასეთი გადაწყვეტა სხვა ადრეულ ძეგლებზედაც გვხვდება, მაგ., ბოლნისი, ქვემო ბოლნისი, ოლთისი, ბაიხო და სხვა...), მის გასანათებლად სავსებით საკმარისი იყო სამხრეთ თაღედიდან შემოჭრილი სინათლე. სამხრეთით სტოას სამთაღიანი შესასვლელი ამშვენებდა. ეკლესიაში შესასვლელი მთავარი, ამჟამად კი ერთადერთი კარი სამხრეთ ფასადის დასავლეთ თაღის გასწვრივ არის მოთავსებული. ეკლესიის გარე ორსაფეხურიანი ხარისხი (ცოკოლი) სამხრეთ ნავში მხოლოდ დარბაზის გარე კედელს (ე. ი. სამხრეთ სტოას ჩრდილო კედელს) მისდევს ორი საფეხურით. ამით თითქოს გამოჰყოფს სამხრეთ სტოას დამოუკიდებელ სათავსად. ეკ-



სურ. 6. განივი განაკვეთი, ხედი დასავლეთისაკენ.

ლესიის შიდა ხარისხი კი ყველგან ერთსაფეხურიანია. ერთსაფეხურიანია აგრეთვე ბოძთა ბაზები, ოღონდ ეს უკანასკნელნი ეკლესიის შიდა საფეხურზე უფრო მაღალი არიან. საკურთხეველში, როგორც ჩანს, ყოფილა მეორე საფე-

ხურიც, რომლის კვალიღაა დარჩენილი. ეკლესიის დასავლეთით მიშენებული ყრუ სათავსი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეკლესიის თანადროული არ არის, იგი შემდეგშია მიშენებული. ეს მინაშენი ეკლესიის ორგანულ ნაწილს არ წარმოადგენს და ამიტომაა რომ გეგმის განხილვისას მას მხედველობაში არ ვიღებთ.

ეკლესია მოსწორებულ კლდის ბაქანზეა აგებული. მოედანს, გაზრდის მიზნით, აღმოსავლეთით საყრდენი კედელი ჰქონია. კედელი ჩრდილო-ფასადის გასწვრივაც გრძელდება 8 მეტრზე და კლდეს ერწყმის. საყრდენი კედელი ოდნავ დახრილია (ძირისაკენ ფართოვდება 8—10 სმ-მდე). იგი ერთგვარად პოსტამენტის როლს ასრულებს, საკმარისად მაღალია — 3,25 მეტრამდე, დიდი ზომის ყორექვითაა ამოყვანილი. ქვები ტლანქადაა დამუშავებული, წყობის რიგებში შეძლებისდაგვარად თარაზულობაა დაცული (სურ. 7, ტაბ. 21). ისევე როგორც



სურ. 7. აღმოსავლეთის ფასადი.

მრავალ სხვა ქართულ ტაძარში, აქაც ეკლესიის კედლები ორივე მხრიდან მოპირკეთებულია სუფთად თლილი სწორკუთხოვანი ქვით და ამოყორილია კირის დუღაბით, რომელშიც შერეულია საშენი მასალის დამზადებისას (კვადრების გამოთლის დროს) ჩამოტეხილი ქვის ნამტვრევები და ღორღი. ქვის ნატეხები და წვრილი ღორღი კირის ხსნართან ერთად მუდმივად აკავშირებს წყობის გარე და შიდა მოპირკეთებას, მონოლითად აქცევს მას. გრძივი კედლები (სამხრეთ

სტოას გარე კედლის გარდა), რომლებსაც საბურავის სისტემა ეყრდნობა, 85 სანტიმეტრია, დანარჩენი კედლების სისქე კი—72 სანტიმენტრი. როგორც შიდა, ისე გარე კედლების წყობაში ქვის სიმაღლე რიგში უცვლელია, ქვის სიგანე კი — ცვალებადი. ჰორიზონტალური ნაკერის მთლიანობა არ ირღვევა. ქვის წყობის რიგი ერთ სიმაღლეზე უვლის გარს მთელ შენობას. იშვიათია რომელიმე ქვის გამოსვლა მწკრივის თარაზული ხაზიდან. დარღვევა ან ძალიან მცირეა, ან ისეთი ხელოვნებით არის შესრულებული, რომ მხოლოდ დაკვირვებული თვალი თუ შეამჩნევს და მიაქცევს ყურადღებას. ქვის კვადრის სიმაღლე ყოველი მწკრივისათვის სხვადასხვაა, მაგრამ ეს ცვლილება მკვეთრი არ არის, მაგ., ფასადის წყობის ქვედა ზოლის კვადრების ზომა თუ 70X93; 70X110 სმ-ია, საშუალო ზოლის — 68X126, 68X93, 68X68 სმ, მხოლოდ ზედა უკანასკნელ რიგში, სამხრეთ და ჩრდილოეთ ფასადებზე, აღმოსავლეთის და დასავლეთის ფასადების ფრონტონის არეებზე გვაქვს უფრო დაბალი რიგები — 37X53, 37X54 სანტიმეტრი. მოპირკეთებისთვის გამოყენებული ქვები დუღაბში 10—15 სანტიმეტრის სიღრმით არის ჩამჯდარი და კარგადაა ჩაკირული. ქვის ზედაპირი ირიბადაა ნათალი, მეტწილად კი გლუვია და არ ეტყობა ხაზი — ერთგვაროვანია. გარდა იმისა, რომ ქვის ზედაპირი კარგადაა მოშანდაკებული, მათი ნაკერებიც პირისპირ მორგებულია. გარე კედლების წყობის ყოველი რიგი, როგორც ყოველთვის, კუთხეებში ერთიმეორეში გადადის, ერთიმეორეს ჰკრავს. ეს კარგად ჩანს ფასადების კუთხეების წყობაზე (ტაბ. 7). შიდა კედლებში ასეთი გადასვლა არ შეიმჩნევა, პილასტრებს შორის მონაკვეთების მოპირკეთების და პილასტრების ქვების სხვადასხვა სიმაღლის გამო. აქ მოპირკეთების ქვები ერთიმეორეში არ იჭრება და კედლის მასივთან, ძირითადად, მხოლოდ დუღაბითაა დაკავშირებული.

თაღები ყველგან ნახევარწრიულია, გადამხურავი კამერები ნახევარცილინდრული, იმ განსხვავებით, რომ ჩრდილო ნავის და სამხრეთ სტოისა დაბალია, მთავარი ნავისა კი — მაღალი, მათი სიგანის შესაბამისად. მოსაპირკეთებელი კვადრები დიდი ზომისაა, მშვენივრად არის ნაკვეთი და მორგებული ნახევარწრიული მოყვანილობისათვის. იგი გამოჩარხულის შთაბეჭდილებას ტოვებს. კამარის სისქე მცირეა: ჩრდილო ნავსა და სტოაში, იგი 26 სანტიმეტრს უდრის, მთავარ ნავში კი 30 სანტიმეტრია, აქედან 14 სანტიმეტრი შესამოსი ქვის სისქეა, დანარჩენი კი — დუღაბი, მაშინ, როდესაც დასავლეთ მინაშენის კამარის სისქე 50 სანტიმეტრს უდრის. საბჯენი თაღები, ჯერჯერობით, სამხრეთ სტოას გარდა, თითქმის დაუზიანებელია, კამარების უდიდესი ნაწილი კი ჩამონგრეულია (ტაბ. 9, 10, 14). შიდა გრძივი კედლების ზედა ნაწილები, აბსიდის შემომრგვალების ჩათვლით, რომელნიც საბურავის შუალედ საყრდენებს წარმოადგენენ და მხოლოდ კონსტრუქციულ საჭიროებას ემსახურებიან, ყორექვით და მოპირკეთებისათვის ნახმარი ქვის ქანის ტლანქად შემოსწორებული, საშუალო ზომის ქვით არიან ამოყვანილი. კედლის ეს ნაწილები გარედან სახურავის ქანობით იფარება, შიგნიდან კი კამარის ზემოთ არიან მოქცეული და არსაიდან არ ჩანან. მათ შორის მოთავსებული თავისუფალი სივრცე, როგორც ჩანს, სამალავად იყო გამოყენებული. ამჟამად ძეგლის დაზიანების გამო, ეს წყობა კარგად ჩანს სამხრეთ ფასადზე — კამარისა და სახურავის შუა მოქცეულ მონაკვეთზე (ტაბ. 26, 27)[3].

---

[3] წყობაში დაუმთავრებელი ან გამოუყენებელი ორნამენტული ფრაგმენტებიც არის ჩაშენებული, მაგ. კაპიტელის ქვა, რომელზედაც ლილვი და ლილების მწკრივია ამოკვეთილი.

აბსიდის მონაკვეთში, გარდა მასში მოთავსებული ნიშებისა, ნიშებს ზევით მოქცეულ ნაწილში, განტვირთვის მიზნით შიგა წყობა ისეა ამოყვანილი, რომ აქა-იქ, დაახლოებით 35X40 სმ განაკვეთის თავისუფალი ადგილები — ფუღუროებია დატოვებული (სურ. 8 განაკ. ბ-ბ). მათი სიღრმე ცვალებადია. მაღლა გადახურვის ქვეშ კეხის ორივე მხრიდან ჩატანებული ყოფილა თიხის ჭურჭლები—ქოცოები — რომელნიც, ჩანს, ამსუბუქებდნენ გადახურვის სისტემას და, ამასთანავე, რეზონანსის გაძლიერებასაც ისახავდნენ მიზნად (სურ. 8, გა-



სურ. 8. სახურავის გეგმა სხვენის დონეზე და განაკვეთები.

ნაკ. ა-ა, კვანძი I, ქოცოები (მათი ზომებია დაახლოებით — d —31 სმ, სიმაღლე—52 სმ) კეხის მიმართ დახრილად ყოფილან ჩაშენებული—ძირებით ზემოთ და პირით ქვემოთ. ამათგან მთლიანი სახით არც ერთი არ არის მოღწეული (კ. მელითაურის დაკვირვებით ზოგი ამ ჭურჭელთაგანი თავიდანვე გატეხილი ყოფილა). სავარაუდოა, რომ ქოცოები არა მარტო აბსიდის მონაკვეთში, არამედ სახურავის კეხის მთელ სიგრძეზეც იყო ჩატანებული. 1956 წლისათვის სახურავის ქვედა პირი აბსიდის შემომრგვალების სიგრძეზე, სამხრეთით, ჩამოინგრა და აქაც გამოჩნდა ჩატანებული ქოცოების ნატეხები და სიცარიელე (სურ. 8, განაკვეთი ა—ა კვანძი 2). შესაძლებელია, ასე იყო ჩატანებული ქოცოები შენობის მთელ სიგრძეზე როგორც სამხრეთით, ისე ჩრილოეთითაც.

სახურავის კონსტრუქცია გარე და შუალედ კედლებზე, კამარის მხებად დაყრდნობილ, კირისდულაბიან ორფერდა ფილას წარმოადგენს. იგი გადამხურავი კამარების ზევით სამკუთხედი განაკვეთის თავისუფალ სივრცეს ტოვებს შენობის მთელ სიგრძეზე: მცირე სამკუთხედს წვეროთი ზევით, კეხის გასწვრივ და უფრო მოზრდილებს — ჩრდილო და სამხრეთ ნავის კამარის გაყოლებით (სურ. 8, გეგმა, განაკ. ა-ა). ეს უკანასკნელნი აბსიდასთან ოდნავ შემომრგვალებული არიან. სახურავის ფილაზე ლორფინები უნდა ყოფილიყო დამაგრებული. რომ სახურავის მასალა ლორფინი იყო, ამაზე მიგვითეთებს ქვის სიუხვეცა და მახლობელი ძეგლების გადახურვაც (ზედა თმოგვი, წუნდა, კუმურდო და ა. შ.). მართლაც, 1956 წ., როდესაც ჩრდილო-დასავლეთის გადამხურავი კამარის პატარა გადარჩენილი ნაწილიც ჩამოინგრა, ჩამონატეხთა შორის აღმოჩნდა ლორფინის ნატეხიც, რამაც დაადასტურა ჩვენი ვარაუდი.

იატაკი მთელ შენობაში ერთ დონეზეა. იგი ორი ფენისაგან შედგება: ჯერ მომსხო ქვა და ღორღია ჩაკირული, ხოლო ზევიდან უფრო წვრილი ღორღითაა

მოპირკეთებული და დადუღაბებულია კირით. ეს უკანასკნელი საკმაოდ სწორ ზედაპირს ქმნის. საკურთხეველის იატაკი ეკლესიის იატაკის დონეზეა. ტრაპეზის ნიშნები არსად ჩანს.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ნაგებობის კონსტრუქციულ ელემენტებში საშენი ქვა სიმკვრივის და გამძლეობის მიხედვითაა განაწილებული. ამ ქანის კარიერი იქვეა ზედა ვარძიის ხევის სათავესთან. პეტროგრაფიულმა გამოკვლევამ[4] გვიჩვენა, რომ ეკლესიის ცოკოლად, ბოძების და სვეტების ბაზებადაც ნახმარია ჰიპერტენიანი ანდეზიტი ან რქატყუარა — ჰიპერტენიანი ანდეზიტი, რომელიც დანარჩენ აქ ხმარებულ საშენ მასალასთან შედარებით, ყველაზე მეტი ხვედრითი წონისა და გამძლეობისაა. კედლებისათვის ანდეზიტი და ანდეზიტური ტუფია (აგლომერატული ტუფი) ნახმარი. თაღებისა და კამარებისათვის კი გამოყენებულია ანდეზიტური ტუფი, რომელიც დანარჩენ ქანებთან შედარებით, ნაკლები ხვედრითი წონისაა. მცირე განსხვავებას ვხედავთ კედლის გარე დ შიდა მოპირკეთებაშიც. შიდა კედლების მოპირკეთებისას მოპირისფრო ანდეზიტური ტუფი და ნაწილობრივ ვარძიის ფერფლოვანი ტუფიცაა გამოყენებული. ამგვარად, ცხადია, რომ მშენებელი კარგად იცნობდა საშენი მასალის თვისებებს და ამის მიხედვით სათანადო ადგილს აკუთვნებდა მას. ამ შერჩევის სისწორე ახლა თვალნათლივ ჩანს. საბურავის ჩამოქცევის შემდეგ ატმოსფერული მოვლენების გავლენით შიდა მოპირკეთების ქვის ზედაპირი საგრძნობლადაა დაზიანებული, მაშინ როდესაც გარე მოპირკეთება შედარებით კარგადაა შენახული.

ჩრდილო ფასადის მოპირკეთება მომწვანო-მოყვითალოა, ალაგ-ალაგ ყავისფერი გადაჰკრავს. დასავლეთის—მოყავისფრო-მოპირისფრო. აღმოსავლეთის ფასადი უფრო მკრთალი ტონების—მომწვანო-მოყვითალო მოპირისფროა, სამხრეთის კი—მოყვითალო-მოპირისფრო, ღვინისფერი იერით. კაშკაშა მზიან დღეს ფერები უფრო გაფერმკრთალებულია და სამხრეთაღმოსავლეთის ფასადები მოთეთრო იერსაც იძენენ. თვით ქვა გადანატეხში ბაცი სოსანია. ფასადის ფერთა ნაირ-ნაირობა დროთა განმავლობაში დადებული პატინით უნდა აიხსნეს და ქანის შემადგენლობაში მინარევის მცირე სხვადასხვაობით. ხარისხი (ცოკოლი) ნაცრისფერია. ნაცრისფერია შენობის შიგნითა ხარისხი, ბოძებისა და სვეტების ბაზებიც. შიგნიდან როგორც სტოას, ისე ეკლესიის კედლები და სვეტებიც მოყავისფრო-მოპირისფეროა, ნაცრისფერი იერით. შიდა კედლების წყობაში რამდენიმე ადგილას მუქი, თითქმის შავი ფერის ქვაა ჩართული. თაღები და კამარები მოპირისფრონია.

აღმოსავლეთის ფასადს სამი არშიაშემოვლებული სარკმელი და ჩუქურთმიანი კარნიზი ამკობდა (სურ. 7 ტაბ. 3, 21, 22). ცენტრალური სარკმლის ზევით მეოთხე, მრგვალი სარკმელი ჩუქურთმიან ჩარჩოს მოკლებულია და შეუფერებელ ლაქად ჩანს სუფთად მოპირკეთებულ ზედაპირზე. სარკმლის თანადროულობა კი შიგნითა მხრიდან ხელუხლებლობის გამო ეჭვს არ იწვევს. მოპირკეთების ქვის მქრქალი მოპირისფრო, მომწვანო, მოყვითალო, ოდნავ მოყავისფრო ფერების ერთიმეორეში გადასვლა, სამკაულთან ერთად, კიდევ მეტად ახალისებს ფასადს. აზომვისას აღმოსავლეთი ფასადის სამხრეთი ნაწილი, სამხრეთ სტოას მანძილზე (4,5 მ) ჩამოქცეული იყო. დუღაბის ზედაპირზე ქვის ბუდეები მოჩანდა. გადარჩენილა ლავგარდანის მხოლოდ ერთი მოჩუქურთმებული ფრაგმენტი, თუ არ ჩავთვლით ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხის კარნიზის ქვას,

[4] ქვის ქანის ნიმუშების პეტროგრაფიული ანალიზი, ჩვენი თხოვნით თავაზიანად შესრული 1945 წ. ნ. სხირტლაძემ.

რომელიც წვიმისაგან ისეა გადარეცხილი და დაზიანებული, რომ მასზე არაფერი გაირჩევა.

დასავლეთის ფასადი (სურ. 9, ტაბ. 7, 8, 9), რომლის ქვედა ნაწილს მინაშენი ფარავს, ჩრდილო ნაწილში ჩამონგრეულია და ზედა ნაწილის (ფრონტონის) საპირეც შემოძარცულია. სარკმელები სადაა. კარნიზის ქვები ამჟამად დაკარგულია. ძეგლის აზომვისას სამხრეთ-დასავლეთის კუთხის ქვის პატარა ნა-



სურ. 9. დასავლეთის ფასადი.

წილი-ღა იყო გადარჩენილი. მასზე აღარაფერი ირჩეოდა. ადრე გადაღებულ ფოტოზე რაღაც ორნამენტი ჩანს, მაგრამ ამ პატარა ნატეხით ჩუქურთმის სახის დადგენა შეუძლებელია. აღმოსავლეთის და სამხრეთის ლავგარდანის შემორჩენილი ფრაგმენტების და აგრეთვე ძეგლის გაწმენდის დროს (1976 წ.) აღმოჩენილი ერთი ფრაგმენტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შესაძლებელია, როგორც სხვა ამ დროის ძეგლებში, აქაც ყოველი ფასადის ლავგარდანი განსხვავებული ჩუქურთმით ყოფილიყო შემკული.

ჩრდილო ფასადსაც აღარ აქვს დამაგვირგვინებელი ლავგარდანი. კედელი ლავგარდანის დონემდეა შემორჩენილი. აქ სუფთად ნათალი ქვის განივი ზომების მუდმივი ცვალებადობა და ქვის ფერების თავისებური თამაში-ღა აცოცხლებს სადა, სწორკუთხოვან კედლის სიბრტყეს.

რაც შეეხება სამხრეთ ფასადს, იგი ყველაზე მეტად დაზიანებულა. სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის ნახევარზე მეტი (6,25 მ) მთლიანად (საძირკვლამდე) ჩამონგრეულა. სამხრეთ-დასავლეთის ნაწილი კი უშუალოდ მასზე მიშენებული საცხოვრებელი მიწურის კედლით იყო დაფარული 1945 წლამდე. მიწურის გადახურვა აღმოსავლეთით თაღედის სვეტის კაპიტელის ქვედა დონეს უსწორდებოდა (ტაბ. 7,26), დასავლეთით კი უფრო ზევით იწევდა. ფასადზე მკაფიოდ ჩანს გამყოფი საზღვარი. 1945 წ. მიწურის კედლის ჩამონგრევის შემდეგ, დანგრევას გადარჩენილი ფასადის ნაწილი განთავისუფლდა ამ მახინჯი დანამატისაგან და ძეგლის მთლიანი სახით აღქმა შესაძლებელი გახდა (ტაბ. 26).



სურ. 10. სამხრეთის ფასადი.

სამხრეთი ფასადი წარმოადგენს, ან უკეთ რომ ვთქვათ, წარმოადგენდა სწორკუთხედს, რომლის ცენტრალურ ნაწილს სამთაღედი ამშვენებდა (სურ. 10). გადარჩენილია ერთი მრგვალი სვეტი (დიამეტრი 63 სმ), რომლის ბაზაც და კაპიტელიც მოჩუქურთმებულია (ტაბ. 28, 30, 31). მეორე სვეტის ღერო და ბაზა ჯერჯერობით არ ჩანს. ამ სვეტის კაპიტელი (ტაბ. 32—1, 2, 3), როგორც იყო აღნიშნული, 1954 წ. აღმოაჩინა გ. გაფრინდაშვილმა[5]. სამხრეთ ფასადის

[5] გ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ მ ა თავაზიანად გადმოგვცა ახლად აღმოჩენილი სვეტისთავის ფოტოანაბეჭდები.

სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში შემორჩენილი ჩუქურთმიანი ლავგარდანის ფრაგმენტიც (ტაბ. 7), სამწუხაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულა. თაღედიდან მოჩანს ეკლესიაში შესასვლელი სამხრეთის კარი (ტაბ. 33), რომელიც ფართო ორნამენტული საპირით არის შემკული, ბალავრის ქვაზე განედლებული ჯვარია მოთავსებული, ჯვრის აქეთ-იქით ოთხსტრიქონიანი ასომთავრული, როგორც მ. ბროსე უწოდებს, „ელეგანტური“ წარწერაა ამოკვეთილი (ტაბ. 33, 34).

როგორც აღნიშნული იყო, ეკლესიას შიდა ხარისხი ერთსაფეხურიანი აქვს (18—25 სმ-მდე). მხოლოდ აბსიდაში ჰქონია ორსაფეხურიანი ხარისხი. აბსიდის მეორე საფეხური კუთხიდან 45 სანტიმეტრის დაშორებით იწყება, შემდეგ თანდათანობით 12 სანტიმეტრამდე ფართოვდება. ამ საფეხურთა ცენტრალური ნაწილი ჩამონგრეულია, ასე რომ, მისი სიგანის ან საფეხურთა რაოდენობის დადგენა შეუძლებელია. აბსიდის კუთხის ქვებში ამოჭრილი ტლანქი და ულაზათო ღარები შენობის სუფთად ნაკვეთ სხვა ნაწილებს არ შეეხამება და, შესაძლებელია, იმ დროს ეკუთვნოდეს, როდესაც ეკლესია ბაკად იყო ქცეული (XIX ს.). ბოძების ერთსაფეხურიანი ბაზები ბოძის განაკვეთს იმეორებს. მათი სიმაღლე საშუალოდ 35 სანტიმეტრია. ბაზების კუთხის ქიმები ჩამომტვერეულია (ტაბ. 10, 15). სვეტისთავები ტლანქი პროფილისაა, ზოგი მათგანი მოქუჩურთმებულია, ზოგი კი — მხოლოდ პროფილირებული. შემკულია აგრეთვე აბსიდის საზეიმო თაღის საყრდენი — იმპოსტები (ტაბ. 10, 12, 13). საბჯენი თაღების საყრდენი კაპიტელები პროფილირებული არიან (ტაბ. 19). დასავლეთი კედლის ჩრდილო თრხანი სადა პარალელეპიპედს წარმოადგენს, თაღის ორივე საყრდენის კაპიტელი კი კუბურია. ისინი „ფესტონებით“ და „ღილებითაა“ დამშვენებული (ტაბ. 14). ასეთივეა სამხრეთ კედელზე პილასტრთა შორისი კედლის თაღების საყრდენი იმპოსტები (სურ. 3) როგორც მთავარ ნავში, ისევე ჩრდილო ნავში და სამკვეთლოს კედლების შიდა ზედაპირზე და ბოძებზედაც, იმპოსტების ქვემოდან, აქა-იქ დარჩენილია ნალესობის და კედლის მხატვრობის უმნიშვნელო ნაშთები. ნალესობის ნიშნები არა ჩანს პატარა მრგვალ ნიშაში (საფიქრებელია, რომ არც ყოფილა). კედლის წყობის გლუვი ზედაპირი, ბოძების და ბილასტრთა კაპიტელების მოჩუქრთმებასთან ერთად, იმას უნდა მოწმობდეს, რომ ძეგლი თავდაპირველად შესალესად არც იყო განკუთვნილი.

როგორც ძეგლის გეგმიდან ჩანს (სურ. 2), ეკლესიას ექვსი სარკმელი აქვს: ოთხი აღმოსავლეთისა და ორიც დასავლეთის მხრიდან. აღმოსავლეთის ერთი მცირე სარკმელი (6X36) ჩრდილო სამკვეთლოს ანათებს, მეორე მრგვალი (მისი დიამეტრი 12 სმ-ია), აბსიდის სამხრეთით — მრგვალ ნიშას—სადიაკონოს. ცენტრში მოთავსებული სარკმლები კი—ერთი (12×96 სმ) და მეორე მის ზეკით კონქში (დიამეტრი 30 სმ) — მთავარ ნავს — დარბაზს. მთავარ დარბაზსვე ანათებს დასავლეთით ცენტრალური სარკმელი (11X180 სმ), დასავლეთის მეორე მცირე სარკმელი კი (10X90 სმ) — ჩრდილო ნავს.

სამკვეთლოს სარკმლის ფართი 0,022 კვ მ-ს უდრის, მაშინ როდესაც მისი იატაკის ფართი 3,05 კვ მ-ს. მრგვალ ნიშაში სარკმლის ფართი 0,01 კვ მ-ს უდრის, ნიშის იატაკის ფართი კი — 1.04 კვ მ-ს. მთავარი დარბაზისა და ჩრდილო ნავის იატაკის ფართი 56.1 კვ მ-ია, მათი განათების ფართი კი 0,48 კვ მ-ს უდრის. როგორც ვხედავთ, განათების ფართი, იატაკის ფართთან შედარებით, უმნიშვნელოა. სინათლის წყარო იმდენად მცირეა, რომ ეკლესიაში რაიმე დამატებითი განათების გარეშე ნახევრად სიბნელე იქნებოდა*.

* სინათლის წყაროს სიმცირე, როგორც ეიცით, დაშახასიათებელი იყო ყველა ეკლესიისათვის და ხშირად საერო ნაგებობებისთვისაც.

გადახურვის თითქმის მთლიანად ჩამოქცევის გამო შიდა სივრცე მშვენივრად არის განათებული და კარგად ჩანს მისი ყოველი კუთხე, კედლის ყოველი ნაკერი და შესანიშნავი მოპირკეთება თუ შემამკობელი ჩუქურთმის მომხიბვლელი სახე. გადახურვის აღდგენის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, დარბაზში ისევ ნახევარსინბნელემ დაისადგურა.

ეკლესიის მთავარი ნავის დასავლეთი კარი, როგორც აღნიშნული იყო, მცირე (2X6,5 მ) ზომის ყრუ სადგომში გადის. სადგომის გასანათებლად მის გადახურვაში გაჭრილია ორი პატარა სარკმელი. სარკმელთა დიამეტრი ქვევიდან ზევით იზრდება — 27 სანტიმეტრიდან 35 სანტიმეტრამდე. სარკმელებიდან შემოსული შუქი საკმარისი არ არის სადგომის გასანათებლად და ამიტომ შიგ ყოველთვის სიბნელეა. სათავსი არ არის მაღალი. მისი სამი კედელი (მეოთხე კედლის როლს ეკლესიის დასავლეთი ფასადი ასრულებს), ეკლესიის კედლებისაგან განსხვავებით, ტლანქად შემოსწორებული მცირე და საშუალო ზომის ყორექვითაა ნაგები. მხოლოდ ეკლესიის ხარისხზე დადგმული პილასტრები და მათი შესაბამისი თაღებია თლილი ქვით შესრულებული (სურ. 3, 4, ტაბ. 23, 24). მინაშენი, როგორც გეგმიდან ჩანს, დასავლეთ ფასადის ნაწილს იკავებს. ფასადის სიგრძე 10,5 მეტრია, მინაშენის სიგრძე კი — 7,65 მეტრი. პილასტრებს სადა კაპიტელები აქვს (ტაბ. 23, 24). სადაა აგრეთვე სამკუთხა თარხნები დასავლეთ კედელზე, რომელთაც განივი თაღები ეყრდნობა. თაღები და შესაბამისი კამარაც ნახევარწრის 3/4-ს უდრის (სურ. 3, 4, ტაბ. 23, 24), თაღის აღმოსავლეთის ქუსლი, რომლითაც იგი პილასტრის კაპიტელს ეყრდნობა, დასავლეთის ქუსლზე მაღლა არის მოთავსებული, რისი შედეგიცაა კამარის და თაღის დისპროპორციულობა. კამარა, ისევე როგორც მინაშენის კედლები, უსწორმასწორო ქვებითაა გადაყვანილი.

1953 წელს ეკლესიის დასავლეთით მიშენებული მიწურის ბანი ჩამოიქცა და გამოჩნდა დასავლეთ მინაშენის სამხრეთი კედელი (ტაბ. 8), როგორც ფოტოსურათიდან ჩანს, კედელი გარედანაც უსწორო წყობით ყოფილა შესრულებული. მინაშენის სამხრეთი კედელი ეკლესიის სამხრეთ კუთხიდან 2.85 სმ მანძილზეა (სურ. 9). მისი დასავლეთის კედელი კი კლდეს ადგება და მათ შორის უსწორმასწორო სივრცე ქვებითაა ამოქოლილი. 1954 წ. მინაშენის სამხრეთ კედელში სწორკუთხოვანი პატარა ნაწილი გამოინგრა და სადგომის შიდა კედლები რესტავრაციამდე მშვენივრად ჩანდა (ტაბ. 8,24).

მიწურის ჩამონგრევის შემდეგ დასავლეთი ფასადის სამხრეთი ნაწილიც მთლიანად გამოჩნდა და მისი წყობის ნაკერები, როგორც მოსალოდნელი იყო, ზუსტად მინაშენის შიგნით მოქცეული ნაწილის ნაკერებს დაემთხვა. ეკლესიის დასავლეთი ფასადის მთლიანი მოპირკეთება მიშენებული მიწურის ჩამონგრევამდეც ცხადად გაირჩეოდა. ამასთან ერთად, ეკლესიის ორსაფეხურიანი ხარისხის (ცოკოლის) მთლიანობა დასავლეთი ფასადის გასწვრივ, კარების ღიობის გადახურვის სისტემა (გარედან — ზღუდარი და შიგნით — თაღი), მინაშენის კედლის წყობის განსხვავება ძირითადი ნაგებობის კედლის წყობისაგან, გადამხურავი კამარის კონსტრუქცია, სისქე და შესრულების ხასიათი თუ ხარისხი, აგრეთვე, საშენი მასალის სხვადასხვაობა გვიჩვენებს, რომ იგი მშენებლობის გეგმით არ ყოფილა გათვალისწინებული და არც ძეგლის თანადროულია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთის მინაშენის ჩრდილო კუთხეში პატარა ხვრელია (45X80 სმ), რომელიც დაახლოებით 10 მეტრის მანძილზე იჭრება კლდის სიღრმეში (სურ. 11). ხვრელის დასაწყისი მონაკვეთი 4.75 მეტრის მანძილზე ნაშენია, შემდეგ კი კლდეშია ნაკვეთი. ხვრელის ბოლოს 1.65 მეტრის სიმაღ-

ლეზე მოზრდილი გამოქვაბულია გამოკვეთილი. ხვრელიდან გამოქვაბულში მოსახვედრად გამოქვაბულის „იატაკში“ 40X60 სმ ზომის „ლუკია“ გამოჭრილი. გამოქვაბული საშუალოდ 3,5 მ დიამეტრისაა. ქვები ტლანქადაა ჩამომტვრეული და აშკარად დაუმთავრებელის შთაბეჭდილებას ტოვებს. გამოქვაბულში, „ლუკის“ სამხერთ-დასავლეთით, ზემოთ, ხვრელის გამოტეხა დაუწყიათ, მაგრამ არ დაუმთავრებიათ. „ლუკის“ ჩრდილოეთითაც, ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით (65X80 სმ) მეორე ხვრელია გამოკვეთილი. იგი დაახლოებით 5 მეტრის მანძილზე ირჩევა, შემდეგ კი წვიმის წყლით ჩამოტანილი ქვიშითაა დალამული. ეს ხვრელი გამოქვაბულის მეორე გასასვლელი უნდა ყოფილიყო და, ამავე დროს სინათლის წყაროც. გამოქვაბულის დასავლეთითაც დაუწყიათ გვირაბის კვეთა. დასაწყისში მისი სიმაღლე 1,6 მეტრია. გვირაბი სიღრმეში 5,70 მეტრის მანძილზეა შეჭრილი, მაგრამ ეს სამუშაოც შეუწყვეტიათ, იქვეა დატოვებული უკანასკნელად ჩამოტეხილი ქვები.

სავარაუდოა, რომ შიშიანობის დროს, როდესაც ეკლესიის სამალავი უკვე საკმარისი არ იყო ეკლესიის განძეულის შესანახად და, შესაძლებელია, მცირე ხნით ორი-სამი ადამიანის თავშესაფარად, გამოქვაბულის გამოკვეთა დაუწყიათ, მაგრამ რაღაც მიზეზით, შეიძლება მტრის მოულოდნელი შემოსევის გამო, „მშენებლობა“ შეუწყვეტიათ. ყრუ მინაშენი შეიძლება ამ გამოქვაბულში შესასვლელი ხვრელის შენიღბვის მიზნით იყოს აგებული[7]. გამოქვაბულში გასასვლელი ხვრელის დასაწყისი არაფრით არ გამოიყოფა კედლის წყობიდან, ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს წყობიდან ერთი ან ორი ქვა არის ამოვარდნილი. ტლანქად შემოსწორებული შესაფერისი ზომის ქვის ჩადგმით შესასვლელი დაიფარებოდა და საიმედოდ იქნებოდა შენიღბული. გამოქვაბულთან მისასვლელი ხვრელის სიმცირის გამო მასში გასვლა მხოლოდ დაწოლილად — ხოხვითაა შესაძლებელი. ამასთანავე, საჭიროა სინათლე, რადგან ხვრელის შიგნით აბსოლუტური სიბნელეა.

ზედა ვარძიის ხევის კლდეებში ბევრი გამოქვაბულია გამოკვეთილი. ზოგან ხელოვნურად გამაგრებული პატარა სათავსებიც გვაქვს. ასეთია, მაგალითად, ეკლესიის ჩრდილოეთით (50 მეტრზე), კლდის ერთ-ერთ ნაოჭში, მერცხლის ბუდესავით შეყუჟული (ტაბ. 25), კედლით შემოფარგლული სათავსი, რომლის კარ-სარკმელი თავის სიმცირის გამო უფრო სათოფურებს მოგვაგონებს და, ცხადია, ამ როლსაც ასრულებდნენ საჭიროების დროს. ამიტომ გასაკვირველი არ არის, თუ ეკლესიის გამოქვაბულ-სამალავსაც, თუმცა იგი დამთავრებული არ არის, თავშესაფართა რიცხვს მივაკუთვნებთ.

[7] რასაკვირველია, სხვა ვარაუდიც არ არის გამორიცხული. ამ მოსაზრებას ჩვენ უფრო იმიტომ ვაყენებთ, რომ სხვასთან შედარებით ის უფრო მართებულად მიგვაჩნია.



სურ. 11. დასავლეთის მინაშენის და სამალავი გამოქვაბულის გეგმა.

ძეგლის ისტორია

1. სამხრეთის კარის ბალავარზე ამოკვეთილი წარწერა

ზედა ვარძიის ეკლესიის სამხრეთის შესასვლელი კარის ბალავრის ქვაზე გამოკვეთილი ჯვრის ორსავე მხარეს მოთავსებულია მოხდენილი, ე. წ. კიდურყვავილოვანი, მრგვლოვანი ასომთავრულით შესრულებული წარწერა (სურ. 12, 13, ტაბ. 34).

ჯვრის მარცხნივ მდებარეობს წარწერის ხუთი სტრიქონი (მეხუთე სტრიქონზე მხოლოდ ორი ასოა გადატანილი), მარჯვნივ — ოთხი სტრიქონი. მარჯვნივ მდებარე სტრიქონები ოდნავ უფრო დაბლაა განლაგებული.



სურ. 12. სამხრეთის კარის ბალავრის წარწერა.

წარწერის მარცხენა მხარე 46 სანტიმეტრის სიგრძისაა („ქანწილია“ ჩათვლით — 50 სმ), ხოლო მარჯვენა — 39 სანტიმეტრს უდრის. სტრიქონები მკაფიოდაა გამოყოფილი ერთიმეორისაგან. ყოველი ასო გამოცალკევებულია, მაგრამ მანძილი ასოთა და სიტყვათა შორის ერთნაირია, სტრიქონი უწყვეტ ზოლად აღიქმება. სიტყვების ნაწილი დაქარაგმებულია. ასოთა სიმაღლე 4—7 სანტიმეტრის ფარგლებში მერყეობს.

წარწერის მარცხენა ნაწილის პირველი სტრიქონის ⵓ ასოების ქვეშ შეიმჩნევა წმინდად შემოხაზული კვალი ორი ⵓ ასოსი. როგორც ეტყობა, ეს

სურ. 13. ამოკვეთილი წარწერის ასოთა ნიმუშები.

არის დამწერის მიერ უარყოფილი წარწერის განლაგების პირველი ცდა (ან სხვა ტექსტი), მარჯვენა ნაწილის მეოთხე სტრიქონის უკანასკნელი სიტყვის Ⴢ-ის შემდეგ იმავე თარაზულ ხაზზე ორი წერტილია ამოკვეთილი და შეიმჩნევა ოდნავ შემოხაზული წრის ნაშთი Ⴢ ›› ასო უნდა ყოფილიყო). ესეც პირვანდელი განლაგების კვალი უნდა იყოს.

ცნობილია, რომ ქართულ ხუროთმოძღვრულ ნაგებობაში, ოსტატნი ჩუქურთმის ნახატის გამოსაყოფად, ხშირად ჩუქურთმის მიწარს[1] (ფონს) სინგურით ღებავდნენ. ასეა ზედა ვარძიაშიც, წითელი ფერით არის შეღებილი აღმოსავლეთი ფასადის მრგვალი სარკმლის ჩუქურთმის მიწარი და ცენტრალური სარკმლის საპირის პირველი (შიდა) ორნამენტული ზოლის მიწარიც. ამავე მიზნით ღებავდნენ წარწერის ასოთა სიღრმესაც, მაგალითად, ასე გვაქვს შეპიაკში, დარკვეთში, იშხანში და სხვაგან. სინგურითაა შეღებილი ზედა ვარძიის ასოებიც. წერტილებიც სინგურითაა დასმული.

---

[1] ტერმინი მიწარი, შემოიღო ირ. სონღულაშვილმა და გამოყენებული აქვს თავის შრომებში ნაქარგობის შესახებ და სხვაგანაც ფონის შესატყვისად. იგი კარგად გამოხატავს სიტყვის არსს და მიზანშეწონილად მიმაჩნია ამ ტერმინის ხმარება ჩვენს შემთხვევებშიც.

ჩვენი აზრით წარწერა ასე იკითხება:

ᲩᲔ ⲞᲾᲫᲐ : ᲘᲨᲜᲐ : ⲞᲾᲔ
ᲢᲧᲨ. ᲢᲧᲜᲨ. ᲬᲜᲨᲜᲜ
ᲫᲨ : ᲧᲨᲢᲬᲨᲨ. ⲞᲾᲜ
ᲨᲨ : ⲞᲾᲘᲨᲜ ᲡᲧᲩᲢᲬᲬ
ᲡᲨ:.

ⲞᲾᲩ : ᲢᲬᲡᲨᲐᲫ :
ᲢᲩᲢᲧᲨ : ᲨᲘᲢᲧᲢ
ᲩᲨ : ⲞᲾᲔ : ᲢᲢ : ᲢᲬᲬᲢ
ᲡᲨᲨᲔ : ᲨᲩᲩ

წ. დ(ე)დ(ა)ო ღ(ვ)თის(ა)ო, მ(ეო)ხ ეყ(ა)ვ ე(რისთავთ) ე(რისთავ)სა ლ(ი)პ(ა)რი(ტ)ს და შვილთა მისთა დღ(ე)ს(ა)მ(ა)ს ს(ა)შ(ი)ელსა, რ(ომელმა)ნ გ(უ)ლსმოდგ(ი)ნებ(ი)თ აღგ(ი)შენა წ(მიდა)ჲ ესე ეკლესიაჲ ა(მი)ნ.

წარწერაში წერტილების განლაგება ყოველთვის მართებული არ არის. მაგალითად, ერთ შემთხვევაში ჯვრის მარჯვენა მხარეს, პირველ სტრიქონში დაწყებული სიტყვა — გულსმოდგინებით — მეორე სტრიქონში გადმოდის, წერტილები კი დასმულია როგორც პირველ სტრიქონში-Ⲟ-„დონის“ შემდეგ, ასევე სიტყვის დამთავრების—Ⲩ—„თანის“—შემდეგ. ჯვრის მარცხენა მხარეს მეოთხე სტრიქონში კი სიტყვა ⲞᲾᲘᲨ-დღეს და ᲫᲨ-მას, არა აქვს დასმული წერტილები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ სიტყვას არც ქარაგმა ახლავს. არა აქვს განკვეთილობის ნიშანი წარწერის მარცხენა ნაწილში ᲫᲔ—მეოხ, ᲬᲜᲨᲜᲜ—ლიპარიტს. მეხუთე სტრიქონში ორი ასოს ᲡᲨ-ს შემდეგ კი სამი წერტილია, რაც უფრო წინადადების ან წარწერის დამთავრებისას იქნებოდა მოსალოდნელი და გამართლებულიც. ამავე დროს წარწერის მარჯვენა მხარეს, მეოთხე სტრიქონში დამამთავრებელ სიტყვას ᲨᲩ—ამინ-ს არავითარი ნიშანი არა აქვს.

წარწერის წაკითხვა პირველად მ. ბროსემ სცადა. იგი ასე კითხულობს: „წმ. დედაო ღვთისაო, მეოხ ეყავ ევსტატე ალპარისს და შვილთა მისთა, დღესა მას საშინელსა, რომელმან გულსმოდგინებით აღგიშენა ესე წმ. ეკლესია. ამინ[2]“. მ. ბროსე აქვე დასძენს: „აღმაშენებელი უცნობი პირია, მაგრამ რა რიგ მდიდარნი უნდა ყოფილიყვნენ კერძო პირნი, რომელნიც აშენებდნენ ასეთ შენობებსო“.

დ. ბაქრაძე ზედა ვარძიის მონახულების შემდეგ თავის მოკლე აღწერაში აღნიშნავს, რომ ეკლესია პირუტყვის სადგომად — ბაკად არის გადაქცეული აქ ჩამოსახლებული ქურთების მიერ. აღნიშნავს, რომ შესასვლელის წარწერა მოიხსენიებს აღმშენებელს, შეაქვს შესწორება ბროსესეულ წაკითხვაში[3] და ძეგლის აგების თარიღად XIII ს. დასასრულს თვლის.

ვარძიის მონასტრის წინამძღვარი, მღვდელ-მონაზონი კალისტრატე ამ წარწერას შემდეგნაირად კითხულობს: „დედაო ღვთისაო მხეელისა პატრონის და შვილის თამარისთანა დღესა მას საშეებელსა ჰყვენ, რომელმან გულს მოდგინებით აღგიშენა წმინდა ესე ეკლესია ამინ[4].

[2] S. Mère de Dieu, intercéde pour Ewstathé Alpari et pour ses fils, au jeur terrible; e'est lui qui avec ferveur; tá construit cette sainte église; amen“. M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique, 159 pa.

[3] «У входа ея сохранилась надпись церковным грузинским алфавитом, в котором упоминается имя строителя. Имя это академик Броссе вычитал так: «Евстате алпарис» Я же прочел: «Еликум Липарит» и мне кажется это должен быть Еликум, I, из фамилии Орбелиани, живший в исходе XIII в. и известный в истории Грузии, как по грузинским летописям, так и по армянской хронике Степаноса архиепископа Сюнина, оставившего нам на армянском языке, между прочим, сведения о роде Орбелиани, к которому принадлежит он сам». Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, Тбилиси, 1875, с. 71.

[4] ჟურნალი „მწყემსი“, № 11, 1886, „საისტორიო მასალა“, გვ. 13. თამარის სახელის ამოკით-

1891 წ. ვინმე კალისტრატეს წარწერა ასე წაუკითხავს: „დედაო ღვთისაო, მეოხ ეყავ ერისთავსა ლიპარის და შვილთა მისთა დღესა მას საშინელსა, რომელმან გულს მოდგინებით აღგიშენა წმინდა ეკლესია. ამინ[5]“. ეს უკანასკნელი წაკითხვა ყველა ადრეულ წაკითხვაზე სწორია. ჩვენი აზრით ქარაგმა ასე იხსნება: ერისთავთერისთავსა და არა ერისთავსა, ეს ასეა ყველა ცნობილი ძეგლის შიხედვით. ასეთი წაკითხვის სისწორე იმდენად ცხადია, რომ, როდესაც თ. ჟორდანიას თავის „ქრონიკების“ I წიგნის მე-200 გვერდზე მოჰყავს 1891 წ. გაზ. ივერიიდან (№ 239) ამონაბეჭდი, ნებსით თუ უნებლიეთ შეაქვს შესწორება და ერისთავის ნაცვლად, ერისთავთერისთავს წერს. რაც შეეხება ᲮᲡᲘᲗᲬ-ს, რომ ეს სახელი ლიპარიტია, არც ეს არის სადავო, მიუხედავად უჩვეულო დაქარაგმებისა (ტ-არი გამოტოვებულია). სხვა ძეგლებში (გოხნარი, იმერა, დიდი გომარეთი, პატარა გომარეთი, ამბარლო და სხვა) სახელი ლიპარიტი ჩვეულებრივ ᲮᲣᲔ-ის სახით გვხვდება დაქარაგმებული. შეპიაკში კი, შეიძლება ითქვას, იგი ქარაგმის გარეშეა (ᲮᲣᲪᲘᲗᲔ) დაწერილი. შესაძლებელია ეს სახელი ლიპარის სახითაც იხმარებოდა?

წარწერას ქრონიკონი არა აქვს, სამწუხაროდ, არც ისაა აღნიშნული ვისი ძეა ლიპარიტი, ამიტომ გამოსარკვევია, რომელი ლიპარიტთაგანია ზედა ვარძიის წარწერაში მოხსენებული. ვიდრე ამ უკანასკნელ საკითხს განვიხილავდეთ, გვინდა მივმართოთ წარწერის პალეოგრაფიულ ანალიზს და, რამდენადაც შესაძლებელია, დავადგინოთ წარწერის ამოკვეთის დროის საზღვრები პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასოთა სიმაღლე ცვალებადია. ასოთა ზომის სხვადასხვაობა, ისევე როგორც ასოთა კიდურების შემკობა, წმინდა დეკორაციული ხასიათის უნდა იყოს. აქ წარწერა თავისი პირდაპირი დანიშნულების გარდა კარის შემამკობელი კომპოზიციის კომპონენტად არის ქცეული. მსგავსად ატენის სიონის წარწერისა, რომლის შესახებაც შმერლინგი ამბობს: „ასოების შეერთება აღიქმება, როგორც დეკორაციული ამოცანა, როგორც თავისებური გრაფიკული ნახატი, რომლის სილამაზის გულისთვის თავისუფლად იცვლება პროპორციები და მათი მიმართებანი ურთიერთთან და სტრიქონთან“[6].

წარწერაში „ქანწილის“ გარდა გამოყენებულია ანბანის ოცდაორი ასო: ა, ბ, გ, დ, ე, ვ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ჲ, ო, პ, რ, ს, ღ, ყ, შ, წ, და ხ[7].

ვის გამო, ავტორი ძეგლს 1156—1212 წლებს შორის აქცევს. წარწერის ასეთი გამიფვრა სასულიერო წოდების წარმომადგენლის მიერ ცოტა არ იყოს განცვიფრებას იწვევს. თუმცა, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს („ქართული დამწერლობათა მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“), ეს იმ გარემოებას შეიძლება მიეაწეროთ, რომ „მეთვრამეტე საუკუნიდან სასულიერო წოდების წარმომადგენლებიც კი ისე გადაეჩვიენენ ასომთავრულ კითხვას, რომ ვეღარ არჩევდნენო“.

[5] „ივერია“, № 239, 1891, გვ. 3. „საისტორიო მასალა“ II, 1027—1072 წწ.

[6] რ. შ მ ერ ლ ი ნ გ ი, „ატენის სიონის კედლის მხატვრობის თარიღის საკითხისათვის“, „საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VIII, № 4, 1947, გვ. 264—265.

[7] ამ ასოთაგან გეხვდება.

Ⴀ — ა — 9-ჯერ	Ⴓ — თ — 4-ჯერ	Ⴓ — ჲ — 2-ჯერ.	Ⴕ — ყ — ერთხელ
Ⴁ — ბ — ერთხელ	Ⴈ — ი — 5-ჯერ	Ⴝ — ო — 3-ჯერ	Ⴟ — შ — 3-ჯერ
Ⴂ — გ — 3-ჯერ	Ⴉ — კ — ერთხელ	Ⴞ — პ — ერთხელ	Ⴠ — ხ — ერთხელ
Ⴃ — დ — 5-ჯერ	Ⴊ — ლ — 5-ჯერ	Ⴡ — რ — 2-ჯერ	Ⴢ — წ — ერთხელ
Ⴄ — ე — 10-ჯერ	Ⴋ — მ — 4-ჯერ	Ⴣ — ს — 11-ჯერ	
Ⴅ — ვ — 2-ჯერ	Ⴌ — ნ — 5-ჯერ	Ⴤ — ღ — 3-ჯერ.	

ამათგან ასოები ა, დ, თ, ი. (ერთის გამოკლებით), მ, ნ, ო, პ და ს კიდურყვავილოვანია[8], დანარჩენი კი — ტყუბწვეტიანი. ამგვარად, ანბანის 23 ასოდან 9 ასო კიდურყვავილოვანია. საერთოდ კი 83 ასოდან 36 ასოა შემკული. კიდურყვავილოვან ასოთა რაოდენობა მარცხნივ მეტია. მარცხენა ნაწილის ქარაგმებიც კიდურყვავილოვანია, რის გამო წარწერის ეს მხარე უფრო მოკაზმულად გამოიყურება ვიდრე მარჯვენა (სურ. 12, 13 ტაბ. 34).

ასოთა ისეთი შემკობა, როგორიც ზედა ვარძიის წარწერაში გვაქვს, სხვა ლაპიდარულ წარწერებში ჩვენთვის არ არის ცნობილი. შემკული ლაპიდარული წარწერები ყოველ ცალკეულ შემთხვევაში თავისებური ხასიათისაა. ასე, მაგალითად, შეპიაკის სამხრეთი კარის ტიმპანის წარწერა[9] და რუისის გიორგი ეპისკოპოსის წარწერა თაღის მედალიონში ტყუბწვეტიანი ასოებით არის შესრულებული. რუისის კონქის წარწერა[10] და მცხეთის სვეტიცხოველის გარეგჭის წარწერა კი ისრებიანი ან ნახევარისრებიანი ასოებითაა განხორციელებული[11]. სამთავისის ტაძრის აღმოსავლეთი ფასადის (1030 წ.) წარწერების ასოების შემკობა ტყუბწვეტიანი კიდურებით და ზოგიერთ შემთხვევაში კი (როგორც, მაგალითად, ა, დ, და სხვა ასოები) შიგა რკალზე სამკუთხა წყვეტის, ეკლესიური პატარა სამკაულის დამატებით არის მიღწეული[12]. საორბისის აღმოსავლეთი ფასადის ფრონტონზე (1152 წ.) წარწერის ასოები (სურ. 14-1) იმკობა ასოს კიდურების ურთიერთგადამკვეთი ხაზების კვეთის წერტილებში სამკუთხედების შექმნით და ასოების შიგნით წრეებისა და წერტილების ჩასმით (ორ შემთხვევაში — ყვავილის დამატებით). ქარზამეთში ეკლესიის სამხრეთი ფასადის კარის ტიმპანის წარწერის შემკობა მიღწეულია ქარაგმების ხასიათითა და სასვენი ნიშნების გამომხატველი ორ-ორი წერტილით (სურ. 14-2). მღვიმევის მცირე ეკლესიის სამხრეთი კარის წარწერა სამკაულის მხრივ ყველაზე რთულ სახეს გვაძლევს. აქ ასოები გადაბმასთან და ერთიმეორეში ჩართვასთან ერთად, მრავალგვარი დამატებითი ელემენტითაა შემკული (სურ. 14-3). ხსენებული წარწერების შემკობის თავისებურება მჭიდრო კავშირშია მათი შესრულებისდროინდელი დამწერლობის ხასიათთან, და ეს თავისებურებანი, რასაკვირველია, არ შეიძლება შემთხვევით მოვლენად ჩაითვალოს.

ჩვენამდე მოღწეული ადრეული ძეგლებისათვის, როგორიცაა ბოლნისი, ჯვარი, სამშვილდე, შემდეგში — კუმურდო, შეპიაკი, დიდი გომარეთი და სხვა მრავალი, დამახასიათებელია მკაფიოდ გამოხატული სტრიქონთა სისტემა და სტრიქონში გამოცალკევებული ყოველი ასო. ასეთივე სისტემა ახასიათებს ხელნაწერ ძეგლებსაც[13]. ეს ყველაფერი, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ახასიათებს ზედა ვარძიის წარწერასაც. მაგრამ ამ საერთო ნიშნების გარდა გასათვალისწინებელია ისიც, რაც ახასიათებს ზედა ვარძიის წარწერას და რაც განასხ-

---

[8] ტერმინი კიდურყვავილოვანი გულისხმობს ასოთა კიდურების დამთავრების, შემკობის სხვადასხვა ვარიანტს: წრეებით, ბირთვებით, ფოთლებით, ყვავილით და სხვა...

[9] ლ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი, თრიალეთის საერისთაოს X საუკუნის ერთი ძეგლი, ქართული ხელოვნება, 6A, თბილისი, 1963, სურ. 9, ტაბ. 70.

[10] გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, რუისის ტაძრის ისტორიისათვის, ენიმკის მოამბე, ტ. V—VI, 1940, გვ. 446—447, ორივე წარწერა ერთ გვერდზეა მოყვანილი.

[11] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, მცხეთის სვეტი-ცხოველის ტაძრის უძველესი წარწერები და მათი დამოკიდებულება მელქისედეკ კათალიკოსის ანდერძთან, „ქართული ხელოვნება", წ. 1, 1942 გვ. 134—136.

[12] გ. ს ო ხ ა შ ვ ი ლ ი, სამთავისი, თბილისი, 1973, ტაბ. 51, 52.

[13] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949, გვ. 10, გვ. 106—107.

ვავებს (ან აახლოებს) მას სხვა ძეგლთა წარწერებისაგან. კერძოდ, პალეოგრაფიული ნიშნები და ასოთა სამკაული.



სურ. 14. ლაპიდარული წარწერების ნიმუშები.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზედა ვარძიის ასოთა სამკაულს და მხოლოდ ასოთა საერთო მოყვანილობას — მონახაზს — შევუდარებთ სხვა ძეგლთა წარწერებს, დავინახავთ, რომ იგი X საუკუნის, არა უგვიანეს XI საუკუნის ოციანი წლების ძეგლების წარწერებს უახლოვდება. ტერიტორიულად — ყველაზე მახლობელ კუმურდოს, აგრეთვე წალკის რაიონის ძეგლებს — შეპიაკს, დიდ გომარეთს და სხვათ. ასოთა მონახაზში, პროპორციებში განსხვავება სულ არ არის, ან ძალიან უმნიშვნელოა. მეტადრე კუმურდოს წარწერის (სამხრეთი შესასვლელის კარის ტიმპანზე) ასოთა მონახაზია ახლოს ზედა ვარძიასთან: ა, დ, თ, რ და სხვა ასოები ერთგვარია. მხოლოდ ბ ა ნ ი და გ ა ნ ი (სამიდან ორ შემთხვევაში) შეიძლება ოდნავ მეტად იყოს შემორკალული ზედა

ვარძიაში, ვიდრე ეს კუმურდოსა და შეპიაკში გვაქვს. მაგრამ ამ დროის ხელნაწერებში არაერთხელ გვხვდება ასეთი მოხაზულობაც.

რაკი ლაპიდარულ წარწერებში ზედა ვარძიის ასოთა სამკაულის პარალელი არ მოიძებნა, წარწერის საერთო ხასიათით კი X საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის, X—XI საუკუნეთა მიჯნის წარწერებს უახლოვდება, გადავწყვიტეთ დამწერლობის სხვა ნიმუშებისათვის მიგვემართა. ამიტომ გადავხედეთ როგორც ხელნაწერ მასალას, ისევე ჭედური და ფრესკული ძეგლების დამწერლობასაც. როგორც ქვემოთ დავინახავთ, თუ გავითვალისწინებთ ქვაზე წერის—კვეთის — სპეციფიკურობასაც, ზედა ვარძიის წარწერის ასოთა სამკაული X საუკუნის დასასრულის, X—XI საუკუნეთა მიჯნის ხელნაწერთა საზენაო ასოების სამკაულს გვაგონებს.

უნდა აღინიშნოს, რომ X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე ხელნაწერებში შემკული საზენაო ასოები არ გვხვდება. ადრინდელ ხელნაწერებში საწყისი ასოები, ტექსტის ასოებთან შედარებით, უფრო დიდი ზომისაა. ეს განსხვავება საგრძნობია. საზენაო ასოები ორ-სამ-რვა-ათჯერაც და მეტჯერაც კი აღემატებიან ასოს სტრიქონში[14]. ისინი ან ტექსტისავე მელნით, ან ტექსტის მელნისაგან განსხვავებული სხვა (ფერადით—სინგურით, ღია ყავისფერით, ოქროს ფერით, ან რომელიმე სხვა) ფერითაა შესრულებული. ზოგჯერ ასოთა ნაწილი ტექსტის მელნითაა შესრულებული, ნაწილი — სინგურით[15]. ამასთანავე, იმისდა მიუხედავად, ტექსტი ასომთავრულით თუ ნუსხურითაა დაწერილი, საზენაო ასოები ყოველთვის მრგვლოვანი ასომთავრულია[16].

X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ჩნდება საზენაო ასოების შემკობის მოთხოვნილება. ამ დროიდან მოყოლებული ხელნაწერებში ერთფეროვანი საზენაო ასოების გვერდით ფერადოვანი (სხვადასხვა ფერით შესრულებული) და კიდურყვავილოვანი (მეტწილად ასევე სხვადასხვა ფერით შეხამებული) საზენაო ასოებიც გვხვდება. შემკული ასოების რიცხვი დროთა განმავლობაში იზრდება, ხოლო მათი სამკაული იცვლება, რთულდება და მრავალფეროვანი ხდება. იშხნის ეპისკოპოსისათვის (973 წ.) გადაწერილ ხელნაწერში „მამათა თხზულება“ A 35, ჩვეულებრივი, ერთი ფერით შესრულებული საზენაო ასოების გვერდით სხვადასხვა ფერით შეხამებულ ასოებს ვხედავთ, რომელთა შემკულობა, გარდა ფერადოვანი შეხამებისა, კიდურებზე წრეების დამატებით არის განხორციელებული. ზოგი მათგანი ზედა ვარძიაში გამოყენებული ასოების უშუალო პარალელია, მაგალითად, ა, დ, ი, ?, ტ და ხ (სურ. 15, 16, 17)[17]. მიახლოებითი მსგავსება შეიმჩნევა ზოგიერთ სხვა ხელნაწერთანაც (H 1346,

---

[14] მაგალითად, სინას მრავალთავის (864 წ.) ხელნაწერის ანდერძში Ϟ-31-ჯერ აღემატება სტრიქონის ასოების ზომას.

[15] მაგალითისათვის დავასახელებთ კ. კეკელიძის სახ. ინსტ-ის ხელნაწერების ფონდებიდან ხელნაწერებს: H 1660 რუჭის ოთხთავი (936—940 წლების), S 1139 მამათა სწავლანი (930-940 წ), A 1453, პარხლის ოთხთავი (973 წ.).

[16] იმავე ფონდებიდან H 1660; H 1704; A 359; A 1453. ხელნაწერებში ტექსტ ასომთავრულია. S 1139, A 87, A 97, A 134, H 1346, H 1350, H 1366, H 1667. ტექსტი ნუსხურია, საზენაო ასოები კი ყველა მათგანში ასომთავრული მრგვლოვანი.

[17] A 35 ხელნაწერის ასოები, როგორც სურ. 15-დან ჩანს, გადატიხრულია. ტიხრებს შორი მონაკვეთები ორი, სამი ან ოთხი ფერის მონაცვლეობით არის შეხამებული. რაც შეეხება ასო ტ-ს ზედა ვარძიაში იგი არ გვხვდება, ამიტომ სურ. 16, 17-ში ტ არ შეგვიტანია.

A 88, H 1704). ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ წარწერის ამომკვეთს ხელთ სწორედ „მამათა თხზულება“ (A 35) ჰქონდა და ყველა ასო, რომელიც ხელნაწერში შემკული შეხვედრია, თავის წარწერაშიც ისევე შეუმკია.



სურ. 15. A 35 ხელნაწერის საზენაო ასოები.

რიგი ხელნაწერის გადასინჯვისა და მოპოვებული მასალის ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ ზედა ვარძიის წარწერის ასოებს ბევრი (სურ. 12, 13) საერთო აქვს X საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის და X—XI საუკუნეთა მიჯნის ხელნაწერთა საზენაო ასოებთან. ეს დიდი მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ ოსტატს ზედა ვარძიის წარწერის ასოთა მოყვანილობისა და სამკაულის შერჩევისას ნიმუშად X საუკუნის მიწურულის, X—XI საუკუნეთა მიჯნის ერთი ან რამდენიმე ხელნაწერი ჰქონია აღებული. მართლაც, ზედა ვარძიის წარწერის ცხრა კიდურყვავილოვანი ასო (სურ. 16); ა, დ, თ, ი, მ, ნ[18], ო, პ,

[18] X ს. დასასრულის და X—XI სს. მიჯნის ხელნაწერებში კიდურყვავილოვანი „ნარი“ გამონაკლისის სახით გვხვდება. მისი სამკაული განსხვავდება ზედა ვარძიის წარწერაში გამოყენებული სამკაულისაგან და ამიტომ ტაბულაში არ შეგვიტანია.

და ხ ამ დროის ხელნაწერებშიც კიდურყვავილოვანია. ხელნაწერების ის საზენაო ასოები, რომლებიც ერთი ფერით ან რამდენიმე ფერის შეხამებით არიან შემკული, ან საერთოდ არ არიან შემკული, ჩვენს წარწერაშიც სამკაულის გარეშეა დატოვებული (სურ. 16, 17).



სურ. 16. ხელნაწერთა საზენაო ასოები, X—XI სს.

ეს გარემოება არ უნდა იყოს შემთხვევითი. ცხადია, დამწერი თუ წარწერის შემსრულებელი, რომელმაც ასოთა ნაწილი ესოდენ მოხდენილად შეამკო, წარწერის სხვა ასოთა შემკობასაც მოახერხებდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ავტორმა პედანტურად გამოიყენა მისთვის ცნობილ ხელნაწერებში შემკული სა-

ზენაო ასოები და ერთგვარი გაუბედაობა გამოიჩინა იმ ასოთა მიმართ, რომლებიც ხელნაწერებში სამკაულის გარეშე იყო დატოვებული, ცხადია, იმ დროის ხელნაწერებში დამკვიდრებული ნორმების დარღვევას მოერიდა[19]. ასო-



სურ. 17. ხელნაწერთა საზენაო ასოები, X—XVI სს.

[19] როგორც ქვემოთ დავინახავთ, ლაპიდარულ წარწერებშიც გვაქვს ისეთი წარწერა, რომლის ყოველი ასო შემკულია. ამ წარწერის ასოთა სამკაულის სახეობაც გვაგონებს ხელნაწერთა საზენაო ასოებს, მაგრამ ასოს ასეთი სამკაულის ხმარების დროს, უკვე ხელნაწერებშიც ყოველ საზენაო ასო შემკული გვხვდება.

თან შემკულობის მსგავსების შესახებ ნათქვამი, ქარაგმათა შემკულობის მიმართაც ძალაში ჩნდება. A 35, A 257 და სხვა ხელნაწერებშიც, ჩვეულებრივ ქარაგმებთან ერთად, შემკულ ქარაგმებსაც ვხვდებით. ზედა ვარძიის წარწერაშიც ორივე სახის (სადა და შემკული) ქარაგმებს ვხედავთ და აქაც მსგავსება ხელნაწერებში ხმარებულ ქარაგმებთან უდავოა (სურ. 16, 17).

სხვადასხვა საუკუნის ხელნაწერთა საზენაო ასოების შედარებისას (სურ. 16)[20] ცხადი ხდება, რომ ასოების შემკობის წესი დროთა განმავლობაში იცვლებოდა. ეს ცვლილება მეღავნდება არამარტო სხვადასხვა საუკუნის, არამედ ერთი საუკუნის მანძილზედაც კი. მაგალითად, XI ს. პირველი ნახევრისგან განსხვავებით, XI ს. მეორე ნახევრის ხელნაწერებში უფრო ფართოდ არის გამოყენებული ასოთა შემკობა. უფრო ზუსტად / XI ს. მეორე მეოთხედიდან ხელნაწერებში შემკული ასოების რიცხვი იზრდება. თუ XI ს. პირველი მეოთხედის ხელნაწერებში ე, ვ, ხ და ნ ასოთა შემკობა



სურ. 18. A 87 ხელნაწერის საზენაო ასოები.

მხოლოდ ფერადოვანია, XI ს. მეორე მეოთხედიდან (A 135— 1035 წ., H 22 1 — XI ს. პირველი ნახევარი, A 87 — 1065 წ.) კიდურყვავილოვანიცაა. თუ მანამდე ასოები ბ, კ, რ, და შ ჩვეულებრივ ერთი ფერით იყო შესრულებული, XI ს. მეორე ნახევრიდან უკვე შემკულსაც ვხვდებით. შეიძლება ითქვას, რომ დროთა განმავლობაში თითქმის ყველა საზენაო ასო იმკობა. თუ X ს. დამლევისათვის ყ ასოს ფერადოვანი შეხამება იშვიათი გამონაკლისია (A 35, 973 წ.), ს და ღ კი ყოველთვის ერთი ფერითაა შესრულებული, XI ს. პირველ ნახევარში ამ ასოებს რამდენიმე ფერის შეხამებითაც ვხვდებით. მაგალითად, A1, 1030—1031 წ.; A 135, 1035 წ.; A 88, XI ს. დასაწყისი, A 88;

[20] სურ. 16-ზე წარმოდგენილია მხოლოდ იმ ხელნაწერთა საზენაო ასოები, რომლებიც ჩვენ უფრო დამახასიათებლად მივიჩნიეთ. გამოყენებულია, ძირითადად, აკად. ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდები.

H2211, XI ს. და სხვა. XI ს. მეორე ნახევარში ასო ს ფერადოვანის გარდა, კიდურ-ყვავილოვანიც გვაქვს, მაგ., A 87-ში (სურ. 18) და ახალციხის ოთხთავში[21]. ჯრუჭის ოთხთავში (A 1667, XII ს.) კი ს,ღ, ყ, ასოთა შემკობა (სურ. 19) უკვე ჩვეულებრივია, ასევეა მაგალითად, 1241 წ. პარხლის სახარება-ოთხთავში[22] და ამ დროის სხვა ხელნაწერებშიც. მოქვის 1300 წ. სახარებაში (Q—902) „ლასი", რომელიც თითქმის არც ერთ სხვა ხელნაწერში შემკული არ გვხვდება[23], შემკულია. ამგვარად (სურ. 17), მოყვანილი ასოები გვარწმუნებენ, რომ შემკულ ასოთა რაოდენობა საუკუნეთა მანძილზე თანდათან მატულობდა. რაც შეეხება,



სურ. 19. H 1667 ხელნაწერის საზენაო ასოების ნიმუშები.

---

[21] სურ. 17-ზე მოყვანილი XI ს. ახალციხის სახარება (№ 186) ეკუთვნის ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. ჩვენ რ. შმერლინგის მასალით ვისარგებლეთ.

[22] $K\frac{237}{509}$ ხელნაწერი თბილისის კარლ მარქსის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ფონდებშია.

[23] მხედველობაში გვაქვს ჩვენ მიერ გადასინჯული მასალა.

ასოთა სამკაულს, აქაც საინტერესო ცვლილებას აქვს ადგილი: თუ X ს. უკანასკნელი მეოთხედის და XI ს. პირველ მეოთხედში ასოს ტანის გასწვრივ დამატებითი ელემენტები მარტო დ ასოს ახასიათებდა (სურ. 16, 17— A 35, H 1346), H 1704, XI ს. მეორე მეოთხედიდან მოყოლებული, ასეთი დამატებანი (მცირე გამონაკლისით) თითქმის ყველა ასოს ახასიათებს[24] (სურ. 16, 17—AI, A87, H 1667, Q 902 და სხვა მრავალი). ასოს ტანის მხოლოდ მოხდენილი მოყვანილობა, სხვადასხვა ფერით შეხამება, კიდურ-ყვავილიანობა, დამწერს აღარ აკმაყოფილებს და შეფერადებული (ხანდა-ხან ფერადი ხაზებით შესრულებული) ასოების ტანის მთელ სიგრძეზე მრავალი სხვადასხვა დამატებითი ელემენტი შეაქვს. ასეთია, მაგალითად A 285-ში (XI ს. პირველი ნახევარი, კლემაქსი ნუსხურით ეტრატზე შესრულებული) ბ, ე, ი, რ; ყ და სხვა. ახალციხის ოთხთავში—დ, მ, ო და სხვა ასოები. H2211-ში—დ, ი, ზ, ხ, და ა. შ. A 87-ში ა, ვ, დ, ე, ზ, კ და თითქმის ყველა დანარჩენი საზენაო ასო. ჯრუჭის ოთხთავის და მოქვის სახარების შემამკობელნი კი ამ მრა-ვალფეროვნებითაც აღარ კმაყოფილდებიან და ასოთა გადმოცემისას ფრინველთა, ცხოველთა და ადამიანთა გამოსახვასაც მიმართავენ. ასე, მაგალითად, H 1667-ში ა, დ, ო, ყ, (სურ. 17, მესამე სვეტი სურ. 19), მოქვის სახარებაში—ა და ჭ[25]. ამ ორი უკანასკნელი ხელნაწერის გამფორმებელნი არ სჯერდებიან ცალკეული ფრინველის ან ცხოველის გადმოცემას და მთელი სცენების გამოხატვასაც კი ახერხებენ, მაგ. H1667-ში დ და წ (სურ. 17, მესამე სვეტი, სურ. 19), მოქვის სახარებაში—დ[26], და ა. შ. ეს ფაქტი, რასაკვირველია, ამ დროის სხვა ხელნაწერებშიც დასტურდება. ამგვარად, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ხელნაწერთა საზენაო ასოების შედარება გვიჩვენებს, რომ ზედა ვარძიის წარწერა პალეო-გრაფიულად X საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის და X—XI საუკუნის მიჯნის ხელნაწერთა საზენაო ასოებს უახლოვდება როგორც მონახაზით, ისევე სამკაუ-ლითაც. (სურ. 16, 17). ტაბულების უკანასკნელ სვეტში მოყვანილია ზედა ვარ-ძიის ასოები და ეს შედარება, ვფიქრობ, თვალსაჩინოა გრაფიკულადაც.

როგორც ცნობილია, ფრესკული დამწერლობა ხელნაწერთა დამწერლო-ბის გავლენას განიცდის, ისიც დროთა განმავლობაში იცვლება. მაგრამ ეს ცვლილებანი, როგორც მასალამ დაგვანახა, უფრო შეზღუდულია. ზედა ვარ-ძიის შესატყვისი სამკაული მათ შორის არ გვხვდება, ამიტომ აქ მათ განხილ-ვას არ შევუდგებით, მით უფრო, რომ ზედა ვარძიის ფრესკულ წარწერასთან დაკავშირებით ქვემოთ მოკლედ შევეხებით მის პალეოგრაფიას.

რაც შეეხება ჭედური ხელოვნების ძეგლების წარწერებს, ჩვენ ვრწმუნდე-ბით, რომ აქაც სამკაული დროთა განმავლობაში იხვეწება, რთულდება და ეს ცვლილება კანონზომიერად ხელოვნების აღმავლობის ხანას ემთხვევა.

IX საუკუნის დამლევიდან გადარჩენილ ჭედური ხელოვნების ძეგლებზე ჩვენ ვხედავთ, რომ წარწერის ასოთა შემკობის მიზნით ოსტატი ასოების კიდუ-რებზე მცირე ან მოზრდილ წრეებს ათავსებს. მრგვალ წრეს ჭრის მიწარის სიღრმეში, თუ წარწერა ჩაჭრილია — ჩაძირულია, ან ცოტად თუ მეტად ამო-ხურცული „ბირთვებით“ ამთავრებს ასოთა კიდურებს, თუ ასოებიც მიწარის ზემოთაა ამოზნექილი. კიდურწერტილოვანია, მაგალითად ობუ-

[24] ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის ხელნაწერები, რომელთა ტექსტების საზენაო ასოები შემკულია.

[25] ასო „ჭ“ ტაბულაში არ არის შეტანილი, რადგან ზედა ვარძიის წარწერაში არ გვხვდება.

[26] რ. შ ე რ ლ ი ნ გ ი, ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები გვ. 60 და ტაბ. XXIII, 1940.

ჯის (916—917 წწ.) სამწერობელის, 973 წლის იშხნის, X საუკუნის დასასრულის ბრილის, 994 — 1001 წლების ბრეთის საწინამძღვრო ჯვრების წარწერები[27], X საუკუნის გელათის ღვთისმშობლის ხატის, ზარზმის 886 წლის ფერიცვალების ხატის წარწერა[28] (სურ. 20-1) და სხვა...

სურ. 20. ჰედური ხელოვნების ძეგლების ასოთა ნიმუშები.

[27] Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тбилиси, 1959, Фото-иллюстрации: 24, 57, 85, 103. ფოტოილუსტრაციების ნომრები დასახელებულია აღნიშნულ წიგნში მოყვანილი თანმიმდევრობის მიხედვით.

[28] ი ბ ე ვ ე, ილუსტრაცია 2, ტექსტი გვ. 27—33. როგორც დადასტურებულია, ზარზმის ფერისცვალების ხატის ჩარჩო დაზიანებული ყოფილა. განუახლებიათ XI ს. პირველ მეოთხედ-

ისევე როგორც ხელნაწერებში, ფრესკულსა და ლაპიდარულ წარწერებში, ჭედურობაშიც გვხვდება ასოთა კიდურების ტყუბწვეტიანობა. მაგალითად, სოფ. საყდრის, X საუკუნის საკურთხევლის წინა ჯვარზე წმ. თევდორეს გამოსახულებათა წარწერები; ბედიის 999 წ. ოქროს ბარძიმის წარწერა ზედა რკალზე; წარწერები — XI საუკუნის პირველი მესამედის სოფ. კორცხელის ღვთისმშობლის ხატის[29] და ამავე დროის სოფ. ლაბეჭინის ღვთისმშობლის ხატის(სურ. 20—3), წმ. კვირიკე გვერულისაჲ სოფ. ლაგურკიდან (სურ. 20—4), სეტის წმ. გიორგის ხატი (სურ. 20—20) და სხვა მრავალი. ზოგჯერ ასოს კიდურის ტყუბწვეტიანობა მოქნილი ფოთლის მსგავსად იშლება, როგორც გვაქვს ცაგერის ღვთისმშობლის ხატის წარწერის ზოგიერთ ასოში (სურ. 20—2). ტყუბწვეტიანი კიდურები სამკუთხედის მსგავსიც კი ხდება, როგორცაა ზემოდასახლებულ ლაბეჭინას (სურ. 20—3) და კორცხელის ხატების წარწერებზე, XI საუკუნის დასაწყისის გელათის ტონდოზე „წმ. მამაჲ“ (სურ. 20—5) და სხვა. საინტერესოა კიდურებზე სამკუთხედებით შემკული ასოები, თითქოს ამოკაწრული წმინდა ხაზით, როგორცაა სოფ. მურკმერის საწინამძღვრო ჯვრის წარწერაში (სურ. 20—6) და სოფ. ნაცულის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში (სურ. 20—7). ასე შემკული ასოები X—XI საუკუნეთა ხელნაწერებშიც გვხვდება: 87, A 134, A 135, A 359, H 1704 და სხვა... იმ განსხვავებით, რომ სამკუთხედები ხელნაწერების ასოებზე მიმართულია ხან/ ზევით და ხან ქვევით, ამასთანავე ფერადოვანია და უფრო მორთულად გამოიყურება. გვხვდება ჭედური ძეგლების წარწერები, რომელთა ნაწილი კიდურყვავილოვანია ან რომლებშიაც ტყუბწვეტიანობა, სამკუთხედები და კიდურყვავილიანობა ერთდროულად არის გამოყენებული. მაგალითად, საკაოს X საუკუნის დასასრულის ცხენოსანი წმ. გიორგის ხატის წარწერა (სურ. 20—8), შემოქმედის ფირფიტის (იერუსალიმში შესვლა) 1008 წ. წარწერა და სხვა.

X საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნის დასაწყისიდან, ისევე როგორც ხელნაწერებში, ჭედური ძეგლების წარწერებშიც კიდურყვავილოვანი ასოები ჭარბობენ და ბოლოს წარწერის ყოველი ასო იმკობა. ამასთანავე, თითოეული ძეგლის წარწერის სამკაული, შეიძლება ითქვას, ერთი სტილითაა შესრულებული: ასეთებია, X საუკუნით დათარიღებული ჩიხარეშის ტრიპტიქონი და მაშასადამე მისი ცენტრალური კომპოზიციის წარწერები (სურ. 20—21), X—XI საუკუნეთა მიჯნის ცაგერის ღვთისმშობლის ხატის წარწერა (სურ. 20—9), სხიერის XI საუკუნის დასაწყისის წმ. გიორგის ხატის წარწერა (სურ. 20—10), XI საუკუნის პირველი მესამედის წმ. კვირიკეს ხატი სოფ. ლაგურკიდან (სურ. 20—11); სუჯუნას წმ. გიორგის ხატის წარწერა (სურ. 20—13), ნაკიფარის წმ. გიორგი (სურ. 20—14), ასევე წმ. გიორგის ხატი სოფ. ხიდისთავიდან (სურ. 20—15), ღვთისმშობლის და მაცხოვრის ხატების წარწერები მღვიმევიდან (სურ. 20—16, 17) და სხვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯუმათის წმ. გიორგის (სურ. 20—18) XI საუკუნის პირველი მესამედის ხატი და XI საუკუნის პირველი მეოთხედის

ში (1023 წ.). ეს განახლება შეეხო ჩარჩოს ქვედა ზოლზე მოყვანილ წარწერასაც, რომლის ზედა ორი სტრიქონი ძველ წარწერას იმეორებს, მესამე და მეოთხე სტრიქონები კი განმახლებელს ეკუთვნის. რადგან განმაახლებელმა წარწერა თავდაპირველი ფრაგმენტიდან გადმოიღო, ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ ასოთა მოყვანილობაც წარწერის პირველი შემსრულებლის ასოთა მოყვანილობას დაუქვემდებარა.

[29] ი ბ ე ვ, ფოტოილუსტრაცია: 40—41, 86—94, 143. აქაც — ტექსტში ჩამოთვლილი თანმიმდევრობის მიხედვით.

ლაკლაკიძიანთ ღვთისმშობლის სახელით ცნობილი ხატი ზარზმიდან (სურ. 20—19), რისაც ელთა ვრცელი წარწერებია ყველა ასო შემკულია და თავისი მრავალფერადოვნებით და შესრულებითაც გამოირჩევა. ჭედურ ძეგლებში, ისევე როგორც ხელნაწერებში, ასოთა გაფორმების შესაბამისად იმკობა ქარაგმაც, ე. ი. ქარაგმის შესამკობად იგივე ხერხები და ელემენტებია გამოყენებული, რომლებიც ასოთა შესამკობად არის ნახმარი.

X—XI—XII საუკუნეთა ჭედური ხელოვნების ძეგლების წარწერათა მრავალსახეობა, ასოთა ახალი ელემენტებით შემკობის, გამშვენიერების სურვილი სავსებით კანონზომიერია, რადგან წარწერა ნაწარმოების ერთ-ერთი კომპონენტთაგანია. ასოთა სამკაულის გართულებისაკენ სწრაფვა კარგად ჩანს მესტიის მუზეუმში დაცული X—XI ს. სეტის ცხენოსანი წმ. გიორგის ხატის მაგალითზე (სურ. 20—20), რომელზეც, როგორც აღნიშნავს გ. ნ. ჩუბინაშვილი, „წმინდანი ორჯერაა მოხსენებული. რაც მოწმობს, რომ ეს პირია გადმოღებული (XI საუკუნის პირველ ნახევარში) ნიმუშიდან, რომელიც სხვადასხვა ნიშნებით X საუკუნეს შეიძლება მივაკუთნოთ"-ო[30]. წმ. გიორგის მარცხენა მხარეს მოთავსებული წარწერის ასოები წ̄ მ. გ̄ი სტ̄ა თუ სადა ტ̄ყუბწ̄ვეტიანია, მარჯვენა წარწერის წ̄ მ. გ̄ი თუმცა ასოს ტანის იმავე მოხაზულობას—ტ̄ყუბწ̄ვეტიანობას ინარჩუნებს, მაგრამ ასოს ტანის გასწვრივ წ̄ყვილი ან სამი ცალი თარაზული სალტეებით შედგენილი ჯგუფებით არის გადაჭდობილი. ასეთი სალტეები—„სამაჯურები"—კი XI საუკუნის პირველი ნახევრიდან გვხვდება, როგორც ხელნაწერების ასოთა სამკაულში (მაგ., A 87, A 97), ასევე ქვაზე ნაკვეთი მცენარეული ო რ ნ ა მ ე ნ ტ ი ს ყ ლ ო რ ტ ე ბ ზ ე (ბაგრატის ტაძარი, სამთავისი, კუმურდო—სამხრეთი მინაშენი, სავანე და სხვა), და რასაკვირველია, თვით ოქრომჭედლობაშიც, ჩარჩოების თუ ხატის მიწარისათვის გამოყენებულ მცენარეულ ჩუქურთმაში.

ზედა ვარძიის წარწერასთან შესადარებლად, რასაკვირველია, შეიძლებოდა მხოლოდ ჩიხარეშის ტრიპტიხის წარწერით დავკმაყოფილებულიყავით, მაგრამ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ჭედურ წარწერათა სხვადასხვა ხასიათი გვეჩვენებინა (სურ. 20), რათა მკითხველი გასცნობოდა იმ მრავალფეროვნობას, რომელიც ასოთა სამკაულისათვის შეიმუშავეს ოქრომჭედლობის ქართველმა ოსტატებმა და გვიჩვენეს ის შესაძლებლობანი, რომლებიც ჭედურობას ჰქონია[31]. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ჭედურობაში არ გვხვდება ის მრავალსახოვანი, რთული კომპოზიციები (ფრინველთა, ცხოველთა, ადამიანთა და მათ ჯგუფური გამოსახულებანი), რომლებიც ჯრუჭის ოთხთავსა და მოქვის სახარებაში (H 1667, Q 902) და ზოგ უფრო ადრინდელ ხელნაწერშიც გვხვდება საზენაო ასოების სახით და რომელნიც დახვეწილ მონახაზით და გემოვნებით შეხამებული ფერადოვნებით მხატვრული მინიატურის დონესაც აღწევენ.

ჩიხარეშის ტრიპტიქონის[32] ცენტრალურ ნაწილში — ღვთისმშობელი ყრმით — გამოსახულების ზემოდან მოთავსებული წარწერის ასოთა გაფორმებაში ბევრს საერთოს ვხედავთ ზედა ვარძიისა და ხელნაწერების ამავე ხასიათის საზენაო ასოებთან. ზედა ვარძიისაგან განსხვავებით, ამ წარწერაში (სურ.

---

[30] გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ოქრომჭედლობა VIII—XVIII საუკუნეებში, სახელგამი, თბ., 1957, ქართ. ენ. ვ. 24, ტაბ. 96.

[31] უნდა აღინიშნოს, რომ ჭედური წარწერების ასოთა ზომები ზოგჯერ ხელნაწერთა საზენაო ასოების ზომებს არც კი აღემატება.

[32] Г. Н. Ч у б и н а ш в и л и, Грузинское чеканное искусство, Тбилиси, 1959, с. 24, Фотоиллюстрация. 47.

20—12), C, Ɔ შემამკობელი წრეები თარაზული ხაზის (უღლის) ზევიდან კი არ არის მოთავსებული, არამედ ხაზს (უღლის) ქვემოდანაა მოქცეული. ამის გარდა წარწერის ყველა ასო შემკულია და ხშირად, ასოს ტანის გასწვრივაც აქვს დამატებული წრეები, როგორც მაგალითად, ი-ს და ვ-ს აქვს. ა და დ ასოთა წრეების, თარაზული ხაზის (უღლის) ქვემოდან მოთავსება შესაძლებელია წარწერისათვის წინასწარვე განკუთვნილი წრიული ზოლით იყო შეზღუდული და ამასთანავე ქარაგმების მოთავსების საჭიროებითაც იყო გაპირობებული. ასეთი გადაწყვეტა ნაკლებ სიმაღლეს თხოულობდა, უფრო კომპაქტური იყო. აქ ოსტატი თავისი ალღოთი, გემოვნებით ხელმძღვანელობს და შეიძლება ითქვას მეტი გაბედულებითაც მოქმედებს ვიდრე ზედა ვარძიის წარწერის ავტორი. ეს არც გასაკვირია, რადგან, როგორც აღნიშნავს გ. ნ. ჩუბინაშვილი, ჭედურობის ოსტატნი „საკმაოდ წიგნიერნი“[33] იყვნენ და ამასთანავე შესანიშნავად ფლობდნენ დეკორატული ორმანენტული გამოსახვის ოსტატობასაც. შესაძლებელია, ხელნაწერებსა და ჭედურობაში ასეთი ხასიათის ასოების შექმნასა თუ გადამუშავებას შორის მცირეოდენი დრო გავიდა, რამაც ხელი შეუწყო ხელოვანის ინდივიდუალური გემოვნების გაფურჩქვნას.

თუ შევადარებთ ჭედური ხელოვნების ძეგლთა წარწერების ასოებს ხელნაწერთა საზენაო ასოებს, დავინახავთ, რომ ხელნაწერების საზენაო ასოების შემკობის ზოგიერთი სახე წინ უსწრებს ჭედური წარწერების ნიმუშებს, ან ერთსა და იმავე პერიოდს ემთხვევა და, ალბათ, ურთიერთგავლენას განიცდის. ამასთანავე, X—XI საუკუნეთა შემოქმედებითი აღმავლობა და ოსტატობის მაღალი დონე არ გამორიცხავს დამოუკიდებელ შემოქმედებით ძიებას და გადაწყვეტასაც.

XI საუკუნის დასაწყისში ხატთა (თუ სხვა ნაკეთობათა, საგანთა, ნივთთა,) ფართო, მდიდრული მოჩარჩოება, სიუჟეტის გამოსახულების გარს მთელი მიწარის ორნამენტული ხაზოვნებით დაფარვა, წარწერას, როგორც კომპოზიციის ერთ-ერთ კომპონენტს, მეტ მოთხოვნილებას უყენებდა. სამწუხაროდ, XI საუკუნის მეორე ნახევრიდან და განსაკუთრებით XII საუკუნეში, მაშინ, როდესაც საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური სიძლიერე ზენიტს აღწევს, ჭედურობაში, ცნობილი მიზეზის (ეკლესიის მიერ სკულპტურულობის აღკვეთა) გამო ოსტატი თავის შემოქმედებით უნარს ორნამენტულ დეკორს ახმარს და წარწერები, ძირითადად, იმავე ელემენტების გამოყენებას არ სცილდება, რომელნიც X ს. და XI ს. I ნახევრის განმავლობაში გამომუშავდა. თუმცა XII—XIII სს. ზოგიერთ ძეგლს, როგორიცაა, მაგალითად, ონის წმ. გიორგის ხატის წარწერა,[34] ლაბსყალდის წმ. ნ˜ლზ-ის ხატის წარწერა[35] და ზოგ სხვა წარწერასაც არ აკლია სილამაზე და მოხდენილობა.

დავუბრუნდეთ ლაპიდარულ წარწერებს. თუ შეპიაკის, რუისის, სვეტიცხოვლის და სხვათა ლაპიდარული ტყუბწვეტიანი ასოები შეიძლება დამოუკიდებლად წარმოშობილიყვნენ და ნაწილობრივ შეიძლება მივაწეროთ ქვაზე ქვეთის ხერხებსა და სამუშაო იარაღის მოყვანილობას; თუ სამთავისის ტაძრის (1030 წ.) წარწერის ასოების რკალის შიგნითა მხარეს მოთავსებული წვეტიანი, უკლისებური ნაზრდი XI საუკუნის მესამე მეოთხედში შეიძლება გამოჩენილ-

---

[33] იქვე, გვ. 123.

[34] გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ოქრომჭედლობა VIII—XVIII საუკუნეების, ხელგაში, თბილისი, ტ. 61.

[35] იქვე, ტაბულა, 85a.

იყო ხელნაწერებში,[36] მხოლოდ ასოს ირკალის გარე მხარეზე გადმონაცვლებით (A 87—1065 წ.), რაც უფლებას გვაძლევს ვიგულისხმოთ ერთგვარი გავლენა ლაპიდარული დამწერლობისა ხელნაწერზე; ამას ვერ ვიტყვით ვერც ზედა ვარძიის და ვერც მღვიმევის ლაპიდარულ წარწერებზე. ხელნაწერებში შემკულ საზენაო ასოთა გაჩენა და მათი სიმრავლე, გარკვეულ ასოთა შემკობა, შემკულ ასოთა რაოდენობრივი ზრდა, სამკაულის ფერადოვნება, ამ სამკაულის გართულება (განვითარება დროის განმავლობაში) და ამ სამკაულის სახეობათა შედარება (სურ. 16, 17) მოყვანილსა და სხვა მრავალი ხელნაწერის საზენაო ასოებთან, რომლებიც ტაბულაში არაა შეტანილი, აგრეთვე ლაპიდარული წარწერების ასოთა სამკაულთან, გვარწმუნებს, რომ ამ შემთხვევაში შეუძლებელია ხელნაწერების საზენაო ასოებს გავლენა არ მოეხდინათ ქვაზე ამოკვეთილ წარწერაზე. ზედა ვარძიის ასოები რომ ამომკვეთს დამოუკიდებლად შეემკო, ბუნებრივი იქნებოდა, რომ წარწერის ყველა ასო კიდურყვავილოვანი ყოფილიყო. მაშინ ხელნაწერის გამფორმებელი გამოიყენებდა მხოლოდ იმ ასოებს, რომლებიც მას ტექსტის მიხედვით დასჭირდებოდა. ჩვენ შემთხვევაში კი პირიქით გვაქვს, ის ასოებია კიდურყვავილოვანი, რომლებიც ხელნაწერ ძეგლებშიც გარკვეული დროის მანძილზე გვხვდება შემკული. დანარჩენი ასოები, რომლებიც ხელნაწერებში არ გვხვდება ან მხოლოდ სხვადასხვა ფერით არის შესრულებული, ზედა ვარძიაშიც სამკაულის გარეშე რჩება. მასალის გაცნობამ დაგვანახა, რომ ზედა ვარძიის წარწერის ასოთა პარალელები (სურ 15, 16, 17) ძირითადად X საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ხელნაწერებში გვხვდება. თითო ოროლა ასოს შესატყვისი კი X—XI სს. მიჯნის ხელნაწერთა საზენაო ასოებს შორისაც მოიძებნა.

ზედა ვარძიის წარწერისაგან განსხვავებით, მღვიმევის (სურ. 14—3) მცირე ეკლესიის სამხრეთი კარის წარწერის ყოველი ასო შემკულია. ეს სამკაული უფრო რთულია, და ამასთანავე, აქ მონოგრამულ თხზულ დამწერლობასთანაც გვაქვს საქმე. მღვიმევის წარწერის ასოების ხელნაწერთა საზენაო ასოებთან შედარებისას, ვხედავთ, რომ მისი ასოთა სამკაული XIII საუკუნის ხელნაწერების სამკაულს გვაგონებს და თავისი ხასიათითაც ხელნაწერთა დამწერლობას უფრო შეესატყვისება, ვიდრე ქვაზე ამოკვეთილ დამწერლობას[37]. ქვაზე ჯერჯერობით ეს ერთადერთი წარწერაა ასე შესრულებული.

შემკული საზენაო ასოები, რომლებსაც ტანის გასწვრივ დანამატი აქვთ, ხელნაწერებში XI ს. მეორე ნახევრიდან გვხვდება (ერთეულების სახით XI ს. მეორე მეოთხედშიც), ამგვარად შემკული ასოები იშვიათია და მათი სამკაულიც შეზღუდულია ერთი-ორი დანამატით თუ აქვთ. მაგალითად ხელნაწერში „გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ“ A I, 1030—1031 წწ. თითო-ოროლა ასოს თუ აქვს დანამატი, მაშინ, როდესაც XI ს. მეორე ნახევარში ასეთი სამკაული უმრავლესობას ახასიათებს: (სურ. 17- მეორე სვეტი, სურ. 18, A 87). უფრო გვიანდელი ასეთი დანამატის გარეშე არცერთი ასო არ გვხვდება (სურ 17, მესამე და მეოთხე სვეტი).

---

[36] რ. შ ე ფ ე ლ ი ნ გ ი, ატენის სიონის კედლის მხატვრობის დათარიღების (საკითხისათვის, გვ. 264.

[37] წარწერა ადგილზეც დაწერილის შთაბეჭდილებას ახდენს და არა კვეთილისა. ძეგლი აზომილია არქ. ი. გ ო მ ე ლ ა უ რ ი ს მიერ. წარწერის ეს დახასიათებაც მას ეკუთვნის.

ასე, მაგალითად, XII საუკუნის მეორე /ნახევრის ჯრუჭის/ ოთხთავის (H 1667) საზენაო ასოები მოყვანილობით, პროპორციითა და, სამკაულით უნაკლოა და ხელნაწერთა დეკორის საუკეთესო /ნიმუშებს/ეკუთვნის. აქ/ასოების სამკაულში უამრავ ახალ დეტალს ვხვდებით. მათ შორის ისეთსაც (სურ. 21), რომელიც მღვიმევის ასოთა სამკაულშიც გვაქვს. მასალის დაკვირვებით გადასინჯვამ გვიჩვენა, რომ მღვიმევის წარწერის ასოები ყველაზე მეტად XIII საუკუნის შუა წლების და უფრო გვიანი დროის ხელნაწერთა საზენაო ასოებთან ამჟღავნებენ მსგავსებას. ამ დროს ეს დეტალი (სურ. 21) ყოველი ასოს დამახასიათებელ ელემენტად არის ქცეული და ზოგჯერ ერთი და იმავე ასოს გამოსახულებაშიაც კი რამდენჯერმე გვხვდება. ასეთია, მაგალითად, 1224 წ. ხელნაწერის, პარხლის ოთხთავის (K$\frac{297}{509}$, საჯარო ბიბლიოთეკა) საზენაო ასოები,



სურ. 21. ასოთა სამკაულის დეტალი.

სადაც ეს ელემენტი, ისევე როგორც მღვიმევის წარწერაში, ერთ ასოზე რამდენჯერმე გვხვდება და, ამასთანავე, გვხვდება ორივე შემთხვევაში რამდენიმე ვარიანტით. (სურ. 22). მღვიმევის წარწერაში შემკულია ასო ლ-ც. ამ ასოს შემკობის ვარიანტს კი, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ მოქვის (1300 წ.) სახარებაში ვხვდებით. ამგვარად, ჩვენი აზრით, მღვიმევის წარწერა XIII საუკუნის



სურ. 22. K $\frac{297}{509}$ ხელნაწერის საზენაო ასოები.

მეორე ნახევარზე ადრეული არ უნდა იყოს, რასაც ძეგლის ხუროთმოძღვრული ანალიზიც ადასტურებს[38].

თუ გავითვალისწინებთ, რომ „ერთ დარგში შემუშავებული დამწერლობა სულ სხვა დარგებისათვის ყოფილა გამოყენებული“[39], ვფიქრობ, ზედა ვარძიის სამხრეთი კარის წარწერა X ს. ბოლოს, მღვიმევის მცირე ეკლესიის სამხრეთი კარის შესაბამისად XIII ს. წიგნური დამწერლობის გავლენას განიცდის. ზედა ვარძიის წარწერის შესრულებისას ხელნაწერის საზენაო ასო ყველა არ იმკობოდა, არც რთულ სამკაულს იყენებდნენ, მაშინ, როდესაც მღვიმევის წარწერის შესრულებისას, ხელნაწერები ასოთა შემკობის რთულ ვარიანტებს გვთავაზობენ, ამასთანავე, ამ დროისათვის ყველა ასო შემკულია.

ამგვარად, თუ ზედა ვარძიის წარწერის მხოლოდ პალეოგრაფიულ მხარეს განვიხილავთ, ცხადი გახდება, რომ წარწერა X—XI საუკუნეთა მიჯნას ეკუთვნის. ეს დასკვნა უფრო დამაჯერებელი გახდება თუ, წარწერის პალეოგრაფიულ ნიშნებთან ერთად, გავითვალისწინებთ თვით ძეგლის სტილისტურ ნიშნებსაც, რომლებიც დროის ამავე მონაკვეთზე მიგვითითებენ. ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

ასოთა შემკობით ხუროთმოძღვარს უნდოდა მეტი დეკორაციულობისათვის მიეღწია, რაც მან შესანიშნავად შეასრულა. წარწერა, ჩუქურთმასთან ერთად, კარის დამამშვენებელ ელემენტად აქცია.

რომელი ლიპარიტი უნდა ყოფილიყო კარის ბალავრის წარწერაში მოხსენებული ლიპარიტი?

პირველი ლიპარიტი, რომელსაც ისტორიულ ასპარეზზე ვხედავთ, არგვეთიდან გადმოსული ლიპარიტია (ლიპარიტის ძე, ბაღვაშთა საგვარეულოდან). ისარგებლა რა ამ დროის პოლიტიკური ვითარებით „შეიპყრნა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდეკართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე“[40]. როგორც ივ. ჯავახიშვილი არკვევს, ეს უნდა მომხდარიყო IX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, 876—882 წლებში. კლდეკარის პატრონები, როგორც ჩანს, შემდეგში უფრო განმტკიცებულან, გაძლიერებულან (X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში) ბაგრატ III-ის მეფობის დროს. „იყო მას ჟამსა ერისთავად კლდე-კართა რატი, და ჰქონდა ციხე ატენისა და ქართლისაგან მტკუარსა სამხრით-კერძო ყოველივე, თრიალეთი, მანგლისის-ჴევი და სკურეთი“ და რომელიც „არა მორჩილობდა კეთილად ბაგრატ მეფესა“[41]. ამიტომ „მტკიცე ხასიათისა და შეუდრეკელი ნების პატრონი“[42], ბაგრატ III, იბრძვის რა საქართველოს გაერთიანება-შემომტკიცებისათვის, 989 წ. დავით კურაპალატის თანხმობით თავს ესხმის ურჩ ყმას. „ვითარ მოიწია ჟამი ზამთრისა მოვიდა .ძალითა თჳსით ყოვლითა და მოადგა კლდე-კართა. იხილა რა ესე რატი, გამოვიდა გარე და გამოიტანა შეილი მისი ლიპარიტ თანა, შეეედრა ბაგრატ აფხაზთა მეფესა და მისცა ციხე თავისი ბაგრატს, და თვით დაჯდა მამულსა თჳსსა არგუეთს[43]. „ასე რომ ლიპარიტს საერისთავო კლდეკარ-თრიალეთი ამიერიდან

---

[38] ი. გ ო მ ე ლ ა უ რ ი, მღვიმევი, XIII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, თბილისი, 1982, გვ. 54—56.

[39] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949, გვ. 110.

[40] ქართლის ცხოვრება, ტ. 1. თბილისი, 1955, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, გვ. 258/13.

[41] იქვე, გვ. 276/16—19.

[42] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 11, 1948 გვ. 124.

[43] ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 277 /19, 20 — 278/112.

შამისაგან მემკვიდრეობით მიღებული კი აღარ ჰქონდა, არამედ მეფისაგან ნაწყალობევი"[44]. მეფემ ლიპარიტ ერისთავს საერისთავოს საზღვრები შეუკვეცა — „მტკვრის სამხრეთი ატენის ციხით XI საუკუნეში კლდეკარის ერისთავს კი აღარ ეპყრა, არამედ საკუთრივ სამეფო იყო, შესაძლებელია"[45]. ეს უკვე მეორე ლიპარიტია. იგი ბაგრატ III-ის ერთგულია და ბაგრატის გარდაცვალების შემდეგაც მისი ვაჟის — მეფე გიორგი პირველის ერთგული რჩება.

ლიპარიტის შვილი რატი, შირიმთან ბრძოლის დროს დაიღუპა ერისთავ ხურსისთან ერთად (1020—1021 წწ.). თვითონ ლიპარიტიც ასევე ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლებს შეეწირა 1022 წ.

ლიპარიტ II-ის მოღვაწეობის შესახებ ისტორიული წყაროები ბევრს არაფერს გვამცნობენ. სამაგიეროდ თრიალეთის მრავალმეტყველი ძეგლები თავიანთ წარწერებში მას არაერთხელ იხსენიებენ. მაგალითად, სოფ. შეპიაკის მესამე ეკლესიის კარის ტიმპანის ვრცელი წარწერა იხსენიებს რატ ერესთავსა და მის ძეს ლიპარიტ ერისთავს[46]. სამწუხაროდ, ამ ვრცელი წარწერის ქვედა სტრიქონი (თუ სტრიქონები) 1864 წ. ახალი კარის ჩადგმისას ჩამოუთლიათ და წარწერის დასასრული „...სახსრად ცოდვილისა სულისა ჩემისათვის დაიწერა [ა]..." ქრონიკონის აღნიშვნით სამუდამოდ დაკარგულა[47]. ლ. რჩეულიშვილი ძეგლის შესწავლისა და მხატვრული ანალიზის შედეგად, შეპიაკს X ს. მეორე ნახევრით ათარიღებს[48].

თუ გავითვალისწინებთ ხელნაწერ ძეგლებსაც, დავინახავთ, რომ ლიპარიტ II კლდეკარის საერისთავოს მმართველის—ერისთავთერისთავის — ტიტულსაც ატარებდა. მაგალითად, 1053 წლის ხელნაწერში (S 353) „მართლმადიდებლობისა და მწვალებლობისათვის" ვკითხულობთ: „მე ლიპარიტ, ძემან სულკურთხეულისა უფლისა ლიპარიტ ერისთავთ-ერისთ [ვისამან]"[49]. ამავე ხელნაწერის ანდერძში გვაქვს: „მე ლიპარიტ ერისთავთა-ერისთავი, ლიპარიტ ერისთავთა- ერისთვისა დიდისა ძ[50]"... გვაფიქრებინებს, რომ მას ეს ტიტულიც ჰქონია,

ზედა ვარძიის სამხრეთ კარის ბალავარზე ამოკვეთილი წარწერის პალეოგრაფიული ანალიზი და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ძეგლის მხატვრული ანალიზიც არ გვაძლევს საშუალებას ძეგლის აგება XI საუკუნის შუა წლებს ან მეორე ნახევარს დავუკავშიროთ. პალეოგრაფიული ანალიზის და ძეგლის მხატვრული ანალიზის შედეგად მშენებლობა X საუკუნის დასასრულს, X—XI საუკუნეთა მიჯნას ემთხვევა.

ამგვარად, წარწერაში მოხსენებული ლიპარიტი შეიძლება იყოს ლიპარიტ რატის ძე, რომელიც 989 წელს რატიმ ბაგრატ მეფეს გადასცა (როგორც ჩანს,

---

[44] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბილისი, 1974, გვ. 14.

[45] იქვე, გვ. 14—15.

[46] «Эристав Липарит, сын Эристава Рата, нам известен только один, а именно Липарит II», Э. Такаишвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, выпуск IV, Тифлис, 1913 с. 19.

[47] შეპიაკის ტიმპანი ამჟამად საქ. სახ. ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

[48] ლ. რჩეულიშვილი, „თრიალეთის საერისთაოს X საუკ. ერთი ძეგლი", ქართული ხელოვნება, 6A, 1963, გვ. 167—180.

[49] ვ. კახიძე, „ლიპარიტ ლიპარიტის ძე და მისი ახლად აღმოჩენილი თხზულება", ენიმკი-ს მოამბე, XIV, თბ., 1944, გვ. 90.

[50] იქვე, გვ. 91.

იმ დროისათვის ლიპარიტი მცირეწლოვანი უნდა ყოფილიყო) და რომელიც ბიზანტიასთან ბრძოლებს შეეწირა 1022 წ. გიორგი პირველის მეფობის დროს, ან ჩვენთვის უცნობი ლიპარიტი უნდა იყოს. ვ. კოპალიანის შრომის მიხედვით ლიპარიტ პირველისა და რატი პირველის მოღვაწეობას შორის დაახლოებით 145 წელიწადი არის შუალედი, რის გამოც შეუძლებელია რატი ლიპარიტ პირველის შვილი იყოს. ამიტომ ავტორს შეაქვს შესწორება კლდეკარის მმართველ ერისთავთა გენეალოგიაში და ლიპარიტ პირველსა და რატი პირველს შორის გულისხმობს კიდევ ერთ ერისთავს—ლიპარიტ ერისთავს, რომელიც რატი პირველის მამა უნდა იყოს. მაშინ რატის ძე ლიპარატი მეორე კი არა ლიპარიტ მესამე იქნება[51]. თუ გავითვალისწინებთ, რომ 989 წ. ლიპარიტ რატის ძე მცირეწლოვანი იყო, მაშინ მართებული იქნება ზედა ვარძიის აგება სწორედ უცნობ ლიპარიტს მიეწეროს, რომლის შესახებ ისტორიულ წყაროებში ჯერჯერობით არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება.

2. ფრესკული წარწერები

ზედა ვარძიის ეკლესიის კედლების შიდა ზედაპირზე აქა-იქ ნალესობის და კედლის მხატვრობის უმნიშვნელო კვალია დარჩენილი. ნალესობა ორნამენტულ დეტალებზე არსად არ გადადის. მთავარი ნავის დასავლეთ კუთხეში პილასტრის შელესვას პარალელური ირიბი ხაზები ემჩნევა. ასეთივე ხაზები შეიმჩნევა სადიაკვნოს კარის მარჯვნივ, სამხრეთ კედლის პირველ (უახლოეს) ნიშაში, მარჯვენა პილასტრის ზედაპირზე. ხაზები 45°-ით არის დახრილი ჰორიზონტალური ხაზის მიმართ და ერთიმეორისაგან 6 სანტიმეტრითაა დაცილებული (ე. წ. წიწვური მოტივია). ხაზების შორისი ზოლები, ალბათ, ორი ან მეტი ფერის მონაცვლეობით იყო შეფერადებული. (ტაბ. 17) შელესვის ამ ფრაგმენტზე ასოების მოხაზულობა შეამჩნია არქ. კ. მელითაურმა და მოგვაწოდა წარწერის ამონახახი ᲩᲘᲗᲐᲜ ᲨᲣᲚ—წმიდაო ღმრთის მშობელო (სურ. 23). წარწერა ამოკაწრულია.



სურ. 23. კედლის შელესილობაზე ამოკაწრული წარწერა.

ორი ბოძის, დასავლეთის და აღმოსავლეთის საფეხურების ერთმანეთისაკენ მიმართულ ზედაპირზე, სვეტისთავების ქვემოდან, სწორკუთხა ჩარჩოებში, სახის მონახაზის, შარავანდის და წარწერების ფრაგმენტებია შემორჩენილი[52]. აღმოსავლეთის საფეხურზე სწორკუთხად შემოხაზულ ჩარჩოში შარავანდის კონტურის გარდა წმინდანის სახის მოხაზულობაც ჩანს, შარავანდის და ჩარჩოს

[51] ვ. უ. კოპალიანი, „კლდეკარის საერისთავო", სადისერტაციო ნაშრომი, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდი, 1949, გვ. 109, 222, 226, 237, 238.

[52] მოყვანილი ფრაგმენტების პირები შესრულებულია კალკაზე არქ. კ. მ ე ლ ი თ ა უ რ ი ს მიერ 1941—42 წწ.

ზედა ხაზს შორის რამდენიმე ასო გაირჩევა. მარცხენა კუთხეში ორი ასო-წ"ჲ— წმიდაი" და მარჯვენა მხარეს-ერთი ასო, შესაძლებელია, ი-ს ზედა კიდური და ბოლოში-ე-„იოანე" (სურ.24). დასავლეთ ბოძის საფეხურზე კი (სურ. 25, ტაბ. 18) ჩარჩოს ზემოდან იკითხება ერთსტრიქონიანი წარწერა „წმიდაო ღთისმშობელო შეიწყალე აფრიდონ". აფრიდონ საერო პიროვნება, ისტორიული პირი უნდა იყოს და, შესაძლებელია, მოხატულობის დამკვეთიც. წარწერის პირველი ორი ასოს ქვედა ნაწილი, ასევე ჩარჩოს მარცხენა მხრის შელესილობის მოზრდილი ნაჭერი, ჩამოცვენილია. შელესილობის გადარჩენილ ნაწილზე, ჩარჩოსა და შარავანდს შორის ერთსტრიქონიანი წარწერის მარჯვენა ნახევარი იკითხება



სურ. 24. ფრესკის ნაშთი აღმოსავლეთ ბოძის დასავლეთ საფეხურის სვეტისთაკის ქვეშოთ.

[მ]ეგვიბტელი, რომლის ბოლოს წარწერის დამამთავრებელი, სამყურა-სამწერტილოვანი ნიშანია დასმული. გადარჩენილ ნალესობაზე შარავანდის მოხაზულობა ჩანს და თმის ტალღისებური ვარცხნილობის ხაზებია ნაკაწრი. სახის კონტური გარკვევით არ ჩანს, ერთ-ერთი მეგვიბტელი უნდა იყოს. კედლებზე აქა-იქ შემორჩენილი ნალესობის მცირე ნაშთზე მოხატულობის კვალი, ზემოაღნიშნულის გარდა, არსად შეიმჩნევა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ნალესობის ფენა ძალიან თხელია, წმინდამარცვლოვანია, თუ შეიძლება ასე ითქვას. მისი ფენის სისქე 2—3 მილიმეტრს უდრის, ხან 1.5 მილიმეტრიც კია, იშვიათად 4 მილიმეტრს აღწევს. კონტურები უშუალოდ ზედვეა ნაქედევი (ამოკაწრული). ფერის გარდა არავითარი სხვა ფენა მასზე დადებული არ ყოფილა, იგი ფრაგმენტულად არის შემორჩენილი.

სურ. 25. ფრესკის ნაშთი დასავლეთ ბოძის აღმოსავლეთ საფეხურის სვეტისთავის ქვემოთ.

ზედა ვარძიის ეკლესიის გლუვი, კარგად თლილი, ზედმიწევნით ზუსტად შორგებული ნაკერები, სუფთად მოპირკეთებული კედლის ზედაპირი, თითქოს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ იგი თავდაპირველად შესალესად არ უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.

ცნობილია, რომ IX საუკუნდან X საუკუნის დასასრულამდე უგუმბათო შენობებში კედლის მხატვრობა თუ იყო, იგი საკურთხევლის ფარგლებში რჩებოდა, მაშინაც კი, როდესაც კედლების ზედაპირი უსწორმასწორო იყო და მის დასაფარავად შელესვას მიმართავდნენ. X საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნის დასაწყისში კი, როდესაც შენობის შიდა არქიტექტურული სივრცის გადაწყვეტა იცვლება, ინტერიერის პლასტიკური დამუშავება (სვეტისთავების, ბაზების და სხვა ორნამენტული დეკორი) ზედმეტი ხდება, იგი კედლის მხატვრობას — ფრესკას უთმობს ადგილს და, აქედან მოყოლებული ტაძრის მხოლოდ საკურთხევლის მოხატულობა იცვლება შიდა მთლიანი მოხატულობით. მთლიანი მოხატულობა სავალდებულოც კი ხდება[63]. ამის შედეგად არაერთი ძველი საკულტო შენობა შემდეგში მთლიანად

[63] «Полная роспись стала обязательной не только с эстетической но и теологической точки зрения», — Т. Б. Вирсаладзе, Фресковая Роспись в церкви Архангелов села Земо-Крихи», ქართული ხელოვნება, 6A, თბილისი. 1963, გვ. 113.

მოუხატავთ, ან პირვანდელი ნაწილობრივი მოხატულობა შეუვსიათ. ამიტომაა რომ, კედლის მხატვრობა შეიძლება ძეგლის თანადროულიც იყოს და შეიძლება უფრო გვიანიც[54]. კედლის მხატვრობას, რასაკვირველია, წარწერებიც სდევს თან და მხატვარი წარწერის ასოთა შემკობასაც არ უგულებელყოფს.

ცნობილია, რომ ასომთავრული ფრესკული წარწერები[55] და ხელნაწერთა დამწერლობის პალეოგრაფიული ნიშნები მსგავსია, ამიტომ ჩვენ შევეცდებით მცირეოდენი ნაშთის მიუხედავად, შევადაროთ ზედა ვარძიის წარწერა როგორც სხვა ფრესკულ წარწერებს, ისევე ხელნაწერებსაც და ამ შედარების საფუძველზე გამოვთქვათ ვარაუდი წარწერის შესრულების დროის და, მაშასადამე, ფაქტიურად, ამჟამად არარსებული კედლის მხატვრობის შესრულების დროის შესახებაც.

ადრეულ ძეგლებზე და შემდეგაც ფრესკული წარწერების ასოები უმეტესად მარტივი სადა მოხაზულობისაა, მაგრამ გვხვდება კიდურწერტილოვანი, კიდურყვავილოვანი და უფრო იშვიათად სხა ხასიათის, უფრო რთულად შემკული ასოებიც.

ცნობილი გახდა რომ, ატენის სიონის VIII საუკუნის წარწერაში უკვე შეიმჩნევა დეკორაციული ელემენტები[56], ატენისავე XI ს-ის მესამე მეოთხედით დათარიღებულ წარწერებში გვხვდება კიდურწერტილოვანი, მრგვალი ან ოდნავ ოვალურწერტილებიანი ასოები: პატარა ეკლესიებური ნაზრდით შემკული ა ნ ი, გ ა ნ ი ს ბუნი მოქნილი ორნაწილიანი კუდით და სხვა. უფრო გვიან, ბერთუბნის (დავით გარეჯა, XIII საუკუნის დასაწყისი) აბსიდის თაღის წარწერაში და სატრაპეზოს ჩრდილო კედელში მოთავსებული საწინამძღვრო ნიშის ფრაგმენტურად შემორჩენილ წარწერაში[57], აგრეთვე ყინცვისის ტრიუმფალური თაღის წარწერებშიც, რთული სამკაულით შემკული ასოები გხვდება. და თუმცა ფრესკული წარწერები ხელნაწერთა გავლენით არიან შემუშავებული და პალეოგრაფიულადაც ყველაზე მეტად უახლოვდებიან მათ, ვერ უწევენ მეტოქეობას ხელნაწერთა საზენაო ასოების მრავალფეროვან და მაღალხარისხოვან ნიმუშებს.

ზედა ვარძიის ფრესკული წარწერის ზოგი ასო კიდურწერტილოვანია (თ ა ნ ი, დ ო ნ ი), ზოგი კი — კიდურყვავილოვანი (ბ ა ნ ი, ო ნ ი, ტ ა რ ი). ი ნ ი ერთ შემთხვევაში კიდურწერტილოვანია, მეორე შემთხვევაში კიდურყვავილოვანი, მაგრამ ორივეს ზედა მარცხენა თარაზული ხაზის მაგიერ ირიბად ზევით მიმართული ხაზი აქვს, რაც XII—XIII და შემდეგ საუკუნეთა ასოებს უფრო ახასიათებთ. საინტერესოა თ ა ნ ი-ს მარჯვენა წარზიდული ხაზი, რომელიც ასოს სიმაღლის შუა ნაწილს უკვე აცდენილია, უფრო მაღლაა მოთავსებული და ამასთანავე ქვევით იხრება, რაც როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, უფრო გვიანი დროისათვის არის დამახასიათებელი. ა ნ-ის ზედა თარაზული ხაზი—უღელი მოწყვეტილია ქვედა ტანს, ცალკეა ზევიდან მოთავსებული ბ ა ნ ი-ს და გ ა ნ ი-ს კუდები, ოდნავ მორკალულია, ტარის ქვედა კიდური მკვეთრად მარცხნივ არის მოხრილი, დ ო ნ ი წაგრძელებულია, უფრო

---

54 მაგალითად, ზემო კრიხის საკურთხევლის მოხატულობა X საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისაა, სრული მოხატულობა კი XI საუკუნის მეორე მეოთხედს ეკუთვნის.

55 შესაბამისად ნუსხური წარწერები ხელნაწერ ნუსხურთან პოვებენ პარალელებს.

56 გ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბილისი, 1977, გვ. 10, სურ. 3—5.

57 Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид Гареджи, Тбилиси, 1948, с. 64, Таб. 100.

მსხლისებური მოყვანილობისაა. ოდნავ მოხდენილი მორკალვა, ზოგიერთი კიდურყვავილოვანი — ორკაპა დაბოლოება, ო ნ ი ს, ტ ა რ ი ს საერთო მონახაზი, საერთოდ ასოთა წაგრძელებული ფორმები, ამ წარწერის უფრო გვიანდელობაზე ლაპარაკობს, ვიდრე თვითონ ძეგლის აგების თარიღია.

ზედა ვარძიის წარწერათა ასოები პალეოგრაფიულად ყველაზე მეტად უახლოვდება დავით გარეჯის—ბერთუბნის და უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნოს მეორე პერიოდის მხატვრობის საქტიტორო წარწერის ასოებს[18] (XII—XIII სს.), ტიმოთესუბნის, ასევე XIII საუკუნი დასაწყისის, ნაწილობრივ ყინცვისის, ფავნისის და სხვა ამავე პერიოდის წარწერებს (სურ. 26). ლაპიდარული წარწერებიდან — ყველაზე მეტად საორბისის და თიღვის წარ-



სურ. 26. ფრესკული წარწერების ასოთა ნიმუშები.

წერებს უახლოვდება[19]. ამ წარწერების ასოთა კიდურები იმგვარივე სამკაულით არის დაბოლოებული, როგორითაც ზედა ვარძიის ზოგიერთი ასო. პალეოგრაფიული მსგავსება გვაქვს ამავე დროის ხელნაწერებთანაც: A 65(1188—1210 წწ.), დამდეგი), A 1335 (XIII ს. დამდეგი). H 1667 ჯრუჭის ოთხთავი (XII ს.), H 1782 (XIII ს. დასაწყისი), H 2120 და სხვა... მიახლოებული პარალე-

[18] გურამ აბრამიშვილი, დავით გარეჯის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში თბ., 1972, გვ. 47, სურ. 6. ტაბ. VI—1. შენიშვნა, 75.

[19] ლ. რჩეულიშვილი, ფიღვა-შირვანის დედოფლის თამარის აღშენებლობა, თბილისი, 1960, გვ. 36, 37-ზე მოყვანილი წარწერა.

ლები გვაქვს ჭედურ ძეგლებზეც.[60] ყველა ზემოჩამოთვლილ ნიმუშში ვხედავთ საერთოსაც და განსხვავებულსაც, რაც დამახასიათებელია ქართული ხელოვნების ძეგლებისათვის. ქართველ ხელოვანს არ უყვარს გამეორება. არა მარტო სხვადასხვა ოსტატი, ერთი და იგივეც კი ცდილობს განასხვავოს ერთიმეორისაგან თავისი ნახელავი (თუნდაც მცირე შტრიხით). იგი არ იმეორებს ზუსტად არც სხვისას, არც თავისას, იქნება ეს ორნამენტული მოტივი ფასადის სამკაულში, ფრესკის დეტალში, წარწერის ასოთა მონახაზის თუ ასოთა კიდურების გაფორმებაში. თუმცა იცავს მისი დროისათვის დამახასიათებელ და დაკანონებულ საერთო ნორმებს.

სურ. 26-ზე მოყვანილი და ზემოდასახელებული ფრესკული წარწერების ასოთა ნიმუშების მიხედვით ნათელია, რომ წარწერა (და კედლის მხატვრობა) XII საუკუნის მეორე ნახევრის ან XIII საუკუნის დასაწყისის უნდა იყოს.

რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, კერძოდ, აფრიდონის მოხსენიებას, თუ მას დამკვეთად ან მატერიალურ ამნაზღაურებლად ვიგულვებთ და თამარ მეფის მსახურთუხუცეს აფრიდონთან გავაიგივებთ, მაშინ მოხატულობა XII საუკუნის დასასრულს, კერძოდ 1185 წლამდე უნდა იყოს შესრულებული, რადგან გიორგი III-ის გარდაცვალების და თამარის ხელმეორედ მეფედ კურთხევის შემდეგ, როგორც ვიცით, „აფრიდონი — კი მთლად „მოიშალა და დაიმჯო" დიდგვარიან გაფიცულთა „ნებითა"[61]. ე. ი. წარწერა და, მაშასადამე, მოხატულობაც 1184—85 წლებამდე უნდა ყოფილიყო შესრულებული. სხვა დიდებული თუ ისტორიული პირი აფრიდონის სახელით ამ დროისათვის ისტორიულ წყაროებში არ ჩანს.

3. სალეგავით მიწერილი წარწერა

საინტერესოა საღებავით (მელნით) მიწერილი თერთმეტსტრიქონიანი წარწერა, მოთავსებული სამხრეთი კარის ბალავრის მარცხენა კიდეზე ამოკვეთილი წარწერის მარცხნივ.

წარწერა პირველად შეუმჩნევია მ. ბროსეს, მაგრამ ვერ გაურჩევია და მისი შესრულება თავისი თანამედროვე რომელიღაც მოგზაურისათვის მიუწერია[62]. ძეგლის სხვა აღმწერლებს ეს წარწერა არა აქვთ მოხსენებული. ალბათ არ შეუმჩნევიათ, ან მნიშვნელობა არ მიუციათ. დროთა განმავლობაში წარწერას თითქმის ქვის ფერი მიუღია. მხოლოდ დიდი დაკვირვების შედეგად, ისიც განსაკუთრებული განათების წყალობით (დღის გარკვეულ მომენტში), ანდა წყლით დასველების შემდეგ ხდება იგი შესამჩნევი. თუ არა ბროსეს ცნობა, შესაძლებელია იგი ჩვენთვისაც შეუმჩნეველი დარჩენილიყო. წარწერის პირი გადაღებულია 1941 წ. არქიტექტორ კ. მელითაურის მიერ (სურ. (27).

---

[60] Е. Л. Привалова, Павниси, Тбилиси, 1977, с. 40—41, § 7, Палеография. ოპიზარის ნახელავის ნიმუშები; ს. ბარნაველი, დროშები, თბილისი, 1953, ტაბ. VI, VIII, IX.

[61] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი, 1948, გვ. 248.

[62] „Tout à côté, un voyageur moderne a écrit en lettres noires un souvenir de sa visite que je regrette de n'avoir pu déchiffrer. Le fondateur est un personnage inconnu; mais quelle devait être la richesse de particuliers que élevaient de tels édifices". M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique. p. 159.



სურ. 27. საღებავით მიწერილი წარწერა.

1. † სრჲზარ ი᲼ᲩᲘᲡᲠᲐᲠ
2. ᲠᲠ ᲧᲘᲬᲘᲰᲐᲠ ᲬᲩᲘᲡᲠ
3. ᲘᲩᲘᲡᲪᲧᲨᲘᲡᲠᲐᲠ : ᲠᲠ ᲧᲨᲰᲰ - - - Რ ᲡᲰᲨ
4. ... ᲡᲠ ᲪᲩᲨᲠᲐᲠ : ᲧᲨᲰᲪᲘᲨ ᲨᲨᲪᲐᲨᲐᲠ
5. - Შ᲼Ჩ : ᲧᲩ : ᲩᲪᲩᲨᲰᲨᲨᲐᲠ ᲰᲩᲨᲩ(?) Ყ - - - ᲠᲠ
6. ᲪᲠ - ᲨᲨᲠᲪᲩᲨᲨᲐᲠ : ᲪᲩᲨᲩᲠ : ᲨᲠᲨᲩ (?)
7. ᲩᲠᲧᲨᲰᲨᲠᲨᲩᲩ : ᲨᲪᲩᲩᲨᲠ : - - ᲰᲩ :
8. ᲨᲰᲩ ᲩᲧᲨᲩᲠ : ᲩᲩᲨ : ᲰᲩᲰᲨᲨᲨᲠ : ᲪᲩᲩᲠ
9. ᲨᲨᲩᲩᲠ : ᲩᲩᲨ : ᲧᲩᲩᲨᲨ ᲧᲩᲩᲨᲠ
10. [ᲪᲠ]ᲠᲠ : ᲩᲩᲰᲪᲪᲨ
11. - - - ᲠᲠ (?) ᲩᲠᲨᲨ

† სახ(ე)ლითა ღ(მრ)თისა(ჲ)თა[2] და შეწევნ(ი)თა წ(მი)დისა[3] ღ(მრ)თის მშ-(ო)ბლისა(ჲ)თა და ბრძ(ა)ნ(ებით)ა სძლ[4](იერი)სა მეფ(ი)სათა ბ(ა)გრ(ა)ტის გ(ა)-ლ(ა)ტოზთ[5]-ა მე კ(ვრიკ)ე ვ(ა)ხტ(ა)ნგის ძე(მან)მთი ბ--თა[6] მა აი ამთლითა მთი-სა ლავს-[7]ნაჯირისაგ(ა)ნ ამოთგდე(ბული) (უბო)ძე[8] ზ(უა)რი ოშორის(ა)ჲ ც(ი)-ხ(ი)ს ძირელთა მოდ[9](ი)ლეგეთა უკ(უნისამდ)ე შვილის შვილთა[10] მათ(თა) ვირე-მდ(ი)ს დგეს ეკლ(ე)ს(ი)ა ესე[11]—და (გ)ოდ(ო)ლი

წარწერა, როგორც აღვნიშნეთ, თერთმეტ სტრიქონს შეიცავს. იგი შავი საღებავით არის შესრულებული, ბრტყელპირიანი იარაღით ან ყალმით. ასო-ებს ჩამონაწვეთები აქვს. ქვის ფერი წარწერის ფარგლებში რუხია. გადახურ-ვის ჩამოქცევის შემდეგ წვიმასა და მზეს წარწერა ისე დაუზიანებია, რომ ზო-გიერთი ასო სრულებით ამოშლილა ან ისე გათქვეფილა ქვის ფონში, რომ გა-

რკვევით აღარ ირჩევა და ტექსტი სრულად არ იკითხება. საჭიროდ მიგვაჩნდა გვეცადა და გადაგვეღო იგი უჩინარი სხივების მეთოდით[63], მაგრამ სამწუხაროდ აქამდე ვერ მოხერხდა.

ზედა ვარძიის საღებავით მიწერილი წარწერა მრგლოვანი ასომთავრულითა და ნუსხურითაა შესრულებული. სტრიქონები მრუდედ მისდევენ ერთიმეორეს. პირველი ორი სტრიქონი და უკანასკნელი სტრიქონებიც უფრო მსხვილადაა დაწერილი, ვიდრე დანარჩენნი. იცვლება ასოთა ზომები სტრიქონში, მაგალითად, პირველ სტრიქონში ა ნ ი ოთხჯერ გვხვდება და მისი სიმაღლე ოთხჯერვე იცვლება 2,3 სმ — დან 3 სმ-მდე. ასევე იცვლება სხვა დანარჩენ ასოთა სიმაღლეც. სხვადასხვა მანძილია ასოებს შორის, რის გამოც სიტყვა ზოგჯერ ორ დამოუკიდებელ ნაწილადაა გაყოფილი. ზოგჯერ ორი სიტყვა ერთიმეორისაგან გამოცალკევებული არ არის, თუმცა უმეტესად ამისათვის ორი წერტილია ნახმარი. ასოთა ბუნი ზოგი ვერტიკალურია, ზოგი კი მარცხნივ ან მარჯვნივ არის გადახრილი. მესამე სტრიქონიდან მოყოლებული სიტყვები ერთიმეორისაგან ორი წერტილით არის გამოყოფილი, თუმცა ზოგჯერ წერტილების დასმა დავიწყებიათ.

ასოთა გამოსახვა, მათი მონახაზი სხვადასხვაა, მცირედ მაინც განსხვავდება ერთიმეორისაგან, მაგალითად, გ ა ნ ი მეოთხე, მეშვიდე, მეათე სტრიქონებში (სურ. 27), დ ო ნ ი მეორე, მეშვიდე, მეათე, მეთერთმეტეში და ა. შ. ზოგი ასოს მონახაზის დიაპაზონი საკმაოდ დიდია. მაგალითად, ბ ა ნ ი ჩვენ წარწერაში ნუსხურია და ასეთი მონახაზისა გვხვდება X—XI სს. ხელნაწერებში და უფრო გვიან XII—XV სს. ხელნაწერებშიც[64]. ამგვარიცვეა, მხოლოდ ოდნავ სხვა პროპორციის ბ ა ნ ი ატენის სიონის 835 წ. ბათქაშზე ამოკაწრულ მინაწერში[65], ბიეთის IX საუკუნის ამოკვეთილ წარწერაში[66]. საინტერესოა, რომ ზედა ვარძიის წარწერაში ბ ა ნ ი ყოველთვის ნუსხურია, მაშინ როდესაც გ ა ნ ი ყველა შემთხვევაში ასომთავრულია სხვადასხვა ვარიანტით. თ ა ნ ი ზოგი ასომთავრულია, ზოგი ნუსხური, ზოგი თითქოს მხედრულის გავლენასაც განიცდის. ც ა ნ ი ადრეულ ხელნაწერებში მოკლე კუდით ან სულ უკუდოდ იწერება. თითო-ოროლა ასო თუ გვხვდება გრძელი კუდით, მაგალითად, პარხლის ოთხთავში A 1453 (973 წ.), შატბერდის მრავალთავში S 1141 (973—976 წწ.), ატენის XI ს. ფრესკულ წარწერაში, ოშკის X ს. წარწერაში და სხვ. ტ ა ბ ი ს ასეთი მონახაზი გვხვდება X—XI საუკუნეებში და უფრო გვიანაც. გვხვდება ლაპიდარულ წარწერებში, მაგალითად, სოფ. კაზრეთის მახლობლად, „სათხის“ X ს. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე სარკმლის მოჩარჩოებასა და მის ზემოდან თარაზულმკლავებიან თავსართს შორის მოთავსებულ წარწერაში. ასევე დოდოთში, სოხთაში[67] და სხვ.

---

[63] ი. გ ი ლ ბ ე ნ დ ო რ ფ ი, „ფრესკული წარწერების გამოვლენა ულტრაიისფერ და ინფრაწითელი სხივებით“, მაცნე, 1970 წ. გვ. 161. ე. წ. ოპტიკურ-ფოტოგრაფიული მეთოდი.

[64] მაგალითად, X—XI სს. ხელნაწერები: S 1141, H 1346, A 95, S 1698, XII ს-ს. H 24, H 1661, XIII ს. A 65 და უფრო გვიანაც, როგორც XIV ს. H 1344, XV ს. A 570 და სხვა.

[65] გ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, „ატენის სიონის უცნობი წარწერები“, მაცნე, 2, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების სერია, 1976, გვ. 170.

[66] Р. М е п и с а ш в и л и, Полупещерний памятник IX в. в сел. Биети, ქართული ხელოვნება, 6А, 1963, გვ. 47, სურ. 15.

[67] Р. М е п и с а ш в и л и, В. Ц и н ц а д з е, Архитектура нагорной части исторической провинции Грузии — Шида Картли, 1975, Додоти, X, начало XI вв., стр. 61, Сохта Хв. с. 91 илл. 81.

წარწერის პირველი ორი სტრიქონი სრულია, თავისუფლად იკითხება, მესამე სტრიქონში სიტყვა ᲚᲘᲫ(Ე)Ჩ(ᲢᲚᲘᲗ)Ე-ში რამდენიმე ასო გარკვევით აღარ იკითხება. მეოთხე სტრიქონის პირველი ასოებიც ჩამორეცხილია. მეხუთე სტრიქონში პირველი ასო და რამდენიმე ასო სტრიქონის ბოლოს ცუდად ირჩევა. შესაძლებელია პირველი ოთხი ასო ერთი სიტყვაა, რადგან მის შემდეგ ორი წერტილია დასმული. მომდეენო ᲙᲘ კვირიკე (ან კვირილე) უნდა იყოს. შემდეგ გვაქვს ვახტანგის ძე(მან), რომლის შემდეგ (მთი.ბ...თა) ასოთა ნაწილი ისეა სახეცვლილი, რომ მისი აღდგენა არ ხერხდება. შესაძლებელია, კვირიკეს წოდების, თანამდებობის ან სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვაა, როგორც გვაქვს ზოგიერთ სხვა წარწერაში[68]. მეექვსე სტრიქონში (მა-აი ამთლითა მთისა ლა-ვს-) მთლად გასაგები არ არის. მეშვიდე იკითხება ნახირისაგან ამოთგდე(ბული) უბოძე მერვეში-ზ ვ ა რ ი ო შ ო რ ი ს ა Ა ᲪᲘᲮᲘᲡ ᲫᲘᲠᲔᲚᲗᲐ. ამ სტრიქონის უკანასკნელი ორი ასოც შეიძლება ჩამორეცხილია, მ ო ა ან მ ო დ უნდა იკითხებოდეს. ასეთი უყელო დ ო ნ ი ამავე წარწერის მეორე სტრიქონში გვხვდება. მეცხრეში გარკვევით იკითხება ლ ე გ ე თ ა და ეს გვაფიქრებინებს, რომ მერვე სტრიქონის უკანასკნელი ორი ასო ჩამორეცხვის შედეგად არის სახეცვლილი და აქ თავდაპირველად [Ქ] და Ო] უნდა გვქონოდა. მეათე სტრიქონში, თუმცა, პირველი ორი ასო არ ირჩევა, პირველი სიტყვა [მათ] თა უნდა იყოს, აზრობრივად გამართული იქნება. მეთერთმეტეში პირველი ასოები ჩამორეცხილა, სიტყვის თავსა და ბოლოში შეიძლება Ჭ და Წ ასოები იყოს. შემდეგი სიტყვის პირველი ასო გაურკვეველია, Ბ არის თუ Შ, გადაკეთებული თუ შეცდომით დაწერილი? იქნებ ᲑᲐ უნდა ყოფილიყო, მაშინ გოდოლი გვექნებოდა და სიტყვა ციხისძირელთა ერთგვარად გამართლებული იქნებოდა.

წარწერის ორი სტრიქონი ამოკვეთილი „ქანწილის“ ზემოთ არის მოთავსებული. მესამე—მეშვიდე სტრიქონები „ᲭᲐᲜᲬᲘᲚᲘᲡ“ ბუნით არს შეზღუდული. ქვედა სტრიქონები კი ცოტა უფრო გრძელია, რადგან ამოკვეთილი წარწერის სტრიქონები „ქანწილის“ ქვემოთ უფრო მარჯვნივ, ცოტა დაშორებით იწყება და დამწერს სტრიქონის გაგრძელების შესაძლებლობა ეძლევა. ამგვარად, საღებავით მიწერილი წარწერა შეზღუდულია ამოკვეთილი წარწერით და ამოკვეთილი წარწერის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. იგი X საუკუნის დასასრულზე, X—XI საუკუნის მიჯნაზე ადრეული არ შეიძლება იყოს. რადგან ამოკვეთილ წარწერას, როგორც ზემოთ იყო თქმული, ჩვენ ამ დროს ვაკუთვნებთ.

მიუხედავათ იმისა, რომ წარწერა სრულად არ იკითხება, მისი საერთო შინაარსი უფლებას გვაძლევს იგი ბოძების აქტად—დოკუმენტად ჩავთვალოთ. ეს არის ოქმი, რომლის მიხედვით ვინმე კვირიკე ვახტანგის ძეს, ბაგრატ მეფის ბრძანებით, რაღაც გარკვეული სამუშაოს შესრულების საფასურად ციხისძირელთა მოდილეგეთათვის გადაუცია ოშორის ზვარი სამუდამო სარგებლობაში.

ძველად „კალატოზი“ ანუ „გალატოზი“ და „ქვით ხურო“ ერთი და იგივე ცნება იყო[69], ამიტომ, ჩვენს წარწერაში ნახსენები გალატოზნი შეგვიძლია „ქვითხუროთ“, კერძოდ, „ქვის მკვეთელთ“ დავუკავშიროთ, რადგან ტექსტის მომდეენო სტრიქონში ქვის მთლელთა მიერ შესრულებულ სამუშაოზე არის

[68] მაგალითად, „მიქაელ გალატოზი, ოპიზარი.“ გვ. 37; „გალატოზთუხუცესი სკმეონი, გვ. 38, ვ. სილოგავა, „ლაპიდარული წარწერები“, II.

[69] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“ მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, 1946, გვ. 145—146.

საუბარი. რაც შეეხება სიტყვას „ციხისძირელთა“, შეიძლება ადგილის სახელთან იყოს დაკავშირებული და სადაურობას პასუხობდეს. ახლომახლო ასეთი სახელწოდება არ გვხვდება (შეიძლება თვით ზედა ვარძიის დამცველთ შეეხება).

„გალატოზთა“ — „ქვითხუროთა“ ასეთი შრომა შესაძლებელია საჭირო ყოფილიყო თვით ძეგლის აგებისას ან მტრის შემოსევის შედეგად დანგრეულის აღსადგენად, ან მიწისძვრით გამოწვეული ჩამოქცევის გასაწმენდად და აღსადგენად. მიწისძვრა არაერთხელ დასტყდომია თავს საქართველოს და კერძოდ ამ რაიონსაც. მაგ., 1088—89 წწ. მიწისძვრა, რომელიც ერთ წელიწადს გაგრძელებულა[70]. ამ დროს დაინგრა თმოგვი და სხვა... 1261 წ. მიწისძვრა, რომელსაც ასევე დიდი მსხვერპლი მოჰყოლია, 1283 წ. ძლიერი მიწისძვრა სამ თვეს გაგრძელებულა, 1318—19 წწ. საშინელი მიწისძვრა, რომელსაც მეორედ დაუნგრევია თმოგვი და სხვა[71]... არა ერთი ქალაქი, სოფელი და ნაგებობა იმსხვერპლა მიწისძვრამ მთლიანად ან ნაწილობრივ. ზედა ვარძიის ჩრდილო-დასავლეთით ჩამოწოლილი ლოდებიც მიწისძვრას უნდა უკავშირდებოდეს. არც მტრის შემოსევა, დარბევა-აოხრება და ნგრევა დაჰკლებია საერთოდ საქართველოს და კერძოდ საქართველოს ამ ნაწილსაც, ასე რომ აღდგენითი სამუშაოს ჩატარება გასაკვირველი არ იქნებოდა.

მელნით მიწერილი წარწერა, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, შესრულებულია ამოკვეთილ წარწერაზე გვიან. იგი პალეოგრაფიულად X ს. დასასრულის — X—XI საუკუნეთა მიჯნის ჩანს და ამოკვეთილ წარწერას დიდი დროით არ უნდა სცილდებოდეს. ასე რომ წარწერის შესრულების დრო ბაგრატ მესამის მეფობის ხანას ემთხვევა. ბაგრატ მეფეს თუ ასეთი წვლილი მიუძღოდა თვით ეკლესიის აგებაში, უეჭველია, ეს სათანადოდ იქნებოდა აღნიშნული საქტიტორო წარწერაში. წარწერა გულისხმობს რაღაც დამატებით სამუშაოს, რომლის ჩატარება საჭირო გახდა ნაგებობის დამთავრების შემდეგ. შესაძლებელია, ეს ეხება მიწისძვრის შედეგად ჩამოშლილი კლდის ნამტვრევებისაგან ტერიტორიის გაწმენდას, დასავლეთ მინაშენის აგებას, სამალავის გამოკვეთას ან სხვა რაიმე სამუშაოს შესრულებას. რადგან წარწერაში მოხსენებული ბაგრატ მეფე დროის მიხედვით ჩვენ ბაგრატ მესამედ მიგვაჩნია და ბაგრატ მეფის ბრძანებით გაიცა გასამრჯელო, ეს უნდა მომხდარიყო არა უგვიანეს 1014 წლისა, ე. ი. ბაგრატ მესამის სიცოცხლეში.

---

[70] „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. ტ. 1. 1955. „დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი“, გვ. 323/6—13.

[71] Е. И. Бюс, Сейсмические условия Закавказья, часть I, Тбилиси, 1948, с. 24. 25· სომხეთის მიწისძვრებს 1003—1004 — 1007 წწ-ში შეეძლებოდა საქართველოს-სასაზღვრო ზონაშიც დამანგრეველი შედეგი მოჰყოლოდა.

ძეგლის მხატვრული ანალიზი

1. გეგმა და შიდა სივრცე

ჩვენ არ შეუდგებით უგუმბათო ეკლესიების ტიპების ევოლუციის განხილვას, ეს არაერთხელ დამაჯერებლად არის გამოკვლეული და აღნიშნული ქართული ხუროთმოძღვრების და ხელოვნების მკვლევართა მიერ. შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ უგუმბათო შენობას და შევეცდებით სხვა ძეგლებთან შედარებისას, საერთო დამახასიათებელი თუ განმასხვავებელი ნიშნების მეშვეობით, გავარკვიოთ ზედა ვარძიის ეკლესიის ტიპი და განვსაზღვროთ მისი ადგილი ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ისტორიის მანძილზე, დავადგინოთ მისი აგების ქრონოლოგიური საზღვრები.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ უგუმბათო შენობების უმუტესობა მისი ძირითადი ტიპის (დარბაზული, სამნავიანი თუ სხვა...) მიხედვით, „წმინდა" სახით, ზუსტად გამეორებული არ გვხვდება, როგორც დროის ერთსა და იმავე მონაკვეთზე, ისევე დროის სხვადასხვა მანძილზედაც. საერთო პოლიტიკური თუ ეკონომიკური მდგომარეობის, დამკვეთის შესაძლებლობის, ან ოსტატის გემოვნების მიხედვით, კონსტრუქციული ელემენტების გამოყენების, კულტის მოთხოვნილების და სხვა ცნობილი თუ უცნობი რაიმე მიზეზით, ნაგებობა განუწყვეტლივ, გარკვეულ (მცირე თუ დიდ) ცვლილებას განიცდის და თავის ძირითად ნიშნებთან ერთად, ახალ, დამატებით, ნიშნებს იძენს.

რომ გადავხედოთ თუნდაც ერთნავიან დარბაზულ ეკლესიებს, კარგად დავინახავთ, რომ მარტივი დარბაზი (სწორკუთხოვანი სათავსი), რომელსაც აღმოსავლეთით წარზიდული, ნახევარწრიული, წახნაგოვანი ან სწორკუთხედშივე მოქცეული აბსიდი აქვს, შემდეგში იძენს დანამატთა მთელ რიგს სათავსოთა სახით: სამკვეთლო, სადიაკვნო, კარიბჭე და სხვ.. თანდათან ემატება გარშემოსავლელები ჯერ ერთი მხრიდან, მერე მეორე, მესამე და ერთი მაგალითის მიხედვით მეოთხე მხრიდანაც კი (ერედვი). შენობის ზომების ზრდა იწვევს კონსტრუქციულ ცვლილებებს. ჩნდება ერთი ან ორი წყვილი პილასტრი, სვეტები—ბოძები, კედლის თაღები და სხვა და სხვა... იცვლება სვეტების, პილასტრების საფეხურიანობა, თაღების და კამარების სახეობა. ჩნდება მცირე ან მოზრდილი ნიშები აბსიდში და სხვა ახალი დეტალები, რომ არაფერი ვთქვათ ძეგლის მხატვრული გაფორმების — შემკობის შესახებ როგორც ინტერიერში, ისევე ფასადებზე, რომელთაც ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ ძეგლის დათარიღებისას. ეს დამატებანი, ხან ძეგლის თანადროულია, ხან შემდეგში ემატება ახალი მოთხოვნილების და შესაძლებლობის შესაბამისად. ასეთი ცვლილებანი და დამატებანი, ერთგვარად ძირითადი ტიპის „ქვეტიპს" გამოჰყოფენ, თუმცა ყველანი ძირითადი დარბაზული შენობის გარს არიან გაერთიანებული. ასეთივე ცვლილებებს განიცდიან დროთა განმავლობა-

ში სამნავიანი თუ სხვა ბაზილიკები, რომელნიც იმდენ დამატებით ინდივიდუალურ თვისებას იძენენ, რომ ზოგჯერ ძნელიც კი ხდება მათი მიკუთვნება ამა თუ იმ ჯგუფისათვის.

ზედა ვარძიის გეგმას თუ სამწევროვან ეკლესიების გეგმას შევადარებთ, დავინახავთ, რომ იგი განმარტოებით არ დგას. მის გეგმას ძალიან ბევრი საერთო აქვს ახმეტის ღვთაებასა, ქოჩალოსა და სხვა ამგვარ ადრეულ ძეგლებთან. მაგრამ ამავე დროს არანაკლებია განმასხვავებელი ნიშნებიც, რომელნიც მათი აგების სხვადასხვა დროზე მიუთითებენ.

ჩვენ განვიხილავთ და ერთიმეორეს შევუდარებთ მხოლოდ ახმეტის ღვთაებას (კახეთი), ქოჩალოს (საინგილო), ძლევის წმ. გიორგის ეკლესიას სოფ. ტაბაკინიდან (ზესტაფონის რაიონი) და ზედა ვარძიას (სურ. 28).



სურ. 28. ორნავიანი ეკლესიები სამხრეთ სტოათი

ქოჩალოს გეგმა კვადრატშია მოქცეული. (სურ. 28—1). მისი მთავარი ნავი ერთ მთლიან დაუნაწევრებელ, სადა სწორკუთხედს წარმოადგენს აბსიდის ჩაუთვლელად. იგი სვეტის ან უკეთ სწორკუთხოვანი ბოძის და მასზე გადასული გრძივი თაღების მეშვეობით შექმნილი ორი ღიობით ჩრდილო ნავს უკავშირდება. ჩრდილო ნავის აღმოსავლეთ ნაწილში მოთავსებულია სამკვეთლო. ბოძის პირდაპირ სამხრეთ კედელში სამხრეთ ნავიდან შემოსასვლელი კარია გაჭრილი. სამხრეთ ნავი — სტოა სწოოკუთხოვანია, შენობის მთელ სიგრძეზეა გაჭიმული. მისი შემამკობელი სამთაღედი სამხრეთ ფასადის მთელ ფრონტს იკავებს. დასავლეთი კედლის ღერძზეა გაჭრილი დასავლეთი კარი. თითო სარკმელი გაჭრილია აბსიდასა და სამკვეთლოში. ძეგლის თანამედროვე მდგომა-

რეობა არ გვაძლევს საშუალებას წარმოდგენა ვიქონიოთ მის მხატვრულ გაფორმებაზე. ერთადერთი, რაც შეიძლება ითქვას, ისაა, რომ მისი გარეგნული სახე სამნავიანი ბაზალიკის აბრისს გვაძლევს — შუაში მაღალი ორფერდა სახურავით გადახურული მთავარი ნავი და აქეთ-იქით უფრო დაბალი ცალფერდა სახურავით გადახურული მონაკვეთები. მართალია, ქოჩალო ძლიერ არის დაზიანებული, მაგრამ ტლანქად დამუშავებული ქვის წყობა, ნალისებური აბსიდა და თაღები, ღიობების გადაწყვეტა და სხვა ზოგიერთი მისი ნიშანი გვაფიქრებინებს, რომ ისიც ადრეული ძეგლია და თუ ახმეტაზე ადრეული არა, მისი თანამედროვე მაინც არის. დანარჩენთაგან განსხვავებით აქ არ გვაქვს კედლის სვეტები — პილასტრები, რაც მისი შედარებით მცირე ზომების გამო კონსტრუქციულადაც არ იყო საჭირო[1].

ახმეტის ღვთაების ეკლესიის გეგმაც, თუ დასავლეთ მინაშენს არ მივიღებთ მხედველობაში, თითქმის კვადრატშია ჩაწერილი (სურ. 28—2). აბსიდა ბრტყელია, უსრულო ნახევარწრეს წარმოადგენს. მთავარი ნავი ერთი ბოძით და ორი ღიობით არის გამოყოფილი ჩრდილო ნავიდან, რომლის აღმოსავლეთ ნაწილში მოთავსებულია სამკვეთლო.

ბოძი და პილასტრები მთავარ ნავს სამ, თითქმის თანაბარ მონაკვეთად ჰყოფენ (აბსიდის ჩაუთვლელად). პილასტრები და ბოძიც ორსაფეხურიანია. მათი საფეხურები ზემოთ მიიმართებიან, კედლის სიბრტყეზე სართავ თაღებს ქმნიან და ამგვარად დეკორაციულობასაც ემსახურებიან. ღიობების თაღები კი კედლის სიბრტყეში რჩებიან, კედელს ერწყმიან და მათი თაღის ქუსლი მხოლოდ ღიობის შიდა პირისკენ იძლევა ოდნავპროფილირებულ სიბრტყეს. სამხრეთ კარი მთავარი დარბაზის შუა მონაკვეთის ნაწილშია გაჭრილი. დასავლეთის კედელი პილასტრით ორადაა გაყოფილი. დასავლეთი კარი ჩრდილო მონაკვეთშია მოთავსებული. სამკვეთლოს შესასვლელი კარი დასავლეთიდან აქვს. მეორე, ამჟამად ამოშენებული კარი, მთავარ ნავის აღმოსავლეთ მონაკვეთში ყოფილა გაჭრილი[2]. სამხრეთ ნავის შუა ნაწილი, რომელიც ორთაღედით არის დამშვენებული, გადახურულია ოდნავ ნალისებური კამარით. აღმოსავლეთით და დასავლეთით განივი თაღებით გამოყოფილ კვადრატებში კი გუმბათოვანი კამარებია.

ერთი დახედვით ზედა ვარძიის ეკლესიის გეგმა, თითქოს, ახმეტის ღვთაების ეკლესიის გეგმას ემთხვევა. მაგრამ შედარებისას ისინი ერთმანეთისგან მნიშვნელოვნადაც განსხვავდებიან. პირველ ყოვლისა ამ ორ ძეგლს განასხვავებს საამშენებლო მასალა[3], საამშენებლო ტექნიკა და თვით ძეგლის მხატვრული გადაწყვეტა, მთელი რიგი დეტალები ინტერიერში, ფასადების დეკორი და ა. შ.

ზედა ვარძია უფრო წაგრძელებულ სწორკუთხედშია ჩაწერილი. ზედა ვარძიაში მთავარი ნავი, ორი ბოძით და შესაბამისი პილასტრებით სამხრეთ კედელზე, სამ თითქმის თანაბარ ნაწილადაა გაყოფილი. პილასტრები ორსაფეხურიანია, ბოძები სამსაფეხურიანი. აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსი-

---

[1] ანაზომის მიხედვით, ქოჩალო ძალიან დაზიანებულია. სამწუხაროდ, არ მოხერხდა მისი ნახვა. ძეგლი გასაწმენდია, ფოტომასალა საკმარისი არ არის. ძეგლი აზომილია არქიტ-ბის ლ. წილოსანის და ს. რევიშვილის მიერ (1947 წ.). მასალა ეკუთვნის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის და გამოყენების სამმართველოს. მოხსენება წაკითხული იყო დ. პ. გორდეევის მიერ.

[2] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии. Тбилиси, 1959, с. 72.

[3] ახმეტის ღვთაება რიყის ქვითაა ნაგები და მხოლოდ კონსტრუქციულ ნაწილებში — კუთხეებსა, პილასტრებსა, კარნიზებსა და სარკმელთა სათაურებშია შირიმი გამოყენებული.

დაა, ოდნავ ღრმად აღებული ცენტრით. აბსიდაში, დანარჩენი ძეგლებიდან განსხვავებით (სურ. 28—4), ორი სარკმელია: ერთი — საკურთხეველში — მაღალი და ვიწრო, მეორე — კონქში — მრგვალი, მათგან განსხვავებით, აბსიდაში ორი მოზრდილი ნიშაა: ჩრდილო — სწორკუთხოვანი, იატაკის დონიდან 50 სანტიმეტრზე, და სამხრეთის — მრგვალი, გუმბათიანი, იატაკიდან 100 სანტიმეტრის სიმაღლეზე. ეს უკანასკნელი აღმოსავლეთიდან მრგვალი სარკმლითაა განათებული. საფიქრებელია, რომ იგი სადიაკვნოს მაგივრობას სწევდა. მთავარი ნავის ორივე ბოძი და მათზე გადაყვანილი გრძივი ორსაფეხურიანი თაღები მკვეთრად და მოხდენილად არიან გამოძერწილი. სამივე ღიობი მაღალია და ამის შედეგად ჩრდილო ნავი სივრცობრივ მთავარ ნავს ერწყმის. ჩრდილო ნავის აღმოსავლეთ ნაწილშია მოთავსებული სამკვეთლო, რომელსაც აღმოსავლეთით სარკმელი, დასავლეთიდან კი შესასვლელი კარი აქვს. ჩრდილო ნავის დასავლეთ კედელში სარკმელია გაჭრილი, რაც სხვა ძეგლებს (სურ. 28) არ ახასიათებს. აღსანიშნავია, რომ ჩრდილო ნავი, დანარჩენ ძეგლებთან შედარებით, ზედა ვარძიაში ყველაზე ვიწროა (სულ 125 სანტიმეტრია). ბოძების ჩრდილოეთისაკენ მიქცეული ძირითადი საფეხური დაუნაწევრებელია, სადაა და არც სვეტისთავების ზოლი გადმოდის აქეთ. კამარა ცილინდრულია. განივი თაღები სადა, სწორკუთხათაროიან, სამკუთხა პროფილის თარხნებს ეყრდნობა. მთავარი ნავის დასავლეთი კედელი სადაა, კარიც და სარკმელიც შუა ღერძზეა მოთავსებული. როგორც აღწერისას იყო აღნიშნული, დასავლეთის კედლის თაღი სამხრეთით პილასტრს, ჩრდილოეთით კი თარხანს ეყრდნობა. ასეთი გადაწყვეტა ბოძის და პილასტრის სხვადასხვასაფეხურიანობით არის გამოწვეული. ბოძები სამსაფეხურიანია, პილასტრები კი — ორსაფეხურიანი. ამის გამო, დასავლეთის კედელი ერთი საფეხურით უფრო განიერია ვიდრე სამხრეთ პილასტრის და ბოძის შორისი მალი. დასავლეთ კედლის თაღის ჩრდილო ქუსლის თარხანზე დაყრდნობით მშენებელი თაღის და კამარის ზომებს უცვლელად ტოვებს, არ ართულებს საბურავის კონსტრუქციას. (სურ. 4,6 ტაბ. 14, 15). ასეთი მაგალითები სხვა ძეგლებშიც გვაქვს[4]. უნდა აღინიშნოს, რომ არსად არ არის ისე მოხდენილად გადაწყვეტილი თაღის საყრდენი ჩრდილო თარხანი, როგორც ეს ზედა ვარძიაში გვაქვს. თარხნის პირველი, ქვედა იმპოსტი სადა სწორკუთხოვან პარალელეპიპედს წარმოადგენს, მეორე — ზედა იმპოსტი სხვა დანარჩენი პილასტრების სვეტსათავების დონეზეა (კამარის ქუსლთან) და ისევეა შემკული, როგორც სამხრეთ კუთხის პილასტრის სვეტისთავი — ღილების და ფესტონების მწკრივით. სამხრეთის ნავი — სტოა აღმოსავლეთით ნახევარწრიული ყრუ აბსიდით მთავრდება[5]. აბსიდის კუთხის იმპოსტები პროფილირებულია და ფესტონებით არის შემკული. დასავლეთის კედლის კუთხის პილასტრები მაღლა თაღს ერწყმიან, ქვემოთ კი ცოკოლის საფეხურს ეყრდნობიან და ერთგვარ კედლის შემომფარგველელ ჩარჩოს ქმნიან.

სამხრეთ სტოას შიდა ჩრდილო კედლის ორსაფეხურიანი ცოკოლით გამოყოფა, მაშინ როდესაც შიგნით მთავარ და ჩრდილო ნავის კედლებს ერთსაფეხურიანი ხარისხი გასდევს და გარედანაც სტოაში ერთი საფეხური შემოდის მხოლოდ, თითქოს ხაზს უსვამს იმას, რომ სამხრეთი სტოა დანიშნულებით გა-

---

[4] ეს ხერხი გამოყენებულია როგორც ამ დროის, ისევე ადრეულ და გვიანდელ ძეგლებზედაც. მაგ., ძველი შუამთა, გორის ჯვარი, ზეგანის ყველაწმინდა, ზედაზენი, წუნდა და სხვა...

[5] ყრუ აბსიდი ჯერ კიდევ ბოლნისის სიონის ჩრდილო სტოაში და შემდეგაც არა ერთხელ გვხვდება ქართულ ძეგლებში (კონდამიანი, მატანი, ეაზისუბანი, ბაიხო, ოლთისი და სხვა. ჩვეულებრივ ადრეულ ძეგლებს ახასიათებს).

შოყოფილია ძირითადი ორწევროვანი სივრცეიდან, ე. ი. მიუხედავად იმისა, რომ მთელი შენობა ერთდროულად არის ჩაფიქრებული და შესრულებული, თავიდანვე სამხრეთ ნაწილს თავისთავადი მნიშვნელობა ენიჭება, იგი თავისუფალი სტოას როლს ასრულებს, როგორც გვაქვს მაგ., ბოლნისის სიონის შემთხვევაში (ჩრდილო სტოა).

რაც შეეხება დასავლეთ მინაშენს, რომელიც ახმეტაში თითქმის ეკლესიის თანადროულია და ორგანულადაც უკავშირდება ნაგებობას[6], ზედა ვარძიაში არც თანადროულია და არც ორგანულად არის დაკავშირებული შენობასთან. საამშენებლო მასალაც, წყობის ხასიათი, შესრულებაც, კონსტრუქციაც, მისი მიშენების უფრო გვიან დროზე მიუთითებს, როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული ძეგლის აღწერისას. ზედა ვარძიაში კარგად შერჩეული პროპორციების გამო, მოხდენილობის და აზიდულების გრძნობა ეუფლება შიგ შესულ მნახველს. ღიობების პროპორცია, სვეტის შუა საფეხურის აზიდვა, პილასტრად გადაქცევა და მათი პროფილირებული სვეტისთავები, რომელთაც საბჯენი თაღები ეყრდნობა, თვით კონსტრუქციული ელემენტების მკაფიო ხაზები, შესაშური გულმოდგინებით დამუშავებული ქვის ზედაპირი და კედლის წყობა, ყველაფერი ეს სიამოვნებას გვრის მაყურებელს. მოხდენილობა იგრძნობა საბჯენ თუ სართავ თაღებში, აბსიდის ნიშებსა და სხვა ყველა მონაკვეთში, აღმოსავლეთის კედელი იქნება თუ დასავლეთის, ბოძი იქნება, თუ კედლის თაღებით შემოფარგლული სიბრტყეები და სხვა... ამასთანავე, ინტერიერის მოჩუქურთმებული დეტალები, მათი ორნამენტული რეპერტუარიცა და შესრულების მაღალი დონეც მხარს უბამს შენობის მთლიანობას, და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ X საუკუნის დასასრულისათვის და XI—საუკუნის დასაწყისში ინტერიერის საგანგებო გაფორმება, მისი ორნამენტული სამკაული საყოველთაოდ კედლის მხატვრობით — ფრესკით იცვლება, ჩუქურთმა მთლიანად გარე ფასადებზე გადაინაცვლებს და თანდათან კედლის სართავ თაღებთან და საუცხოო, მდიდრულად გაფორმებულ კარ-სარკმელთა მოჩარჩოებასთან ერთად, ახალ საფეხურზე აიყვანს ტაძრის გარე გაფორმებას, გასაგები გახდება, რომ ზედა ვარძია ამ მხრივაც X საუკუნის დასასრულის, X—XI საუკუნეთა მიჯნის ძეგლებს ენათესავება.

თუ ადრეულ ძეგლებში მშენებელი უფრო მეტად უტილიტარულ მოთხოვნილებას უწევს ანგარიშს, ზედა ვარძიაში ავტორი მხატვრულ, უტილიტარულ და, შეიძლება ითქვას, კონსტრუქციულ მოთხოვნილებას ერთმანეთს არ აცილებს, ცდილობს მათ შეგუებას, ჰარმონიულობის მიღწევას.

ქოჩალოში, ახმეტაში, ასევე ტაბაკინშიც, როგორც ვხედავთ (სურ. 28) ღიობები უფრო დაბალია, კედლის სიბრტყიდან არ გამოიყოფიან, კარს მოგვაგონებენ. ამის გამო მთავარი და ჩრდილო ნავი სივრცობრივ განცალკევებული არიან. ზედა ვარძიაში მაღალი ღიობები აერთიანებენ მთავარ და ჩრდილო ნავს და ორივე ერთად აღიქმება. ორი ცალკე მდგომი ბოძი, მათზე გადაყვანილი ორსაფეხურინი თაღები, მაღალი ღიობები თავის პროპორციებით, ტექნიკური შესრულებით და სვეტისთავების უდავოდ საინტერესო სამკაულით მხატვრულ შთაბეჭდილებას აძლიერებს. ბოძის წინა საფეხურის გამო-

---

[6] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, 1959, გვ. 77. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ახმეტის დასავლეთი მინაშენი, მართალია, შემდეგში (მცირე დაგვიანებით) არის მიშენებული, მაგრამ იგი შენობასთან ერთად ყოფილა ჩაფიქრებული და შენობის მთლიანობას ემსახურება.

ყოფა და საბჯენ კამარასთან სვეტისთავით დაკავშირება, ბოძის საერთო სიტლანქეს თვალისათვის შეუმჩნეველს ხდის და აღსაქმელად ცალკე ტანკენარი პილასტრი, ცალკე უფრო დაბალი, მოხდენილი საყრდენები რჩება. სამხრეთ კედლის პილასტრთა ორსაფეხურიანობის გამო, კედლის თაღები ერთსაფეხურიანია. ამიტომ ისინი ღიობის თაღის მეორე — ზედა საფეხურის სიმაღლეზე მდებარეობენ. რაც შეეხება აბსიდაში მოთავსებულ ნიშებს, უნდა ითქვას რომ, ადრეულ ძეგლებში ნიშები ან სულ არ იყო, ან მცირე თახჩებს წარმოადგენდა. X საუკუნეში კი უკვე მაღალი მოზრდილი ნიშები ჩნდება[7]. სწორკუთხოვანიც და მრგვალიც. ზედა ვარძიის მრგვალი ნიშა მაღალია და გარკვეულად სათავსოს მაგივრობას სწევს. მისი კარის ზღუდარი გარედან (ე. ი. აბსიდიდან), როგორც აღნიშნული გვქონდა, თარაზულგადანაკეცებიანი თავსართით არის შემკული. ასეთი თავსართები კი სხვადასხვა ვარიანტით VI საუკუნიდან არის ცნობილი კარ-სარკმელთა შესამკობად და ყველაზე მეტ გავრცელებას X საუკუნის ძეგლებში პოულობს. ინტერიერში სვეტისთავების, იმპოსტების შემკობა X—XI სს. მიჯნაზე გვიან აღარ გვხვდება, რადგან ამ დროიდან მოყოლებული კედლის მხატვრობა ეუფლება ტაძრის კედლების შიდა ზედაპირს.

ზედა ვარძიასთან შედარებით ქოჩალოში, ახმეტაში, ტაბაკინში, ბუნებრივია, შუა ნავის სიმაღლე ბევრად აღემატება გვერდითი ნავების სიმაღლეს. საინტერესოა, რომ თუ ნავის სიგანეს ერთეულად მივიღებთ და მას თავის სიმაღლეს შეეუდარებთ, დავინახავთ (ქვემომოყვანილი ცხრილიდან), რომ სიმაღლის სიგანესთან შეფარდება — პროპორცია — ძეგლის აბსოლუტური ზომების სხვადასხვაობის მიუხედავად, მცირე ფარგლებში მერყეობს და გამონაკლისს ზედა ვარძიის მხოლოდ ჩრდილო და სამხრეთი ნავები წარმოადგენენ.

ცხრილი 1

ძეგლის სახელწოდება	ჩრდ. ნავი	მთავარი ნავი	სამხ. ნავი—სტოა
ქოჩალო	1:1,7	1:2,0	1:2.0
ახმეტა	1:1,9	1:2,0	1:1,9
ტაბაკინი	1:1,9	1:1,9	1:2,0
ზედა ვარძია	1:4,1	1:2,0	1:2,8

ასევე შეიძლება შეეუდაროთ ერთმანეთს ღიობები, რომლებიც მთავარ ნავს ჩრდილო ნავთან აკავშირებენ, სიმაღლის და სიგანის ფარდობის მიხედვით. ქოჩალოში, დაახლოებით (ზუსტად დადგენა შეუძლებელია)[8], შეიძლება იყოს 1:1,4, ახმეტაში და ტაბაკინში — 1:1,6; ვარძიაში კი ეს ფარდობა უკვე 1:2,8 უდრის. ღიობების სიმაღლის ცვლა კი ცვლის პროპორციას, მხატვრულ შთაბეჭდილებას აძლიერებს.

მასალის უფრო ღრმად შესწავლამ შესაძლებელია საშუალება მოგვცეს ძეგლთა დათარიღებისას ეს ფარდობებიც გამოვიყენოთ.

ზედა ვარძიის გეგმასთან დაკავშირებით მოკლედ გვინდა შეეხოთ ერთ-ერთ ორწევროვან „ქვეტიპს", რომელიც თავისი დამახასიათებელი ნიშნებით,

---

[7] მაგ., ვანათი, დისევი, არბო X ს. სავანე, მერია XI ს. შემდეგში წინარეხი, დაბა, ქარზამეთი და სხვა.

[8] ამ შეფარდების ზუსტად დადგენა ძეგლთა გაწმენდის და გათხრის გარეშე შეუძლებელი ა.

ვფიქრობთ, ნათესაურ კავშირს ამჟღავნებს ჩვენ საკვლევ ძეგლთან, თუმცა სამწევრიანობა არ ახასიათებს.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა დამახასიათებელმა ნიშანმა, რომელიც ამ სხვადასხვა ძეგლებს აახლოებს ერთმანეთთან. ესენია: მცირე ან მოზრდილი დარბაზული ეკლესიები, რომელთაც დარბაზის ტევადობის გაზრდის მიზნით და არა კულტის მოთხოვნილებით, ემატება გვერდითი ნავი, რომლის ზომა და ორიენტირება ქვეყნის მხრეთა მიმართ დაკანონებული არ ჩანს. ზოგიერთ ასეთ ეკლესიაში შესავლელი კარი გვერდითი ვიწრო ნავიდანაა, ზოგში გვერდით ნავში მოხვედრა მხოლოდ დარბაზზე გავლით შეიძლება. ჩვენ მიერ მოყვანილ ძეგლებში დარბაზი და გვერდითი ნავი ერთი ბოძით და ორი ღიობით არის ურთიერთდაკავშირებული. მაგალითად: ობოლეთი, ქილდა, დანკალი, ვანი, ღართა[9] და სხვა... ზოგი თუ თავდაპირველადვე ასე იყო აგებული, ზოგმა ასეთი სახე შემდგომი გადაკეთების შედეგად მიიღო (ზველი, სარო და ა. შ.).

კლდესთან ახლო მდგარი ან კლდეზე მიკრული ზოგიერთი ეკლესიის ჩრდილო ნავი კლდეშია შეჭრილი (ვარნეთი — ასპინძის რაიონი, ბიეთი — გორის რაიონი და სხვა). ეს ძეგლები სხვადასხვა დროს მიეკუთვნებიან (IX—X.) და შეიძლება უფრო გვიან პერიოდასაც. ეს კია, რომ გეგმის გადაწყვეტა ყველგან ერთსა და იმავე მიზანს — სამლოცველოს გაფართოებას — ემსახურება.

მათი შესწავლა-დათარიღება ცალკე კვლევას მოითხოვს, რაც შორს წაგვიყვანს. ამიტომ მოკლე მიმოხილვითა და ვარაუდით დავკმაყოფილდებით.

ობოლეთში ეკლესიის დარბაზს ვიწრო ნავი სამხრეთით აქვს (სურ. 29), შესასვლელი კარიც სამხრეთ კედელშივეა გაჭრილი. დანკალში, მიუ-



სურ. 29. ორნავიანი ეკლესიები.

ხედავად იმისა, რომ დამატებითი ნავი სამხრეთით არის მოთავსებული და ეკლესიაში შესასვლელ კარის აქედან გაჭრას არაფერი უშლიდა ხელს, კარი დარბაზის დასავლეთის და ჩრდილო კედლებშია მოთავსებული. ქილდას დამატებითი ნავი ჩრდილოეთიდან აქვს. შესასვლელი მთავარ დარბაზში ორია — სამხრეთიდან და დასავლეთიდან. ეკლესია ტრიალ მინდორზეა აგებული. გვერდითი ვიწრო ნავის მოთავსება სამხრეთიდან დაკანონებული რომ ყოფილიყო, ამას არაფერი შეუშლიდა ხელს, სამხრეთიდან მოათავსებდნენ. ვანის ეკლე-

[9] ღართის დღევანდელი გეგმა გადაკეთების შედეგი უნდა იყოს, სამხრეთი ნავის ორი ღიობიდან ერთი—აღმოსავლეთის—შემდეგშია ამოშენებული. თავდაპირველად ორი ღიობი უნდა ყოფილიყო. წყობას აშკარად ემჩნევა ამოშენებული ნაწილი.

სია ორნავიანიცაა და ამასთანავე ორაბსიდიანიც, მისი კარი ვიწრო ნავის დასავლეთ კედელშია გაჭრილი.

ობოლეთში სამხრეთი სწორკუთხოვანი ნავი დარბაზის სივრციდან სწორკუთხოვანი ბოძით და ორი ღიობითაა გამიჯნული. ქილდაში რვაწახნაგოვანი სვეტი და მასზე გადაყვანილი თაღები ჩრდილო ნავს დარბაზთან აკავშირებს. დანკალის ეკლესია ქილდასა და ობოლეთზე მოზრდილია, ნავების გამყოფ ორსაფეხურიან ბოძზე ორსაფეხურიანი თაღებია გადაყვანილი, სამხრეთი ნავიც აბსიდით მთავრდება და, ერთგვარად, მეორე ეკლესიის თუ ეკვდერის როლს ასრულებს. ასევე აბსიდით მთავრდება ვანის ეკლესიის[10] სამხრეთის ნავიც (სურ. 29).

ამ ძეგლებში, როგორც მოსალოდნელი იყო, დარბაზი ორქანობიანი სახურავითაა გადახურული, გვერდით ნავი კი — ცალქანობიანია. ასე რომ, შიდაგანწევრება გარე მოხაზულობაშიც მეღავნდება. ამგვარად, ეს ეკლესიები გარეგნულად დარბაზული ეკლესიების იმ ტიპს უახლოვდებიან, რომელთაც სტოა ან ეკვდერი აქვთ და სათავსოები ურთიერთთან ღიობით კი არა, კარით არიან დაკავშირებულნი. მაგალითად: ოლთისი, გიორგი წმინდა, მერია და ა. შ.

ორნავიან ეკლესიებს, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ, ერთგვარად თავისი პროტოტიპიც აღმოაჩნდათ. ეს უნდა იყოს 1956 წ. ბიქვინტაში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი სრულიად სიმეტრიული ორაბსიდიანი ეკლესია. მიუხედავად იმისა, რომ ბიქვინტის ეკლესიის მხოლოდ ქვედა ნაწილია (1,5 მეტრამდე) გადარჩენილი, გეგმა აღდგენილია და გამოქვეყნებული[11]. დიდი ტაძარი (12X16 მ) ორი თანაბარი ნავით, აღმოსავლეთით წარზიდული ხუთწახნაგოვანი ორი თანაბარი აბსიდით მთავრდება. ნაოები ერთი ბოძით და ორი ღიობით ყოფილა ერთიმეორესთან დაკავშირებული. თავის მხრივ თითოეულ ნავს ორად ჰყოფდა ბოძის შესაბამისი პილასტრი ჩრდილო და სამხრეთ კედელზე. აბსიდები ღრმაა. სამხრეთ, დასავლეთ და ჩრდილო კედლებში ორ-ორი კარია გაჭრილი. ძეგლი VI საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის. ბიქვინტის ეკლესიას წააგავს მღვიმევის XIII საუკუნის მეორე ნახევრის ორნავიანი — ორაბსიდიანი—ეკლესია. ეს ეკლესიაც აღმოსავლეთით წარზიდული ხუთწახნაგოვანი აბსიდებით მთავრდება, იმ განსხვავებით, რომ მღვიმევის ჩრდილო ნავი უფრო ვიწროა და შესაბამისი აბსიდიც მცირე ზომისაა, ვიდრე მთავარი ნავის აბსიდი. რასაკვირველია, მღვიმევს თავისი დროის დამახასიათებელი ნიშნებიც ახლავს, რომელთა დახმარებითაც თარიღდება იგი.

როგორც დავინახეთ, ორნავიანი ეკლესიის ვიწრო ნავი ზოგჯერ სწორკუთხიანია, ზოგჯერ აბსიდიანი, რაც გვიჩვენებს, რომ ერთი ტიპის ორ ქვეტიპთან გვაქვს საქმე. ზემოჩამოთვლილი მაგალითები და უკანასკნელ დროს აღმოჩენილი ძეგლებიც გვიდასტურებენ, რომ ორნავიანი ეკლესიაც უფლებამოსილი საკულტო ნაგებობაა, როგორც დარბაზული, სამნავიანი და სხვა.

თუ დავაკვირდებით ზედა ვარძიისა და მისმაგვარი სამწევროვანი ტაძრის გეგმას, დავინახავთ, რომ კედლით გამოყოფილი ნავის ჩამოცილებით ზემოთ მოყვანილ ორწვეროვან შენობას მივიღებთ; ხოლო პირიქით — ორწვეროვან—

---

10 ძეგლი აზომილია ი. ციციშვილის მიერ. მასვე აქვს შეკითხული მოხსენება საქ. მეცნ. აკად. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური განყოფილების მცირე სხდომაზე 23—IV—46 წ. (ორნავიანი მცირე ეკლესია).

11 ფ. მიქელაძე, ბიქვინტის ორაბსიდიანი ეკლესია, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, III, თბილისი, 1963, გვ. 125—131.

ორნავიან ეკლესიას. თუ ერთ-ერთ მხარეს ისეთ სათავს დავუმატებთ, რომელიც მხოლოდ კარით იქნება დაკავშირებული მთავარ ნავათნ, მაშინ ჩვენ მიერ დასახელებულ სამწეროვან ეკლესიას მივიღებთ. როგორც ჩანს, დამატებითმა ნავმა ბოლოს და ბოლოს ჩრდილო მხარე დაიკავა და სტოა სამხრეთით მოაქცია, როგორც ძველთაგანვე იყო დამკვიდრებული. შესასვლელები, ძირითადად, სამხრეთით და დასავლეთით იყო გაკრილი, უფრო იშვიათად—ჩრდილოეთიდანაც. ამგვარად, ზედა ვარძია ორნავიანი ეკლესია უნდა იყოს (ისევე როგორც ქოჩალო, ახმეტის ღვთაება, ტაბაკინი და სხვა), რომელსაც სამხრეთით სტოა აქვს დამატებული. ზედა ვარძიისათვის, როგორც საშუალო საუკუნეების წარმომადგენლისათვის, ასეთი დანამატი ბუნებრივიც იქნებოდა, თუ გავიხსენებთ, რომ „საქართველოში X—XI სს-დან სტოა ტაძრის თითქმის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა"[12].

ამასთან დაკავშირებით ჩვენ განვიხილავთ კიდევ ერთ ძეგლს, კერძოდ, ზესტაფონის რაიონის სოფ. ტაბაკინის ძლევის წმ. გიორგის მონასტრის ორნავიან ეკლესიას[13] (ნახ. 28—3), რომელიც თავისებურებით ხასიათდება და საერთო ხაზებში ქოჩალოს, ახმეტას და სხვა ამგვარ ძეგლებს უახლოვდება. აქ სამხრეთის სტოა, რომლის სამხრეთი ფასადი სამთაღედითაა გაფორმებული, დამოუკიდებელ სადგომს წარმოადგენს და ეკლესიის დარბაზთან უშუალო კავშირი არა აქვს. სამაგიეროდ, მისი დასავლეთის კედელი ღიობით არის გახსნილი. ღიობისა და ეკლესიის დასავლეთი კარის მეშვეობით შეიძლება ეკლესიის დარბაზში მოხვედრა.

ტაბაკინის ძლევის წმ. გიორგის ეკლესიას თუ შევადარებთ დანარჩენ ძეგლებს (სურ. 28), დავინახავთ, რომ ტაბაკინი, ზოგიერთი კვანძის გადაწყვეტით გეგმასა და ინტერიერში, წააგავს ტაბულაზე მოყვანილ დანარჩენ ძეგლებს და მეტადრე ახმეტის ღვთაებას. ტაბაკინში, ისევე როგორც ახმეტაში, სამკვეთლოს გაზრდის სურვილი უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ ორი ბოძის ნაცვლად ერთი თავისუფალი ბოძი გვაქვს და მეორის მაგივრობას პილასტრი ეწევა. ერთნაირადაა გადაწყვეტილი ღიობები, ერთნაირია მათი პროპორციებიც (იხ. ზემომოყვანილი ცხრილი 1).

ახმეტასა და ტაბაკინში სამკვეთლო უფრო მეტადაა წაგრძელებული, ვიდრე ქოჩალოსა და ზედა ვარძიაში (სურ. 28). ტაბაკინის სამკვეთლო, დანარჩენთაგან განსხვავებით, აღმოსავლეთით აბსიდით არის დამთავრებული. სამკეთლოს ორი კარი აქვს: ერთი დასავლეთით და მეორე — დარბაზთან უშუალოდ დასაკავშირებლად, აღმოსავლეთით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გ. ჩუბინაშვილის დაკვირვებით, თავდაპირველად ასევე ყოფილა ახმეტაშიც.

ტაბაკინის შემსწავლელი ავტორები მოგვითხრობენ, რომ „ტაბაკინის ეკლესია შენებისა, განახლებისა და შეკეთების ოთხ ფენას შეიცავს: პირველი VI—VII სს., მეორე, შესაძლებელია, X ს., მესამე, განახლებისა და მოხატვის 1510—1529 წწ. და მეოთხე, 1529 წ. შემდეგ[14]—უკანასკნელი შეკეთება ტლანქად და ნაჩქარევად შეუსრულებიათ. გაუჭრიათ სტოაში კარი და სარკმელი,

---

[12] ვ. ბერიძე, „სავანე", ქართული ხელოვნება, წ. I, 1942 გვ. 105.

[13] გ. გაფრინდაშვილი, ნ. ჩუბინაშვილი, ძლევის წმ. გიორგის მონასტერი სოფ. ტაბაკინში, „ძეგლის მეგობარი", № 18, თბილისი, 1969, გვ. 23—33.

[14] იქვე, გვ. 33.

რის შედეგად 1510—1529 წწ. კედლის მხატვრობა დაუზიანებიათ. მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ძეგლმა განახლებისასაც: თავდაპირველი გათლილი ბლოკებისაგან შემდგარი კამარები ფიქალის კამარებით შეუცვლიათ. ვიმედოვნებთ, რომ ამის გამო თავდაპირველი სიმაღლეები არ შეცვლილა და ფარდობა (იხ. ცხრილი 1) დიდ ცდომილებას არ შეიცავს.

ამგვარად, გეგმის და ინტერიერის სივრცობრივი გადაწყვეტით, პროპორციებით, ტაბაკინი ადრეულ ძეგლებს უახლოვდება. რაც შეეხება მის სამხრეთ სტოას, განსხვავება ის არის, რომ ტაბაკინის სამხრეთ სტოას ეკლესიასთან უშუალო კავშირი არა აქვს. კავშირი, როგორც ითქვა, სტოას დასავლეთი ღიობის მეშვეობით ხორციელდება. ასეთ გადაწყვეტას კი „ჯერჯერობით პარალელი არ მოეპოვება და ამიტომ ტაბაკინის მაგალითი უნიკალურია"[15]. ერთი სიტყვით, როგორც ვხედავთ (სურ. 28) ამ ძეგლებს, ურთიერთშედარებისას, ზოგი ნიშანი აახლოებს, ზოგი კი აშორებს. ძირითადი, რაც მათ აახლოებს არის გეგმის ორწევრიანობა და სამხრეთი სტოა. რაც შეეხება ბოძების (სვეტების) რაოდენობას, ნიშების ფორმასა და ზომას აბსიდაში, ღიობების ხასიათს, პროპორციას და საერთოდ, ინტერიერისა და ფასადების მხატვრულ გადაწყვეტას, ეს უკვე თავისი დროისათვის მიღებულ ნორმებს ითვალისწინებს. ამასთანავე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამშენებლო მასალას, მისი გამოყენების ხერხებს, კონსტრუქციებს და სხვა, რაც დროის მოთხოვნილებასთან, გემოვნების ცვლილებასთან, პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან, თუ კერძოდ ხელოვანის შესაძლებლობასთან არის დაკავშირებული. ყოველივე ეს კი განასხვავებს ძეგლებს ურთიერთისაგან.

ორნავიანი ეკლესია სტოას დამატებით სამწევროვან ნაგებობად იქცევა, სადაც ორნავიანობა სამხრეთ სტოას მთლიანი გამოცალკევებით((ტაბაკინი), ან მთავარი ნავის და სამხრეთ სტოას შორის ერთი კარის გაჭრით არის ხაზგასმული (ახმეტა, ქოჩალო, ზედა ვარძია).

რაც შეეხება ზედა ვარძიას, იგი გეგმის გადაწყვეტით ადრეული ძეგლების იდენტურია თითქოს. მაგრამ მისი ხორცშესხმა სულ სხვა დროის დამახასიათებელია. სწორედ ეს განსხვავება გვაძლევს ზედა ვარძიის აგების დროის განსაზღვრის საფუძველს. გეგმის დახვეწას ემსახურება ორი თავისუფალი ბოძი, მათი აზიდულობა, მათ მიერ შექმნილი ღიობები, თაღების საფეხურიანობა, რის შედეგადაც ორივე ნავი სივრცობრივ ერთად აღიქმება, მაშინ როდესაც ადრეულ ხანაში ისინი ერთმანეთისაგან გამოცალკევებული არიან. აბსიდის მაღალი ნიშნები (რომელთაგან ერთი მრგვალია), ინტერიერში გამოყენებული ჩუქურთმა სვეტისთავების და იმპოსტების შესამკობად, ფასადთა მორთვა, კედლის მოპირკეთების უზადო შესრულება და სხვა X საუკუნის დასასრულის, XI საუკუნის დასაწყისის ძეგლების წრეში აქცევს მას. ეს ყველაფერი საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებული ჩვევების გამოყენების და ახლის ძიების შედეგია, რომელიც ფეხდაფეხ მისდევს დროს და გამოხატულებას პოულობს, როგორც გუმბათიან ნაგებობაში, ისე უგუმბათო შენობებში. ხელოვანი თითქოს იმეორებს ძველთაგან ცნობილი შენობის ტიპს, მაგრამ იმავე დროს შეაქვს ბევრი ახალი, თანადროული, X ს. დასასრულის, X—XI საუკუნეთა მიჯნის დამახასიათებელი, რაც საშუალებას აძლევს მას მნიშვნელოვანი, საინტერესო ნაგებობით დაამშვენოს თავისი მიწა-წყალი.

---

[15] გ. გაფრინდაშვილი, ნ. ჩუბინაშვილი, ძველი წმ. გიორგის მონასტერი სოფ. ტაბაკინში, „ძეგლის შეგობარი", თბილისი, გვ. 29.

2. ნაგებობის ხუროთმოძღვრული ფორმები და ფასადები

ქართულ საკულტო ნაგებობებში შინაგან განწევრებასა და გარე მასებს შორის, უმეტეს შემთხვევაში, ჰარმონიული კავშირია. გარე მასები შიგა სივრცის ძირითად ფორმებს იმეორებენ და ნათელს ყოფენ მისი შემადგენელი ნაწილების ურთიერთდამოკიდებულებას. ამიტომ, მოსალოდნელი და ლოგიკურიც იქნებოდა, ზედა ვარძიის ეკლესიის გარე აბრისისათვის (სამი გრძივი ნაწილის შესაფერისად) ცენტრალურ ნაწილში მაღალი ორქანობიანი სახურავი გვქონოდა, მის ორივე მხარეს კი ცალქანობიანი სახურავით გადახურული უფრო დაბალი მონაკვეთები, ისე როგორც გვაქვს ადრეულ თუ შემდეგი დროის სამწევროვან ძეგლებში, იქნება ეს სამნავიანი ბაზილიკა, სამეკლესიანი თუ სხვა... (ახმეტის ღვთაება, ბაიხო, ქოჩალო). ისეთ პატარა ძეგლშიც კი, როგორიც არის ოლთისის დარბაზული ეკლესია, შიგა განწევრება სათანადო გამოხატულებას პოულობს გარე მასების მოხაზულობაში. ეს ტრადიციული წესი, ბუნებრივია, ზედა ვარძიის ხუროთმოძღვრისათვისაც უცხო არ იქნებოდა. მაგრამ, ჩანს, მას არ ავიწყდება ასევე ძველთაგანვე ცნობილი არანაკლებ მნიშვნელოვანი ტრადიციაც — ადგილმდებარეობასთან შეგუების, გარემოსათვის ანგარიშის გაწევის ტრადიცია.

ზედა ვარძიის ეკლესია, როგორც ვთქვით, აგებულია სოფლის თავში, ორი მცირე ხევით (ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან) და დასავლეთიდან კლდიანი ციცაბო ფერდობით შეზღუდულ პატარა მოსწორებულ მოედანზე (სურ. 1). მთის ფერდობი, ეკლესიის ფარგლებში ძლიერ დაშლილია. სხვადასხვა ზომისა და მიმართულების ტიტეული კლდის ლოდების ჩრდილ-ნათელი მოუსვენარ ფონს უქმნის ნაგებობას. შენობის კონტურის დანაწევრების შემთხვევაში ასეთ ფონზე ნაგებობის აღქმა ძნელი იქნებოდა. სწორედ ამიტომ, ხუროთმოძღვარმა, განზრახ თავი აარიდა ლოგიკურად მოსალოდნელ ფორმას და, მის ნაცვლად, უფრო ლაკონურ გეომეტრიულ ხაზებს მიმართა. მან, კლდის მასივთან ახლო მდგომი, მარტივ ხაზებში მოქცეული ნაგებობის ფასადთა სიბრტყეები კლდის მრავალი მიმართულებით დაღარულ ზედაპირს დაუპირისპირა. ამასთანავე, მაღალი გვერდითი ნავების წყალობით, შესაძლებელი გახადა ორფერდა სახურავის ქვეშ, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხარეს მოქცეული სიცარიელეები, შენობის მთელ სიგრძეზეა, სამალაოად გამოყენებულიყო (სურ. 8). როგორ ხორციელდებოდა შიგ შესვლა—დღეისათვის გარკვეული არ არის, კონქის დაბალი შუბლი და ორფერდა სახურავი ერთგვარად ნიღბავდა სამალავს.

ფასადების განხილვის დროს ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ შენობის მხატვრული სახე სწორედ იმ პერიოდს ეკუთვნის, როდესაც ხუროთმოძღვრებაში „მხატვრული შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით“ შენობის შემკობა როგორც შიგნიდან, ისევე გარედან აუცილებლობად იქცა. ჯერ კიდევ ძალაშია ინტერიერის პლასტიკური დამუშავება, რომელიც მოკლე ხანში მთლიანად კედლის მხატვრობას უთმობს ადგილს. ამგვარად, ვარძიის ხუროთმოძღვარი, შიდა გაფორმებასთან ერთად, დიდ ყურადღებას აქცევს შენობის გარეგან დეკორაციულ მორთულობასაც, რასაც დიდი ტაქტითა და თავშეკავებით ასრულებს. მცხეთის ჯვრიდან მოყოლებული, აღმოსავლეთი და სამხრეთი ფასადების შემკობის ტენდენცია სხვა ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლებისათვის, ძირითადად, ძალაში რჩება. მით უფრო ძალაში რჩება ზედა ვარძიისათვის, სადაც ჩრდილო ფასადი თვალთახედვის არეში ცერად ხვდება, დასავლეთის კი კლდის მასივთან ისე ახლოსაა, რომ არსაიდან აღიქმება. დასავლეთი და ჩრდილო-და-

საკლეთი მხარე უზარმაზარ ლოდებს ჩაუხერგავთ. რადგან ქვის ცვენა შეიძლება გამეორებულიყო, ხიფათის თავიდან ასაცდენად იძულებული გახდნენ გადაეკეტათ დასავლეთი მხარე. შეიძლება ამ მიზნითაც მიუშენეს ეკლესიის დასავლეთ ფასადს სათავსი-სადგომი. ამის შემდეგ ეკლესიის დასავლეთი კარი მხოლოდ დასავლეთ მინაშენს ემსახურება.

აღმოსავლეთი ფასადი ჩვეულებრივი, დარბაზული ეკლესიის ფასადისთვის დამახასიათებელ, ფრონტონით დამთავრებულ სწორკუთხედს წარმოადგენს (სურ. 7, ტაბ. 21), ოდნავ განიერია, მაგრამ მაღალი საყრდენი კედლის წყალობით საერთო პროპორცია იცვლება და საკმაოდ მოხდენილია. ფასადის მჭიდროდ მორგებულ, სუფთად თლილი კვადრებით შექმნილ ზედაპირს სარკმელთა ჩუქურთმიანი საპირეები ამკობენ. მოპირკეთების ქვის ფერის მკრთალი ტონების ცვლა, ჩუქურთმის ხვეულებთან ერთად, ფასადს ცხოველხატულობას მატებს. დამაგვირგვინებელი ლავგარდანის ერთი ფრაგმენტიღაა გადარჩენილი. იგი კედლისკენ დახრილ სწორხაზოვან სიბრტყეს წარმოადგენს, რომელიც ზემოდან თაროთი და ქვემოდან ნახევარწრიული სადა ლილვით არის შემოფარგლული. მისი დახრილი სიბრტყე კი ორნამენტითაა დაფარული. ლავგარდანის ზომები და მისთვის შერჩეული ჩუქურთმა[16] ადვილი აღსაქმელია მაყურებლისათვის. ასეთი, სწორხაზოვნად დახრილ-სიბრტყიანი ლავგარდანი გვხვდება სხვადასხვა ვარიანტებით ადრეულ ძეგლებზე (ქვ. ბოლნისი, რკონი, თელოვანი), X ს. მეორე ნახევრისა და XI ს. პირველი ნახევრის ძეგლებზეც (ვალე, კუმურდო, სათხე, ხცისი და სხვა).

სარკმლების განლაგება უტილიტარულ მოთხოვნილებას ემსახურება. აღმოსავლეთით ოთხი სარკმელია გაჭრილი, დასავლეთით — ორი. აღმოსავლეთის სამი სარკმელი (კონქის სარკმლის გარდა) შემკულია, დასავლეთის სარკმლები სამკაულს გარეშეა დატოვებული.

აღმოსავლეთის ფასადის ცენტრში მოთავსებული საკურთხეველის ვიწრო, მაღალი სარკმელი სწორკუთხა ორნამენტულ ჩარჩოშია მოქცეული (სურ. 7, ტაბ. 3, 22). მის ჩრდილოეთით მოთავსებულია სამკვეთლოს მცირე სარკმელი სწორკუთხოვანი ვიწრო არშიით და სამხრეთით — მრგვალი სარკმელი შესაბამისი წრიულად შეკრული ჩუქურთმით[17]. მეორე მრგვალი სარკმელი, რომელიც ცენტრალური სარკმლის ზევითაა მოთავსებული, სრულიად უდეკოროდ არის დატოვებული. შთაბეჭდილება იქმნება, რომ მისი ღიობის დიამეტრი შემდეგში გაუდიდებიათ გარედან. შემოწმება ვერ მოხერხდა. სარკმლისა და ნაგებობის თანადროულობა ეჭვს გარეშეა, რაც შენობის შიგნიდან (კონქში) სარკმლის შესრულებით დასტურდება (სურ. 5, ტაბ. 10). ქართულ ძეგლებში ხშირია, როდესაც შემკული სარკმლის მახლობლად მცირე სარკმელები სამკაულის გარეშეა დატოვებული.

უნდა აღინიშნოს, რომ X საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც ქართულმა ხუროთმოძღვრებამ აღორძინება დაიწყო, სარკმლის შემკობისას ზოგ ძეგლზე გვხვდება როგორც თარაზულგადანაკეცებიანი თავსართები, ისე მოჩარჩოებული და შედგენილი რთული კომპოზიციებიც, მაგალითად, სარკმლის

---

[16] X საუკ. მეორე ნახევარში იწყება „დამაგვირგვინებელი ლავგარდანის ორნამენტით შემკობა, თანაც ორნამენტის სახე თითოეულ ფასადზე... იცვლება". რ. შ მ ერ ლ ი ნ გ ი, ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, თბილისი, 1954 გვ. 8.

[17] სარკმლის მოჩარჩოება ჩუქურთმიანი ზოლებით ასევე X ს. მეორე ნახევრიდან გვაქვს. რ. შ მ ერ ლ ი ნ გ ი, ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, გვ. 8.



სურ. 30. ორთაღედები და სამთაღედები.

ჩარჩოს ზემოდან დამატებული თარზულგადანაკეცებიანი სათაურით. ფართო, ოთხკუთხამოჩუქურთმებული საპირეები X საუკუნის მეორე ნახევარზე უფრო ადრე არ გვხვდება[18], უფრო კი X—XI საუკუნეთა მიჯნიდან იწყებს საყოველთაოდ გავრცელებას[19].

აღმოსავლეთის სარკმელი დიდი ზომებითა და სამკაულით ხაზს უსვამს თავის ცენტრალურობას და ფასადის მთავარ შემამკობელ ელემენტად არის ქცეული. მის გვერდით მცირე სარკმლები, როგორც დამატებითი აქცენტები, მიუხედავად არასიმეტრიული განლაგებისა და სხვადასხვაგვარობისა, ვერ არღვევენ წონასწორობას, რომელიც მიღწეულია ცენტრალური სარკმლითა და დამაგვირგვინებელი ლავგარდანით. ამგვარად, როგორც ვხედავთ, აღმოსავლეთის ფასადის სამკაული თავშეკავებულია. როგორც ყოველთის, ჩუქურთმის ზომის შერჩევის დროსაც ანგარიში ეწევა მის ადგილს და მისი აღქმის შესაძლებლობას. სამხრეთი ფასადი წარმოადგენს სამთაღედით შემკულ სწორკუთხედს (სურ. 10). ხუროთმოძღვარს კომპოზიციურ გადაწყვეტაში ამ მხრივაც ახალი არაფერი შეუტანია. ფასადის თაღიანი შესასვლელები ძველთაგანვეა ცნობილი. იგი ჯერ კიდევ ბოლნისის სიონში გვხვდება და, აქედან მოყოლებული, ფართო გავრცელებას პოულობს მომდევნო საუკუნეებში აგებულ საკულტო შენობებში, ძირითადად, ორთაღედის ან სამთაღედის სახით. უფრო ხშირად გვხვდება ორთაღედი: ოლთისი, თეთრი წყაროო, ახმეტის ღვთაება, გიორგი წმინდა, ხანდო, ტამალა, აზავრეთი, სარო, ერედვი (წმ. გიორგი და ბერის საყდარი), ხეითი, საბაწმინდა, ნიაბი და სხვა მრავალი. შედარებით ნაკლებად გვხვდება სამთაღიანი გადაწყვეტა: ქვემო ბოლნისი, ზეგანი, ქოჩალო, გარბანი, ბურნაშეთი, ტაბაკინი და სხვა... კომპოზიციის ერთგვაროვნების მიუხედავად, ყოველ ძეგლში მას თავისებურება ახასიათებს. დროთა განმავლობაში იცვლება სვეტებს შორის მანძილი (მალი), თაღის სახეობა, სვეტის და ღიობის პროპორცია, სამკაულადი. თაღები ადრეულ ძეგლებში ნალისებურია, ერთსაფეხურიანი. ნალისებურ თაღს ნახევარწრიული თაღი ცვლის და შემდეგ მეორე საფეხურიც ემატება. სვეტის ღეროს პროპორციაც იცვლება, თანდათან მოხდენილი და ტანკენარი ხდება. იცვლება სვეტისთავების და ბაზების ფორმა და, ამავე დროს, სვეტისთავიც და ბაზაც თავისი დროის დამახასიათებელი სამკაულით იმოსება. ზოგიერთ ძეგლში თაღის საფეხურის გარე ვერტიკალური სიბრტყე, რომელიც ჩვეულებრივ სამკაულს მოკლებულია, სადაა, ღილების მწკრივით იმკობა (სარო, ბერის საყდარი), ან მთლიანად ჩუქურთმიანი ზოლით იფარება (ხეითი—საბა-წმინდა; დოდოთი, აჩაბეთი, ტიმოთესუბანი და სხვა). სამთაღედს იგივე ცვლილებები ახასიათებს, რაც ორთაღედს. სამწუხაროდ, ორთაღედებმა და სამთაღედებმაც ძლიერ დაზიანებული სახით მოაღწიეს ჩვენამდე და მომეტებულ შემთხვევაში აღდგენილი ნახაზით ვსარგებლობთ.

ჩვენ არ ვისახავთ მიზნად ამ ძეგლთა სვეტების, მათი სვეტისთავებისა და

---

[18] რ. მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი, „ბერის საყდარი", ქართული ხელოვნება, 7, 1971.

[19] P. Ш м̆е р л и н г, Древний Цвимоетский храм близ сел. Хшиси, ქართული ხელოვნება, 4, 1955, стр. 161. «Получивший в XI веке повсеместное признание и ставший основным в произведениях грузинского зодчества прием подчеркивания светового проема окна при помощы его обрамления орнаментированным наличником входит в обиход уже в X веке не вытесняя, впрочем, окна лишенного обрамления».

ლ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი, რატ ერისთავურისთავის ნაგებობა თრიალეთის ახალქალაქში, ქართული ხელოვნება, 7, 1971. ძეგლი დათარიღებულია X—XI სს. მიჯნით. აღმოსავლეთ ფასადის სწორკუთხოვანი სარკმელი, სურ. 2, ტაბ. 40—1.

ბაზების პროპორციათა დაწვრილებითს განხილვა-შედარებას, მათი სამკაულადის გარჩევას და დროთა განმავლობაში ცვლილებების დადგენას. ჩვენ მიერ მოყვანილი მასალა ამისათვის საკმარისიც არ არის. ეს თავისთავად მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხი, ცხადია, ცალკე დამუშავებას მოითხოვს. დავკმაყოფილდებით მხოლოდ ჩამოთვლით და ზოგი მათგანის სქემატური ამონახაზის მოყვანით, მათი საერთო პროპორციების წინასწარი შედარებით (სურ. 30). შევჩერდებით სვეტის ღეროს სიგანის (დიამეტრის) მთელ სიმაღლესთან (სვეტისთავის და ბაზის ჩათვლით) შეფარდებასა და ღიობის სიგანის (მალის), ღიობის მთელ სიმაღლესთან შეფარდებაზე. ასეთი შედარება ჩვენი მიზნისათვის საკმარისად მიგვაჩნია. ეს შეფარდებანი გვიჩვენებენ (იხ. ცხრილი 2 და სურ. 30), რომ პროპორცია დროთა განმავლობაში იცვლებოდა, ასე თუ ისე ყოველი დროის მონაკვეთისთვის მიღებულ სამშენებლო თუ ხუროთმოძღვრულ ნორმებს ექვემდებარებოდა. ამავე დროს, ძეგლის აბსოლუტურ ზომებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თაღედის ზომების ცვლილების დროს მისი პროპორციები უცვლელი რჩებოდა.

ცხრილი 2

ძეგლის სახელწოდება	ღიობის სიგანის და სიმაღლის შეფარდება	სვეტის სიგანის (d) სიმაღლესთან შეფარდება	რაიონი
ოლთისი	1 : 1.6	1 : 2,9—1 : 3	წალკის
შალოშეთი	1 : 1.65—1 : 1,7	1 : 2,3—1 : 2,35	ასპინძის
ტამალა	1 : 1,4	1 : 2,3	ასპინძის
აზავრეთი	1 : 1.65	1 : 2.3	ახალქალაქის
ბურნაშეთი	1 : 1.6	1 : 2.5	ახალქალაქის
სარო	1 : 1.5—1 : 1,6	1 : 2.8	ასპინძის
ტაბაკინი	1 : 1.6	1 : 3.0	ზესტაფონის
ნიაბი	1 : 2.3	1 : 3.6	კასპის
ხეითი-საბაშმინდა	1 : 2.3	1 : 3.5	ცხინვალის
ზედა ეარძია	1 : 2	1 : 4	ასპინძის

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს[20], თაღედის მალის სიგანის და სიმაღლის შეფარდება VI ს-დან X ს. მეორე ნახევრამდე 1,6—1,7-ის ფარგლებში მერყეობს, სვეტის ღეროს სიგანის (ან დიამეტრის)—მის სიმაღლესთან 2,3—3-ის ფარგლებში. უფრო გვიან, X ს. მეორე ნახევრისა და XI ს. დასაწყისის ძეგლებში ეს შეფარდებები ღიობისათვის 2—2,3-ს უდრის, სვეტისათვის 3,5-ს — 4-ს. რასაკვირველია, უნდა გავითვალისწინოთ სვეტის ღეროს სხვადასხვაგვარობა, ბაზის და კაპიტელების ზომები— სახეობა და სამკაული. მასალის უფრო დიდი რაოდენობით შეგროვება და დაწვრილებითი შესწავლა უფრო მეტად დააზუსტებს და ვფიქრობთ, დაადასტურებს ჩვენს ვარაუდს. მასალის ფართო განხილვა კი საშუალებას მისცემს მკვლევარს, სხვა ძეგლთა შესწავლისას, ღიობის და სვეტის პროპორციებიც გაითვალისწინოს. რასაკვირველია, გამონაკლისიც ცოტა არ იქნება, როგორც, მაგალითად, ჩვენს შემთხვევაში ტამალის

[20] ცხრილში მოცემული შეფარდების ფარგლებში რჩება — ზეგანის ყველაწმინდა გარბანი, ერედვი.

ღიობის შეფარდებაა. ეს შეიძლება ოსტატის პირად გემოვნებას ან სხვა რაიმე მიზეზს დაუკავშირდეს.

დავუბრუნდეთ ზედა ვარძიის სამხრეთ ფასადს. როგორც დანარჩენნი, სამხრეთის ფასადიც კარგად თლილი ქვითაა მოპირკეთებული. მოპირკეთება მოპირისფერო, ოდნავ მოყავისფრო ტონებითაა შეხამებული. ფასადის სწორკუთხედი სამი თაღით ყოფილა ხაზგასმული და მოჩუქურთმებული ლავგარდანით გვირგვინდებოდა. თაღედის სვეტის სიმრგვალე, მისი ბაზის და სვეტისთავის მარტივი ფორმა მკაფიო ჩუქურთმით, თაღედის მოხდენილი პროპორციები, ღიობებს შორის გამომზირალი სამხრეთ შესასვლელის მოჩუქურთმებული ჩარჩო, მოპირკეთების თბილ ფერებთან ერთობლიობაში, სასიამოვნოს ხდის სამხრეთ ფასადს.

სამხრეთ ფასადზე ორთაღედი იყო თუ სამთაღედი, ეს საკითხი დასაზუსტებელი გახდა. სამხრეთ სტოას ჩრდილო კედელზე ორი თარხანია (სურ. 31). პირველი მათგანი კარის ზემოთაა, მის აღმოსავლეთით 165 სანტიმეტრის დაშორებით კი იმავე დონეზე მეორე თარხანია მოთავსებული. პირველის შესაბამისი თარხანი მის პირდაპირ მდგარი სვეტის ზემოთაა ჩატანებული, (სურ. 5, ტაბ. 2—3). მეორე თარხნის მოპირდაპირე კედელი დანგრეულია და მიწურის



სურ. 31. სიგრძივი განაკვეთი სამხრეთ სტოაზე.

კედელია მის ადგილზე აშენებული. იდგა თუ არა მეორე სვეტი და იყო თუ არა მის ზემოთ თარხანი — შემოწმება არ ხერხდებოდა. 1954 წ. ნაპოვნი კაპიტელის ზომები მიუდგა ძეგლზე არსებულ პირველი სვეტის ზომებს. 1956 წელს ადგილზე მისმა შესწავლამ, სვეტის გასწვრივ ხარისხის გასინჯვამ, გაწ-

მენდის შემდეგ, დაგვარწმუნა, რომ აქ მეორე სვეტის ბაზა მდგარა (აქ, ისევე როგორც პირველი სვეტის ქვეშ, ხარისხი 2 სანტიმეტრით არის ჩაჭრილი, მეორე სვეტის ბაზის დასადგმელად). ამ სვეტის ზემოთ იქნებოდა მოთავსებული მეორე თარხნის შესატყვისი თარხანი (კრონშტეინი). ასე დაზუსტდა, რომ სამხრეთი ფასადი სამთაღედით ყოფილა შემკული. დასავლეთისა და ჩრდილოეთის ფასადები, მისასვლელებიდან თვალთახედვის არეში არ ხვდებიან. მოპირკეთება ისეთივე გულმოდგინებით არის შესრულებული, როგორც დანარჩენი ფასადების, მაგრამ სამკაულს მოკლებულია. დასავლეთის ფასადი ამჟამად ნახევარზე მეტად (ქვედა ნაწილი სარკმლის ქვედა დონემდე) არ ჩანს[21]. მას დასავლეთის მინაშენი ფარავს. მინაშენის საბურავი დასავლეთით კლდის მასივს ერწყმის. დასავლეთის მინაშენიც რომ არ ყოფილიყო, ფასადი ისე ახლოა კლდესთან, რომ მისი მთლიანად აღქმა მაინც შეუძლებელი იქნებოდა. ლავგარდანის ქვები არ არის გადარჩენილი 1938 წ. გადაღებულ ფოტოანაბეჭდზე. ჩუქურთმის უმნიშვნელო ნაშთი ჩანს, ასე რომ დასავლეთის ლავგარდანიც მოჩუქურთმებული ყოფილა. ეს ფრაგმენტი ძეგლის აზომვისას დაკარგული იყო, ძეგლის აღდგენისას კი (1975—1978 წწ.) ნაპოვნია კარნიზის ერთი ფრაგმენტი ზენარიანი ჩუქურთმით. ალბათ ოთხივე ფასადის კარნიზი სხვადასხვა სახის ორნამენტით იყო შემკული, როგორც გვაქვს ამ დროის სხვა ძეგლებში (კუმურდო, სათხე). მოპირკეთების ქვებს მოყავისფრო ფერი დასდებია.

ჩრდილოეთის ფასადის მოპირკეთების ქვები მომწვანო ფერისაა. ლავგარდანის ქვები არ გადარჩენილა. ამჟამად ეკლესიასთან მისასვლელი ბილიკი ჩრდილო-აღმოსავლეთით უვლის შენობას და სარესტავრაციო სამუშაოების დროს აღმოჩენილი და აღდგენილი კიბის საფეხურებით ეკლესიის სამხრეთ მოედანს უკავშირდება.

როგორც დაინახეთ, ხუროთმოძღვარი თავისი დროის მოთხოვნილებასაც უწევს ანგარიშს და უფრო ადრეულის შენარუჩნებასაც ახერხებს, თუ ეს რაციონალურია, ამასთანავე ფაქიზად ეკიდება ახალს, თავშეკავებულია, გადაჭარბებას ერიდება. გადახურვისას იგი არქაულ ორქანობიან სახურავს მიმართავს, მაგრამ ამით სამალავის პრობლემასაც წყვეტს. ადგილმდებარეობასთან შეგუებასაც აღწევს და გადახურვის კონსტრუქციასაც ამარტივებს. გეგმაში ორი თავისუფლად მდგომი ბოძის გამოყოფით (მთავარსა და ჩრდილო ნავს შორის) ხვეწს გეგმას[22] და ბოძთა საფეხურების მეშვეობით (ბოძის შუა საფეხურისათვის პილასტრის როლის დაკისრებით, მაღალმხატვრულობას ანიჭებს ინტერიერს, საერთო პროპორციების აზიდულების შეგრძნებას ბადებს მნახველში. თაღების ერთსაფეხურიანობა სამხრეთ კედელზე, ორსაფეხურიანობა ბოძებზე გადასულ გრძივ თაღებზე, მათი მოხდენილი შესრულება, ფერადოვნება, ბოძების, პილასტრების სვეტისთავების, იმპოსტების თარხნების და სხვათა თავშეკავებული ხაზგასმა[23], საერთო მოპირკეთების მაღალ დონესთან ერთად, გვაფიქრებინებს, რომ ძეგლი თავიდან კედლის მხატვრობისთვის არ უნდა

---

[21] სამხრეთ-დასავლეთის კუთხეზე მიშენებული კედელი 1953 წ. ჩამოინგრა და ფასადის პატარა მონაკვეთი, სამხრეთი კუთხიდან ვიდრე დასავლეთ მინაშენის კედლამდე, გაიხსნა.

[22] ასეთი ორი თავისუფლად მდგომი ბოძის გამოყოფა ზედა ვარძიაში, ერთგვარად უპასუხებს სამნავიან ბაზილიკებში ორი წყვილი სვეტის და თითქმის გეგმის კვადრატის მქონე ახალი, თავისებური, ეროვნული ტიპის ნაგებობის ჩამოყალიბებას უგუმბათო შენობებისათვის.

[23] „X საუკუნის ხუროთმოძღვარი არა მარტო აფართოებს შენობის ფასადზე ორნამენტული დეკორის გამოყენების სფეროს, მას ორნამენტი ხალისით შეაქვს ინტერიერშიც". რ. შ მ ერ ლ ი ნ გ ი, „ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, თბილისი, 1954, გვ. 8.

ყოფილიყო განკუთვნილი. ფასადთა სიბრტყეების შემკობა მხოლოდ კარსარკმელთა მოჩარჩოებით და ლავგარდანის ორნამენტული ზოლით, ასევე სამხრეთ ფასადზე ძველთაგანვე ცნობილი სამთაღედის გამოყენება (მაგრამ ორსაფეხურიანი თაღით, სვეტის ახალი პროპორციის გამოყენებით), სვეტისთავის და ბაზის შემკობა მისი დროის სამკაულით, ყველა ზემოჩამოთვლილ ნიშანთან ერთად, გვიჩვენებს, რომ საქმე გვაქვს ძველი ფორმებისა და საშუალო საუკუნეების (X ს. II ნახევრის და XI ს. დასაწყისის) ახალ მოთხოვნილებათა შერწყმა-შეხამებასთან, ნაგებობის გარეგნობისადმი ახალ მხატვრულ მიდგომასთან, რომელიც შემდეგში (XI ს.) ფასადთა სამკაულის გართულება-გაფურჩქვნით მთავრდება. ეს შეხამება დიდი ტაქტით და ცოდნით არის მიღწეული. მცირე ხარვეზები, რომლებიც სდევენ ზედა ვარძიის ეკლესიას, მაგალითად: აღმოსავლეთ ფასადის ზედა მრგვალი სარკმლის უსამკაულოდ დატოვება, სამხრეთი სვეტისთავის ჩუქურთმის მდარე ხარისხი (აჩქარების ან შემსრულებლის გამოუცდელობის მიზეზით) არ არღვევს იმ მთლიანობას, რომელსაც აღწევს ძეგლი, რომლის მოხდენილობა და სილაზათე ასე სასიამოვნოს ხდის ნაგებობას და აღტაცებაში მოჰყავს მნახველი.

3. ზედა ვარძიის სამკაულები და მისი განაწილება

ზედა ვარძიის ეკლესია საკმაოდ არის დაზიანებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი სამკაულადი ძირითადად გადარჩენილა, რაც მხატვრული თვალსაზრისით ძეგლის შეფასების საშუალებას იძლევა და გვეხმარება თარიღის საზღვრების დადგენაში.

აღმოსავლეთის ფასადზე არის სამი მოჩუქურთმებული სარკმელი და კარნიზის ერთი ფრაგმენტი, სამხრეთის ფასადზე — თაღედის ერთი სვეტი, რომლის ბაზაც და კაპიტელიც შემკულია. ეკლესიის მახლობლად ნაპოვნია კიდევ ერთი ორნამენტირებული კაპიტელი. ძეგლის აზომვის დროს გადარჩენილი იყო სამხრეთი ფასადის ლავგარდანის ფრაგმენტი, რომელიც სამწუხაროდ სამოციან წლებში დაკარგულა. სამხრეთ სტოაში გვაქვს მდიდრულად გაფორმებული შესასვლელი, სამიდან ორი შემკული თარხანი და სტოას აბსიდის ჩრდილო კუთხის იმპოსტი. მთავარ ნავში შემკულია აბსიდის კუთხის იმპოსტები, პილასტრები, კაპიტელები, ბოძების სვეტისთავები და დასავლეთი კედლის საბჯენი თაღის თარხანი.

ძეგლის დასავლეთისა და ჩრდილოეთის ფასადების სიბრტყეები მოკლებულია ყოველგვარ სამკაულს, ზოგი ნიშნის მიხედვით ამ ფასადებსაც შემკული ლავგარდანი უნდა ჰქონოდა.

სამხრეთი და აღმოსავლეთი ფასადების შესამკობად გამოყენებულ ორნამენტთა სახეებისათვის პარალელებს ბევრ სხვა ქართულ ტაძარში ვხედავთ. ზოგ მათგანს ძალიან შორეულ წარსულამდე მივყავართ, ზოგის გავრცელების საზღვარი იფარგლება დროის გარკვეული მონაკვეთით, ზოგის შესატყვისი ჯერჯერობით ვერ მოვძებნეთ და „უნიკალურად“ გამოიყურება. ჩუქურთმათა შორის მოიპოვება როგორც გეომეტრიული წნული, ისევე მცენარეული სტილიზებული მოტივებიც. მცენარეული, მოქნილი ჩუქურთმა იმდენად ინტენსიურია, რომ ხშირად ავსებს ჩუქურთმისათვის განკუთვნილ მთელ არეს და მიწყარს ადგილს თითქმის არ უტოვებს. მასთან შედარებით გეომეტრიული წნული მშვლეა. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ გამოყენებული მცენარეული

მოტივები ჯერ კიდევ არ ექცევა ორნამენტის ფარგლებში, ჯერ კიდევ წნულის დაკანონებულ ნორმებს არ ექვემდებარება და ის უშუალობა, სიახლე და სიცოცხლისუნარიანობა, რომელიც მათ ახასიათებთ, შემოქმედის მაღალნიჭიერებაზე მეტყველებს. ეს ხასიათი ამ მოტივებს საშუალო საუკუნეებში ხმარებულ მცენარეულ მოტივთა შორის ადრეულ ჩუქურთმათა რიგში აყენებს. არანაკლები გულისყურითაა შესრულებული გეომეტრიული წნული, მაგრამ მცენარეულ ჩუქურთმასთან შედარებით, მოკლებულია უშუალობას და უფრო მშრალია. ჩვენ ძირითადად შევეხებით ძეგლის სამკაულში ხმარებულ და უფრო მეტად დამახასიათებელ ორნამენტულ მოტივებს, რომელნიც დაგვეხმარებიან ძეგლის თარიღის დადგენაში.

ზედა ვარძიის აღმოსავლეთი ფასადის ცენტრალური სარკმლის სწორკუთხოვანი საპირე შედგება ორი სხვადასხვა მოტივის ერთიმეორისაგან ნახევარწრიული სადა ლილვით განცალკევებული ორნამენტული ზოლისაგან. გარს კი სწორკუთხედი წყვილი გრეხილი ლილვითაა შემოფარგლული. პირველი შიდა ზოლი ბრტყელია, მეორე — გარე — კი მცირედ არის ამოზნექილი (ტაბ. 3, 21, 22). გრეხილის ყველაზე ამოზნექილ ადგილს ძალიან წვრილი ღარი მისდევს[24]. შიდა ზოლის ჩუქურთმის მოტივი სოლისებრი ფოთლის და კონცენტრიული წრეების ხაზებით შეერთებულ მწკრივს წარმოადგენს. გარე ზოლი კი წრერომბის ხლართია. შიდა ზოლის ჩუქურთმის სახე პირველად ქვემო ბოლნისის კარნიზზე გვხვდება. შემდეგ თავს იჩენს ტბეთში, იშხანში, ეხვევში, მანგლისში, კაცხში, სავანესა და სხვა ძეგლებშიც, მაგრამ ჯერჯერობით, როგორც ცნობილია, XI საუკუნის პირველი ნახევრის ფარგლებს არ სცილდება[25]. ვ. ბერიძე თავისი დაკვირვების შედეგად ასკვნის, რომ ამ ჩუქურთმას გარკვეული დანიშნულება ჰქონია: „იგი განკუთვნილი იყო დამაგვირგვინებელი არშიების — კარნიზის და ფანჯრის სათაურთა და აგრეთვე კვარცხლბეკების და იმპოსტე-



სურ. 32. სოლისებრი ფოთლის ჩუქურთმის ნიმუშები.

[24] ასეთივე ხასიათის გრეხილია გამოყენებული აღმოსავლეთ ფასადის ჩრდილო სარკმლის ჩარჩოში და სამხრეთ ფასადის სვეტის კაპიტელის ქვეშ. ასეთივე გრეხილი აქეს მეორე აღმოჩენილ სვეტისთავს.

[25] „დროის მიხედვით ვიშრო ფარგლებშია მოქცეული: XI საუკუნის ნახევრის შემდეგ აღარ იხმარება“, ვ. ბ ე რ ი ძ ე, ე ხ ვ ე ვ ი, ქართული ხელოვნება, I, თბილისი, 1942, გვ. 45.

ბის შესამკობად"[26]. ჩვენს შემთხვევაში ეს მოტივი სარკმლის სამკაულშია გამოყენებული. შედარებისას დავინახავთ, რომ მისი სახე ყველა ძეგლში ერთნაირი არ არის. ქვემო ბოლნისში მას წმინდა გეომეტრიული სახე აქვს (სურ. 32) ქვემო ბოლნისის გარდა, იგი სხვა ადრეულ ძეგლებზე, ჯერჯერობით, დაფიქსირებული არ არის. შემდგომ (X—XI საუკუნეებში), წმინდა გეომეტრიული ჩუქურთმის სახით გვხვდება ტბეთში, იშხანში, ეხვევში, ნიქოზსა და სხვა ძეგლებში, ბოლოს თანდათან ელასტიკურ, სიცოცხლით სავსე სტილიზებულ ფოთლად იქცევა და თავისი დასრულებული, სავსებით განვითარებული სახით სავანის (1046 წ.) ტაძარში გვევლინება. მანგლისში, სამთავროში, სვეტიცხოველში, კაცხსა და სავანეში ჩუქურთმა წარმოადგენს გარკვეულად სტილიზებულ ფოთოლს, რომლის ტალღისებური მოქნილი კონტური კონტურსშიგნითა ხაზებითაა გაცოცხლებული, მაშინ როდესაც იშხანში, ეხვევში დოდოთში, საფარაში, ზედა თმოგვსა და ზედა ვარძიაშიც იგი მთლიანად გეომეტრიზებულია — წვეტიან სოლს მოგვაგონებს. გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, რომ „ამ ორნამენტის სახე განსაკუთრებით დამახასიათებელია და XI საუკუნის დასაწყისის შემდეგ აღარ არის ცნობილი"[27]. ნიკორწმინდაში (ჩრდილო ფასადი) ამ ჩუქურთმის ორივე სახეს — გეომეტრიზებულს და მცენარეულსაც — ერთ ლავგარდანზე, ერთიმეორის გაგრძელებაზე ვხედავთ. ამგვარად, სტილიზებული ფოთოლი XI საუკუნის მეორე ათეულში ჩნდება, ფეხს იკიდებს და სოლისებრ სახეს, შეიძლება ითქვას, ორნამენტული რეპერტუარიდან გამოდევნის კიდეც, თუმცა თვითონაც არ არის სიცოცხლისუნარიანი. ცნობილ ძეგლებში სოლისებრ ფოთოლს რამდენიმე ვარიანტით ვხვდებით: ერთია მოკლე სოლებით — დოდოთი, ეხვევი, ნიქოზი, მეორე — გრძელი სოლებით — იშხანი, საფარა, ზედა ვარძია, და მესამე — გრძელ სოლებს შორის შექმნილ სამკუთხედებში ჩასმული ყვავილებით — იშხანი, რუისი, ნიკორწმინდა. აღსანიშნავია, რომ ეს მოტივი ქართული ჭედური ხელოვნების ძეგლებშიც ასევე (მოკლე ან გრძელი სოლების სახით) გვხვდება—საღოლაშენის ჭედური ლორფინები, შემოქმედის ჭედური ლორფინები და რაპიდა, მოწამეთის ჭედური ლორფინები და სხვა... ჭედური ხელოვნების ძეგლებშიც ეს ჩუქურთმა გარკვეული დროის მონაკვეთს შეეფარდება, კერძოდ, X ს. დამლევს და XI ს. დასაწყისს.

ზედა ვარძიაში რელიეფი დაბალია (0,5 სმ), სხვა ამ სახის ორნამენტთან შედარებით უფრო დანაწევრებულია. კარგავს გეომეტრიული სოლის პირვანდელ სახეს. სოლს ბოლო (წვეტები) წაკვეთილი აქვს, არ ეტევა მისთვის განკუთვნილ სიგანეზე. ასევე წაკვეთილი სახით გვხვდებიან ზოგიერთ სხვა ძეგლზედაც, მაგალითად, ნიკორწმინდაში, საფარაში (წმ. სტეფანეს სამლოცველო), დიღომში (წმ. გიორგის ეკლესია). ზედა ვარძიაში ამ მოტივის გეომეტრიული გამოსახვა უფრო ადრეულ დროს უნდა მივაწეროთ ვიდრე სტილიზებული ფოთოლი ეუფლება მის სოლისებრ გამოსახულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ხუროთმოძღვარი, რომელსაც შესანიშნავად ეხერხება მათი ელასტიკური, ხორცშესხმული ხაზების გამოკვეთა, უსათუოდ სტილიზებული ფოთლის სახეს მიმართავდა[28]. გამოსახვა იმ დროს უნდა ეკუთვნოდეს, როდესაც სტილიზებული ფოთოლი, შესაძლებელია, უკვე ეუფლება მის სოლისებრ გამოსა-

---

[26] ვ. ბერიძე, ეხვევი, ქართული ხელოვნება, I, თბილისი, 1942, გვ. 111.

[27] გ. ჩუბინაშვილი, რუისის ტაძრის ისტორიისათვის, „ენიმკის მოამბე", გვ. 451.

[28] აბსიდის ჩრდილო იმპოსტი, აღმოსავლეთის ლავგარდანი, სამხრეთის კარი და თარხნები— მცენარეული მოტივითაა შემკული.

ხულებას, ეს უკანასკნელი (გეომეტრიული სახე) კი კნინდება, კარგავს თავის ბასიათს და მალე ქრება კიდეც. მართალია, ნიკორწმინდაში სტილიზებულ ფოთოლს მისი გეომეტრიული სახესხვაობის გვერდით ვხვდებით, მაგრამ შემდეგ, თუნდაც მცირე დროის მონაკვეთით დაცილებულ ძეგლებში გეომეტრიული სახე უკვე აღარ გვხვდება. მაშასადამე, ზედა ვარძიაშიც ამ მოტივის გამოყენება X ს. დასასრულზე, XI საუკუნის დასაწყისზე უნდა მიგვითითებდეს[29].

სარკმლის საპირის გარე ზოლი, როგორც აღინიშნა, წრე-რომბის ხლართია, რომელიც საშუალო საუკუნეებში წნულის ყველაზე უფრო მეტად გავრცელებულ სახეს წარმოადგენდა. ზედა ვარძიაში წრე-რომბის ხლართი, სარკმლის გარდა, სამხრეთ ფასადის სვეტის კაპიტელის სამკაულადაც არის გამოყენებული (ტაბ. 22, 28, 29, 30). ქართულ ძეგლებზე წრე-რომბის ხლართის სხვადასხვა ვარიანტს ვხვდებით X საუკუნიდან მოყოლებული XI—XII, XIII საუკუნეებში და უფრო გვიანაც. ეს ვარიანტები ერთიმეორისაგან მხოლოდ დეტალებით განირჩევიან. იმ სახეს, რომელიც უფრო „ნორმალურია" და რომლის ნიმუშს სავანე გვაძლევს, ვ. ბერიძემ მართებულად „კლასიკური" უწოდა. დანარჩენი ვარიანტები ამ სახის გამარტივებულ ან გართულებულ სახეს გვაძლევენ. ზედა ვარძიაში წრე-რომბის ხლართის „კლასიკური" სახის ორი გამარტივებული ვარიანტი გვაქვს — ერთ შემთხვევაში სარკმლის საპირეზე[30]. (ტაბ. 3,22) და მეორე შემთხვევაში — სვეტისთავის სამკაულში (ტაბ. 2—2,30). XII საუკუნიდან მოყოლებული, ძირითადად, ამ ორნამენტის გართულებულ ვარიანტებთან გვაქვს საქმე[31], თუმცა ამ ორნამენტის მარტივ სახეს მომდევნო დროის ზოგიერთ ძეგლზედაც ვხვდებით, მაგალითად, ზარზმის სამრეკლოს კარების სვეტისთავის ზოლი, ახტალა და ა. შ. ამ მოტივის ასე ფართო გავრცელების მიუხედავად, თუ ჩვენს შემთხვევაში ხმარებულ ორნამენტს სარკმლის სხვა ორნამენტთა ერთობლიობაში განვიხილავთ, სარკმლის კომპოზიციაც და მისი შემამკობელი ორნამენტიც X—XI საუკუნეთა მიჯნის ფარგლებში მოექცევა. სარკმლის შემკულობის შედარება XI საუკუნის I ნახევრის სხვა ძეგლებთან (სამთავრო, სვეტიცხოველი) გვიჩვენებს, რამდენად უფრო სადაა ზედა ვარძიის სარკმელი. მისი სისადავე და სიძუნწე, შეიძლება, ძეგლის აბსოლუტური ზომებითაც არის გაპირობებული[32] და მისი უფრო ადრე შესრულების მაჩვენებელი უნდა იყოს, იმ პერიოდის, როდესაც გარე სამკაული აუცილებლობად იქცა, მაგრამ ძველი სისადავის ტენდენცია კიდევ მოქმედებდა ოსტატის გემოვნებაზე.

მრგვალი სარკმლის ორნამენტული მოჩარჩოებაც X საუკუნის მეორე ნახევრიდან შემოდის და საყოველთაოდ ვრცელდება[33] (კუმურდო, პარხალი).

ე. წ. „კლაკნური" მოტივის[34] სხვადასხვა სახეობას მრავლად ვხვდებით

[29] ნიკორწმინდაში ლავგარდანის ერთ მონაკვეთზე ერთდროულად გვაქვს ამ ჩუქურთმის ორივე ვარიანტი.

[30] ვ. ბერიძის დაკვირვებით წრე-რომბის ხლართი „მცირე გამონაკლისის გარდა, კარ-ფანჯრების საპირეთათვისაა განკუთვნილი". სავანე, ქართული ხელოვნება, I, 1942, თბილისი, გვ. 115.

[31] „XII საუკუნიდან ამ მოტივის „შელამაზებისა" და გართულების სურვილი ჩნდება", იქვე. გვ. 116.

[32] თუმცა ისეთი მცირე მოცულობის ძეგლში, როგორიც სორბისია, ძალიან მდიდრულად გაფორმებული სარკმელები გვაქვს. ეკლესია 1152 წ. არის აგებული.

[33] რ. შმერლინგი, ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, 1954, გვ. 8.

[34] ტერმინი „კლაკნური" ხელოვნებაში ეწოდება სინუსოიდური სახის ზოლს, რომელიც შეესატყვისება არქიტექტურაში ხმარებულ ორნამენტულ ზოლს. ტერმინი „კლაკნური" მოგვაწოდა ირ. სონღულაშვილმა.

ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებში: ბოლნისის სიონში, ჯვარსა და წრომში, მანგლისსა და კუმურდოში, მცხეთის კათედრალსა და მრავალ სხვა ძეგლში; გვხვდება ჭედურ ხელოვნებაშიც. ფართოდაა გამოყენებული, აგრეთვე, კედლის მხატვრობაში — ორნამენტული ზოლების შემკობისას. ბოლნისის სიონიდან მოყოლებული „კლაკნური“ სახეცვლილებას განიცდის, თანდათან გართულებისაკენ ისწრაფვის. ღეროს მეტი მოქნილობა ეძლევა და მოხდენილი ფოთოლი კლაკნურის ღეროს უბეს მეტად ავსებს. იცვლება თვით ღეროც. სადა ღეროს მაგივრად ჩნდება ერთღარიანი, ორღარიანი „ლენტი“ და სხვა.

ზედა ვარძიაში სამხრეთ სტოას სვეტის ზემოთ მოთავსებულ თარხანზე კლაკნურის მცირე მონაკვეთია მოთავსებული (სურ. 33—1, ტაბ. 2—3). ღეროდ მარტივად ჩაჭრილი ერთი ხაზია ნახმარი. შუა ფოთლის ღერო გასქელებულია და ამგვარად ღეროს ერთგვარობა დარღვეულია. პირველი ორი ფოთოლი დამთავრებულია, კლაკნურის უბის წრესთან მიახლოებით კუმურდოს სამხრეთ სტოას სამკაულში გამოყენებულ კლაკნურს გვაგონებს. კუმურდოში მუხლებრივი კლაკნურის სამი ვარიანტი გვაქვს. მათი ხვია წრეს უახლოვდება,



სურ. 33. კლაკნური ჩუქურთმის ნიმუშები.

ფოთოლი უბეს ჩარჩომდე ავსებს და მიწარის დარჩენილ სამკუთხედებში დამატებითი სტილიზებული ფოთოლი ან ყურძნისმაგვარი მარცვლოვანი ნაყოფია ჩასმული. განსხვავება ამ ვარიანტთა შორის შემდეგია. ერთ შემთხვევაში, ყლორტი ფოთლის ძირიდან — დასაწყისიდან გამოდის (სურ. 33—3), მეორე შემთხვევაში — თანმიმდევრული შემობრუნებით ოსტატი ღეროს საპირეებას თვიდან იცილებს. შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ფოთლის ღერო, წინა ფოთლის ქვეშ არის დამალული (სურ. 33—4). მესამე შემთხვევაში კი — კლაკნურის ყოველი შემდეგი მუხლი, ღეროს გარდიგარდმო გადაჭერილი სამაჯურის ქვემოთა მხრიდან ამოდის (სურ. 33—5). ზედა ვარძიის თარხანზე

ხმოკვეთილი კლაკნურის ვარიანტი, თავისი დაუმთავრებლობის გამო, გარკვეულად ცდის ნიმუშს წაგავს. ოსტატმა სცადა გაეგო რა გამოვიდოდა მისი ჩანაფიქრის ქვაზე გადატანით. სუფთა კვეთის, კონტურის მოქნილობისა და ორი ფოთლის სრულყოფის მიუხედავად, მას ჯერ არა აქვს ჩუქურთმის ხასიათი. მასში ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ ღარიან ღეროს, რომელიც ახასიათებს კუმურდოს ჩუქურთმას და შესრულების მანერითაც განსხვავდება მისგან, თავისი უშუალობით უფრო ადრეული ძეგლების მსგავსია. თარხნის გვერდით სიბრტყეებზე ასეთივე ხასიათით შესრულებული მოხდენილი აქცენტებია მოცემული (ტაბ. 2—3).

აბსიდის ჩრდილო კუთხის იმპოსტის ორნამენტი (სურ. 33—2, ტაბ. 2—6, 12), შეიძლება ითქვას, ასევე კლაკნურის განვითარების ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს. მოქნილი ყლორტები კლაკნურის ამოზნექილ ადგილებზე ზემოდან და ქვემოდან, მარჯვნივ და მარცხნივ, გადაშლილი ფოთლით მთავრდება. ფოთლის ერთი ნახევარი ღეროს ქვემოთ (შიგა მხარეს) ეკცევა, მეორე კი გარეთაა გადაშლილი. ამის გამო კლაკნურის უბე ორი სხვადასხვა მიმართულების ფოთლით ივსება. გადაშლილი ფოთლის ცენტრიდან გამოსული ღერო, შემობრუნებისას, კვლავ ფოთლად გადაიშლება, ამგვარად ჩუქურთმის განმეორებას განაგრძობს და უწყვეტობის შთაბეჭდილებას ქმნის. ჩუქურთმის ღერო და ფოთლის ყოველი ძარღვი, მისი ყოველი მონაკვეთი მოხდენილად იხრება და იმპოსტისათვის განკუთვნილ არეს მთლიანად ავსებს. მიუხედავად იმისა, რომ ამოკვეთილობა არ არის ღრმა, იგი დიდი ოსტატობით არის შესრულებული. ამ სიღრმით შექმნილი ჩრდილი საკმარისად უსვამს ხაზს ჩუქურთმის ხორცშესხმულ ფოთოლს და ღეროს. ამ მოტივის უშუალო პარალელი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ღეროს ორღარიანობას, ფოთლის მეტ გაფურჩქნილობას და ფოთლის გაყოფის ადგილას დამატებით პაწაწინა ფოთლის ჩასმას[35], კუმურდოს ტაძრის სამხრეთ სტოას ფასადის ერთ-ერთი სართავი თაღის წყვილი ნახევარსვეტების სარყდენის (სურ. 33—3) მოკლე მონაკვეთზე და ყაურმის აღმოსავლეთ სარკმლის თავსართში გვაქვს. კუმურდოს ვარიანტში ღეროს ღარიანობა ორნამენტის ხასიათს ანიჭებს მას. შეიძლება სუბიექტური შთაბეჭდილებაა, მაგრამ ზედა ვარძიისა და კუმურდოს ამ ორი ორნამენტის შედარებისას შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზედა ვარძიაში მცენარეული ვარიანტი ჯერ კიდევ უშუალო, ცოცხალი მცენარის გამოხატულებაა, რომელსაც ორნამენტულობა გარკვეული ფარგლების და ქვაზე ნაკვეთობის შედეგად ენიჭება. კუმურდოში კი მას ოსტატი ორნამენტის სახეს აძლევს, რასაც ღეროს ღარიანობითა და ფოთლის მეტი სტილიზაციით აღწევს. კუმურდოში ფოთლები მეტად ხორციანია და ღეროსთან გაერთიანებული. „კლაკნურის" ღერძსაც თვითონ ფოთლები ქმნიან, მაშინ როდესაც ზედა ვარძიაში ვიწრო გლუვი ღეროა გამოყოფილი და ის იძლევა კლაკნურის მიმართულებას. ფოთოლი ღეროს გადაღუნვის ადგილებში იშლება. ზედა ვარძიაში ღეროს გლუვი ზოლის სახით მოცემაც გვიდასტურებს, რომ კუმურდოს ჩუქურთმა ზედა ვარძიის ჩუქურთმის შემდეგ და მისი გავლენით უნდა იყოს შესრულებული. კუმურდოს სამხრეთი სტოა XI საუკუნის მეორე მეოთხედშია მიშენებული[36]. „კლაკნური" ჩუქურთ-

---

[35] ზედა ვარძიაში ფოთოლი სამი და ოთხი ელემენტისაგან შედგება, კუმურდოში — ოთხი და ხუთი ელემენტისაგან და, ამასთანავე, ფოთლის გაყოფის ადგილზე, დამატებით, პაწაწინა ფოთოლია ჩასმული.

[36] «Во второй четверти XI века, западный рукав храма Кумурдо был обстроен с трех сторон притвором—обходной галереей с дополнительной абсидой. От него уцелели

მა, ჩვეულებრივ, მომაჩარჩოებელი ზოლების (კარ-სარკმელების საპირეების, თავსართების) შევსებისას გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს შემთხვევაში კლაკნური აბსიდის კუთხის იმპოსტის და თარხნის მოკლე მონაკვეთზე გვაქვს, ორივე შემთხვევაში ისეთი ოსტატობით არის შესრულებული, რომ სავსებით დასრულებულ და გამართულ სახეს გვაძლევს და ხელოვანის გემოვნების დახვეწილობასაც გვიდასტურებს.

ზედა ვარძიაში გამოყენებული რელიეფური ლენტი, რომლითაც მოწნულია ჩუქურთმათა უმეტესობა, ორგვარია — ორღარიანი და ცალღარიანი[37]. ცალღარიანი ლენტი, ძირითადად მცენარეული მოტივების შემცველ ჩუქურთმაშია ნახმარი[38]. ორღარიანი ლენტით კი გეომეტრიული ორნამენტია მოწნული. ჩუქურთმის ღეროდ სამი ვარიანტის ლენტის (სადა, ერთღარიანი, ორღარიანი) ერთდროულად ხმარება, ჩვენი აზრით, ძეგლის გარდამავალ (X—XI სს.) საფეხურზე მიგვითითებს.

ორღარიანი ლენტით არის მოწნული სამხრეთ ფასადის ლავგარდანის ჩუქურთმა. ეს ფართოდ გავრცელებული, პარალელურ ხაზებში გადასული მარყუჟებიანი წნულია (ტაბ. 2—5). ასეთი წნული, ძირითადად, ნაგებობის ლავგარდანის შესამკობად იხმარება. გავრცელების დიაპაზონი დიდია როგორც დროის მიხედვით, ისევე ძეგლთა სიმრავლითაც: დაწყებული კუმურდოდან (964 წ.) მანგლისსა და სხვა მრავალ მომდევნო ძეგლში.

ინტერიერში დასავლეთი ბოძის აღმოსავლეთი საფეხურის სვეტისთავი (ტაბ. 1—4, 18) ორღარიანი ლენტით შექმნილი ორნამენტის საინტერესო სახეს გვაძლევს. ორი ლენტი ერთმანეთს პარალელურად მისდევს. ყველა მათგანი უწყვეტ, ზემოთ და ქვემოთ ორიგინალურად გადაკვეთილ სამ მეოთხედ წრისმაგვარ ფიგურას შემოხაზავს მწკრივის სახით. გადაკვეთის ადგილებში ლენტი ერთიმეორეზე უნასკვოდ გადადის. უშუალო პარალელი ამ მოტივისათვის არ მოიძებნა. ასეთი წრისმაგვარი სახე ბაგრატის ტაძრის დასავლეთი კარიბჭის ფრაგმენტებში გვხვდება[39], იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელში ჩუქურთმა ცალპირია და გადაკვეთის ადგილები ნასკვებითაა განხორციელებული, რის გამოც ჩუქურთმის ხასიათი იცვლება და სულ სხვა ორნამენტს ვიღებთ, თუმცა საერთო იერი მაინც რჩება.

ასევე საინტერესო გადაწყვეტასთან გვაქვს საქმე მეორე (აღმოსავლეთ) ბოძის აღმოსავლეთი სვეტისთავის გაფორმებაში (ტაბ. 1—2). ჰორიზონტალური მიმართულების მარტივი წნულის ქვედა ლენტიდან გამოსული ღეროები მოქნილი, ზემოთ მარცხნივ შემობრუნებული ფოთლით მთავრდება. ფოთლიდან გამოსული ღერო კვლავ წნულს უერთდება (წნულის „ლენტი" ცალღარიანია). ეს ჩუქურთმაც ორიგინალურია. ისიც დამთავრებულ და სასიამოვნო სახეს ქმნის. მისი პარალელი ვერ მოვძებნეთ, თავისი გადაწყვეტითა და შესრულებით იგი X—XI სს .მიჯნას არ გასცდება.

части по южному и северному фасадам. Восстановление багатой фасадной разбивки дает обработку аркатурной на парных полуколонках — «по пяти декоративных арок с южной и северной стороны». Н. П. Северов и Г. Н. Чубинашвили, Кумурдо и Никорцминда, стр. 15.

[37] ეღარო ღერო, როგორც აღენიშნეთ, აბსიდის კუთხის კაპიტელისა და სამხრეთი ფასადის სვეტის ზემოთ მოთავსებული თარხნის ჩუქურთმაში გვაქვს მხოლოდ.

[38] აღმოსავლეთის ფასადის კარნიზი (ტაბ. 2—4, 20), აღმოსავლეთ ბოძის აღმოსავლეთი სვეტისთავი (ტაბ. 1—2), სამხრეთ სტოას თაღედის სვეტის ბაზა (ტაბ. 2—2,29, 30).

[39] რ. შ ე ვ ე ლ ი ნ ბ ი, ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, თბილისი, 1954 (ტაბ. 49), მარყუჟანა ფრაგმენტი, პირველ რიგში.

სამხრეთი ფასადის თაღედის სვეტის ბაზის შემამკობელი ჩუქურთმა (ტაბ. 1—2, 29, 31) ლენტოვანი წნულისა და მცენარეული მოტივის კომბინაციას წარმოადგენს. ორნამენტი თავისებურია. აქ ჩვენ ცალმხრივი წნული გვაქვს, მაშინ როდესაც, ჩვეულებრივ, გავრცელებულია ორმხრივი წნული შიგნით მიმართული ფოთლებით[40]. ფოთოლიც გავრცელებული ფოთლისაგან განსხვავდება. ფოთოლი ბოლოში (თუ კარგად გავარჩიეთ — ბაზა ძალიან არის დაზიანებული) თითქოს სამი „ფურცლით" მთავრდება. შესაძლებელია, ერთი ფურცელია, რომელიც დაღარულია ორი ძარღვით. ფოთოლთა შუა მცირე სამკუთხედები (ჩუქურთმის ქვედა ნაწილში) შევსებულია მცირე ზომის მარტივი ფოთლებით (ესეც კარგად არ ირჩევა), რომლებიც არ არიან გადაწნული ლენტით და ცალკეულ ელემენტებს წარმოადგენენ. ფოთლის კონტური ძალიან ელასტიკური და მოხდენილი ჩანს. სამწუხაროდ, ორნამენტი ძლიერაა დაზიანებული, ცხადია, იგი ხარისხობრივად არ ჩამორჩებოდა სხვა ჩუქურთმას. აქაც პარალელი არ მოიძებნა. მსგავსი (ზედა ფოთლისათვის) ჩუქურთმა გვაქვს კვლავ ბაგრატის ტაძრის დასავლეთი კარიბჭის ფრაგმენტებში[41]. ბაზის ჩუქურთმის თავისებურება ოსტატის სიახლის სიყვარულს შეიძლება მივაწეროთ.

ზედა ვარძიის აღმოსავლეთი ფასადის ლავგარდანი, გადარჩენილი ფრაგმენტის მიხედვით, ორი უთანაბროუბეებიანი კლაკნურის თავისებურ კომბინაციას გვაძლევს (ტაბ. 2—6,20). კლაკნურის მცირე უბეები ერთმანეთს უახლოვდებიან და ნასკვს კრავენ, დიდი ერთმანეთისაკენ მიმართული უბეები კი წრესთან მიახლოებულ ოდნავ ოვალურ მრუდს ქმნიან. კლაკნურის ღერო ერთღარიანი ლენტია. სხვა ამგვარი ორნამენტისაგან განსხვავებით, ორივე კლაკნურის ფოთლები ერთიმეორის საწინააღმდეგო მიმართულებით იშლებიან. ამასთანავე, ფოთოლი კლაკნურის ღეროს სცილდება, მარტო უბის შიგნით არ იშლება, მისი ზედა ფოთოლი ერთგვარად ღეროს გაგრძელებას წარმოადგენს, ფარავს მას და მოხდენილად გაშლილი ბოლოთი ავსებს კლაკნურის მცირე უბეების აქეთ-იქით დატოვებულ სამკუთხედ არეს. დანარჩენი ფოთლები კი უბის შიგნით ერთმანეთს უპირისპირდებიან. ღერო ზედა ფოთლის ბოლოსისევ ჩნდება — ფოთლის ქვევიდან გამოდის და იმავე ელემენტს იმეორებს კლაკნურის შემდგომ მონაკვეთზე. თუმცა ასეთი ფოთოლი სხვა კლაკნურ ჩუქურთმაშიაც არის ცნობილი (პატარა ონი), მაგრამ ორკლაკნურის კომბინაციურ ჩუქურთმაში ასეთი სახით არ შეგვხვედრია. ჩვენთვის ცნობილ ძეგლებში ყვავილი თუ ფოთოლი მთლიანად კლაკნურთა უბეებით შექმნილ წრეებს შიგნითაა მოთავსებული და ყველა ერთი რომელიმე მიმართულებით მიმართება. ზედა ვარძია კლაკნურ ჩუქურთმათა გარკვეულ თავისებურებას ამჟღავნებს. იგი, როგორც ზემოთ იყო აღწერილი, დაკანონებულ წესს არ ექვემდებარება. მისი შესრულების ტექნიკა სავსებით შეესაბამება ზედა ვარძიის სხვა ჩუქურთმათა შესრულებას. აღებული მასშტაბიც გამოზომილია, არ არის დაწვრილმანებული. ორკლაკნურის კომბინაცია შიგნით მიმართული ფოთლებით (ან ყვავილით) X საუკუნიდან მოყოლებული მრავალი ვარიანტით გვხვდება საუკუნეთა მანძილზე, ძირითადად კარ-სარკმელთა საპირეებსა და

---

[40] ორმხრივი წნული შიგნით მიმართული ფოთლებით XI საუკუნიდან მოყოლებული ჩუქურთმის გავრცელებული სახეა, XIII საუკუნისათვის კიდევ უფრო მეტ გავრცელებას პოულობს. მას მრავალგვარი ვარიანტით ვხვდებით კარ-სარკმლების მოჩარჩოებასა და კარნიზებში.

[41] რ. შ მ ერ ლ ი ნ გ ი, ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, ტაბ. 49. ქვემოდან მეორე რიგში, მარცხენა ფრაგმენტი.

ლავგარდანში იხმარება. ჩვენს ჩუქურთმაში ფოთლის მოქნილობა და სისხარტე, მისი მიდრეკილება, რაც შეიძლება მეტად შეავსოს მიწარი. მისი შესრულების მანერაც X ს. მიწურულისა და X—XI ს. მიჯნის ფარგლებში რჩება. თავისი გადაწყვეტის თავისებურებით კი ამდიდრებს ამ რეპერტუარს.

ეკლესიაში შესასვლელი სამხრეთის კარი დიდი ზომის ბალავრის ქვითაა გადახურული. დიდი ზომის ბალავრის ქვა გამოიყენებოდა ყოველთვის — ადრეულ ხანაშიც და შემდეგშიაც, უფრო მეტად კი X—XI სს. იგი იყო სადა, ყოველგვარი სამკაულის გარეშე ან რაიმეთი აქცენტირებული — ჯვრით, ვარდულით, წარწერით ან მთლიანი რელიეფური კომპოზიციითაც. X ს. მეორე ნახევარში ვხვდებით რთულ კომპოზიციებს, სადაც გაფორმების ერთ-ერთ კომპონენტს წარწერა წარმოადგენს. ზედა ვარძიის სამხრეთი შესასვლელი შემკულია სწორკუთხოვანი ფართო ჩარჩოთი. ზედა წირთხლის ცენტრში განედლებული ჯვრის რელიეფური გამოსახულება და მის აქეთ-იქით კიდურყვავილოვანი ასოებით ამოკვეთილი წარწერაა მოთავსებული (ტაბ. 4, 33, 34). ღიობის გარს შამოვლებულია სადა ლილვი, რომელსაც გასდევს რკალად ჩაჭრილი განიერი ორნამენტით დაფარული ზოლი, შემდეგ სამი გრეხილი ლილვი, რომლებიც ანყოლებიდან კედლის სიბრტყეზე გადასვლას ახორციელებენ, დაბოლოს, სწორკუთხოვნად ჩაჭრილი მცირე ღარი ბრტყელი ღილების მწკრივით. სამივე გრეხილი ლილვი ქოთნისმაგვარ ბირთვებზე დგას, ბირთვების ბაზა კი სამხრეთ სტოას ცოკოლის მეორე საფეხურზეა დადგმული. აღმოსავლეთი მხრის ბირთვები ჩამოტეხილია. ღილებიანი მწკრივი ბაზამდე ჩადის. ზემოთ, ჩარჩოს ცენტრში ღილების მწკრივი შეწყვეტილია განედლებული ჯვრით. შესასვლელის სამკაულის ასეთი კომპოზიციური გადაწყვეტა (სწორკუთხა ჩარჩო) X—XI სს-თვის უკვე ჩამოყალიბებულია[42]. რაც შეეხება საპირის ორნამენტულ მოტივს[43], მისი სახესხვაობანი საქართველოში საკმაოდ გვხვდება და, როგორც სამართლიანად აღნიშნავს რ. შმერლინგი, ერთმანეთისაგან მცირეოდენად განსხვავდებიან[44].

ზედა ვარძიის ზენარიანი ჩუქურთმა[45] (სურ. 34, ტაბ. 33, 35, 36) თავისი სახეობითა და დახვეწილობით ყველაზე მეტად ხცისის სარკმელსა და იშხნის ლავგარდანს უახლოვდება. მისი ზომიერი სიღრმით ნაკვეთი მოქნილი ფოთლები მჭიდროდ ავსებენ მათთვის განკუთვნილ ზოლს, თავისუფალი სამკუთხედები შევსებულია ანყოლებზე — ხუთყურა და ზედა წირთხლის ქვაზე — სამყურა ფოთლით. ამ ჩუქურთმისათვის განკუთვნილი ზოლი, თავის პროფილის გამო (რკალად ჩაჭრილი), მეტ მოხდენილობასა და სიცოცხლეს ანიჭებს ფოთოლთა მწკრივს. ამავე დროს, ზედა ვარძიის ფოთოლს მეტი უშუალობა ახასიათებს.

---

[42] ც. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, პორტალები ქართულ არქიტექტურაში, თბილისი, 1955.

[43] «В рисунке он представляет собой тот S-образный узор который| сохранил в изгибах своих завитков и рисунке их листвы нечто от живой свежести и гибкости растительного побега (рис. II)... Такая редакция S-образного орнамента сосуществует с геометризованным S-образным рисунком на протяжение не более четверти века, обрываясь около 20-ых годов XI века, с тем, чтобы более никогда не появляться в репертуаре грузинской архитектурной орнаментики» (Р. Ш м е р л и н г, Самтавро, памятник XI века, ქართული ხელოვნება, I, 1942, გვ. 61.).

[44] «— встречается обычно слегка варьируясь в деталях, и оставаясь все той-же в основной структуре своего легкого, рассыпающегося изящными листями, побега», (რ. შ მ ე რ ლ ი ნ გ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 61).

[45] S-ისმაგვარ ორნამენტს ქართული ხელსაქმის ნიმუშებში „ზენარიანი“ ეწოდება. ტერმინი მოგვაწოდა ირ. ს ო ნ ღ უ ლ ა შ ვ ი ლ მ ა.



სურ. 34. ზენარიანი ჩუქურთმა.

მასაც ნაკლებ სდევს ორნამენტის იერი. მისი შემადგენელი ელემენტები, შიგნით მოქცეული მესამე ფოთლის შიგა პირის მოყვანილობის გამო, უფრო მჭიდროდაა ერთმანეთთან მისული, ვიდრე ეს ხცისში და სამთავროში გვაქვს (სურ. 34, ტაბ. 33, 36). ამასთანავე, მას ისევე როგორც ბედიის კარის ტიმპან-



სურ. 35. განედლებული ჯვრები.

ში, არა აქვს დამატებითი მეოთხე ყლორტი, რომელიც ხცისსა და სამთავროში ემატება ფოთოლთა ჯგუფს გარედან და. რომელიც თავისი მომრგვალებული ბოლოთი ავსებს გარე თავისუფალ სამკუთხედებს. შეიძლება, მეტი სიმჭიდროვის და მეოთხე ყლორტის უქონლობის გამო, ზედა ვარძიის ჩუქურთმა უფრო ადრეულად მიგვაჩნია, ვიდრე სამთავროს, ხცისის და სხვა ძეგლთა ჩუქურთმა. ღილების მწკრივი, გრეხილი ლილვები და ბირთვები X—XI სს. ძეგლების დამახასიათებელია.

კარის ბალავრის ქვაზე გამოქანდაკებული განედლებული ჯვარი ორღარიანი ლენტოვანი ზოლით არის მოწნული. ჯვარს ქვედა ნაწილში ორი განედლებული შტო აქვს. მეორე — ქვედა შტოს გაყოფის ადგილას ქვემოდან მარცვლოვანი (ყურძნის) ნაყოფი ეკვრის (სურ. 35, ტაბ. 4, 33, 34).

განედლებული ჯვარი ქრისტიანულ ხელოვნებაში IV—VI საუკუნეებიდანაა ცნობილი, საქართველოში ძველთაგანვე გავრცელებული ყოფილა. ხშირად განედლებულ ჯვარს კარის ბალავარზე ან სარკმლის სართავი ზედანის ქვაზე (ან მის მახლობლობაში) ეხვდებით: ფასადის სიბრტყის გამაფორმებელ სამკაულში, ფასადის შემთხვევით ადგილზე და ზოგჯერ შენობის შიგნითაც. ხშირად იგი დამოუკიდებელი დამამშვენებელი ელემენტის როლს ასრულებს, ზოგჯერ კი ჩუქურთმათა საერთო ანსამბლშია ჩაქსოვილი. ბუნებრივია, რომ ჯვარი თავისი მდებარეობისა და დანიშნულების მიხედვით მეტ-ნაკლებად გამოიყოფა და ხაზს უსვამს ამა თუ იმ ადგილის მნიშვნელობას. ქართულ ძეგლებში გვხვდება განედლებული ჯვრის გამოსახვის სამი სახე: ა) ერთი წყვილი განედლებული შტოთი, ბ) ორი წყვილი განედლებული შტოთი და გ) ოთხივე მკლავიდან სიმეტრიულად ამოსული ორ-ორი ფოთოლით, რომლებიც ჯვრის მკლავებს შორის დარჩენილ არეს ავსებენ. ჯვარი ადრეულ ძეგლებში მხოლოდ ერთი ან ორი წყვილი შტოთი გვხვდება. მოგვიანო ძეგლებში კანტიკუნტად გვხვდება გადაწყვეტის პირველი ვარიანტი — ერთ წყვილი განედლებული შტოთი (მაგალითად, გუდარეხი — სამრეკლო), მაგრამ მათ განედლებული ჯვრის დამახასიათებელი ნიშანი, შეიძლება ითქვას, დაკარგული აქვთ. X—XI საუკუნეებისათვის განედლებული ჯვრის გამოსახვის სამივე ვარიანტთან გვაქვს საქმე და, უნდა აღინიშნოს, რომ მესამე სახე რაოდენობრივად ჭარბობს დანარჩენს. თავისი გაფურჩქვნილობით იგი ამ საუკუნის მოთხოვნილებას უფრო შეესატყვისება. ჯვრები ორი წყვილი განდელებული შტოთი X ს. დასასრულის და XI საუკუნის I მეოთხედის შემდეგ თითქოს არ გვხვდება.

ადრეულ ძეგლებზე ჯვრის ზედაპირი სადაა ან ღარები ჩასდევს ღერძთა მიმართულებით. შემდეგში, ღარების გარდა, ლენტოვანი წნულიც გვხვდება ვალეს, ეხვევის, იშხანის, ბედიის, ზემო კრიხის და სხვა ჯვრებში. წნულში გამოყენებული ლენტი სხვადასხვაგვარია: ხან ერთღარიანი (ვალე), ხან ორღარიანი (ეხვევი, ბედია); ხან ლენტის დასერვა ღარით უთანაბროდ ხდება (იშხანი — გურგენის ეკლესია), შუაში — ფართო აქეთ-იქით — მცირე მონაკვეთები. უნდა აღინიშნოს, რომ ლენტოვანი წნული ჯვრების ზედაპირზე X საუკუნიდან ჩნდება და გამოყენებულია როგორც განედლებული, ისევე ჩვეულებრივი ჯვრებისთვის (კუმურდო, პარხალი, ვალე, ერედვი, ხცისი).

ზედა ვარძიის ჯვარი, ისევე როგორც იშხნის (1006 წ. გურგენის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადის სარკმლის ზემოდან მოთავსებული) და ეხვევის (X—XI სს. ჩრდილო პორტალის ტიმპანში) ჯვრები, საერთო ხაზებში მსგავსებას ამჟღავნებენ ჯერ კიდევ VII საუკუნის წრომის სამხრეთ კარის ტიმპანში მოთავსებულ ჯვართან და სამხრეთ ფასადის კეხთან მოთავსებულ ჯვართანაც[46], სამივეს ინდივიდუალური და თავისი დროის მკაფიოდ გამოსახული ნიშნებიც აქვთ. სამივე ფართომკლავებიანია, სამივეს მკლავების ზედაპირი ლენტოვანი წნულითაა მოწნული. იშხანსა და ეხვევში გამოყენებულია ორმხრივმარყუჟებიანი წნული, ზედა ვარძიაში კი — მარტივი წნული (სურ. 35). ეხვევში ორღარიანი (ლენტოვანი) ვიწრო ზოლი გვაქვს, იშხანში — ასევე ორღარიანი ვიწრო ზოლი,

---

[46] Г. Н. Чубинашвили, Цроми, Москва, 1969, Стр. 38.

მხოლოდ უთანაბრო მონაკვეთებით. ზედა ვარძიაში, მართალია, ზოლი ორღარიანია, მაგრამ მათგან განსხვავებით ზოლი ფართოა და მისი წნულიც ცალფაა, მარტივია. განსხვავებულია აგრეთვე ჯვრის მკლავების დამთავრებაც. ზედა ვარძიის ჯვრის მკლავების ბოლოში, ლენტის შემობრუნებისას, წვეტი იქმნება[42], განსხვავებულია განედლებული შტოს გადაწყვეტაც. იშხანსა და ეხვევშიც შტო ფოთლად იშლება, ამასთანავე, თუ პირველი — ზედა შტო — გარეთაა მოქცეული, მეორე — ქვედა — შიგნით, ჯვრისკენაა შემობრუნებული. ზედა ვარძიაში ორივე შტო ორღარიანი ლენტითაა მოწნული, რომელიც ჯვარზეა გამოყენებული, ორივე გარეთაა მიბრუნებული, წრე მარყუჟს შემოხაზავს და იქვე მთავრდება. საინტერესოა, რომ პირველი შტო (ზედა წყვილი) ჯვრის ლენტოვანი წნულის გაგრძელებას წარმოადგენს. მარჯვენა დამამთავრებელი ლენტის მარყუჟის ზემოდან გადმოდის, მარცხენა კი მარყუჟის ლენტის ქვეშაა გატარებული. ზედა შტო ჯვრის ლენტოვანი წნულის გაგრძელებაა. აქ შეიძლება აღინიშნოს, რომ თუ პირველი ზედა შტოს ორღარიანი ლენტის ღერძს გავყვებით (მარცხნიდან ან მარჯვნიდან), შტოც და ჯვარიც ხელის აუღებლად მოიხაზება. ქვედა შტო ზედა შტოს მონახაზს იმეორებს უფრო შემცირებული ზომით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაყოფის ადგილიდან ყურძნის მტევანი (თუ კუფხალი) არის დაშვებული (სურ. 35). იშხანსა და ეხვევში ჯვრის მკლავების წნული ასევე ხელის აუღებლად შეიძლება მოიხაზოს; მხოლოდ იგი შეკრულია და განედლებულ შტოებზე არ გადადის.

ზედა ვარძიის შტოთა გამოსახვა განსხვავდება იშხანის, ეხვევისა და სხვა ცნობილი ჯვრებისგან. უფრო გასაგები და შეიძლება შესაფერი ყოფილიყო, რომ აქაც გაფოთლილი შტო გვქონოდა, რაც ერთგვარად უპასუხებდა კარის ჩარჩოს მცენარეულ ჩუქურთმას. იქნებ სწორედ ჯვრის მოხაზულობის ჩარჩოსთან დაპირისპირება უნდოდა ავტორს და წნულის შემწეობით მეტად გაუსვა ხაზი? ამას გარდა, ჯვარი კედლის სიბრტყიდან წინ არის ცერად გამოწეული (ზემოთ მეტად — 3,5 სანტიმეტრით, ქვემოთ ნაკლებად — 2,5 სმ). ასეთი წინ წამოწევა ჯვარს სკულპტურულობას ანიჭებს და ასხვავებს მას იმ ჯვრებისაგან, რომლებიც, ჩვეულებრივ, კედლის სიბრტყეში არიან ნაკვეთი, როგორც ყველა ჩუქურთმა და ამიტომ უფრო ორნამენტულ ხასიათს ატარებენ. ჯვრის გამოწევით შექმნილი ჩრდილი კარგად უსვამს ხაზს მის საერთო კონტურს, რომელიც თავის მხრივ ლენტოვანი წნულითაა დაფარული. იგი ხაზგასმით კარის ჩარჩოს დამაგვირგვინებელ კომპონენტად არის წარმოდგენილი. ამგვარადვეა გადაწყვეტილი (სურ. 35) იშხანის, გურგენის ეკლესიის (1006 წ.) აღმოსავლეთ ფასადის სარკმლის სამკაულის „რთული" კომპოზიციის დამაგვირგვინებელი ჯვარიც; იგი სარკმლის ჩარჩოს ზემოდანაა დადგმული, თარაზულმკლავებიან თავსართზე, ცენტრში, და ამ თავსართის სიგანეზეა კედლიდან წინ გამოწეული. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ასეთი კედლის სიბრტყიდან საკმაოდ ძლიერად წინ გამოწეული რელიეფი (ფრინველის, ადამიანის და სხვა) ახასიათებს X საუკუნის მეორე ნახევრის, X—XI საუკუნეთა მიჯნის სხვა ძეგლებსაც (ოშკი, ხახული და სხვა...). ამგვარად, ზედა ვარძიის ოსტატი, ისევე როგორც იშხანის, გურგენის ეკლესიის ავტორი, ადრე ცნობილი ჯვრის ფორმას იღებს, მისთვის

---

[42] მკლავების ამგვარ დამთავრებას მოგვაგონებს პარხალის დასავლეთი სარკმლის თავსართის შუაში მოთავსებული სადა ლენტით მოწნული ჩვეულებრივი ჯვრის მკლავების დაბოლოება. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, 1917 წ. არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში. თბილისი, 1952 ტაბ. 141.

მახლობელ სკულპტურულ გადაწყვეტილებას მიმართავს და ამავე დროს, უკვე ცნობილი ლენტოვანი წნულით ამკობს ჯვრის ზედაპირს, რითაც თავის გემოვნებას ამჟღავნებს

მთავარი ნავის სამხრეთ კედელზე სართავი თაღის იმპოსტები, დასავლეთის კედლის მზიდავი თაღის თარხანი და სამხრეთ სტოას აბსიდის ჩრდილო კუთხის იმპოსტი — წარმოადგენენ პროფილირებულ მცირე ზომის პარალელეპიპედებს, რომელთაც ზედა ზოლში ბრტყელი ღილები აქვთ ჩამწკრივებული, ქვედა ზოლს კი ფესტონების მწკრივი ქმნის. მთავარი აბსიდის სამხრეთი იმპოსტი მხოლოდ ფესტონების მწკრივითაა შემკული, ფესტონები გვაქვს იშხნის დასავლეთ პილონის კაპიტელში, გვხვდება ხახულის, ოშკის კაპიტელებშიც. ღილების მწკრივის ცალკეულ მაგალითებს ეხვდებით ოშკის და იშხნის პილონების ბაზებში. ღილებისა და ფესტონების მწკრივის ერთდროულად ხმარების მაგალითები გვაქვს ტბეთის სვეტის ბაზაში (X ს.), იშხნის აღმოსავლეთ პილონის კაპიტელში და მის გარე დეკორატიული თაღების კაპიტელებშიაც. ზედა ვარძიის იმპოსტის ხასიათისაა კუმურდოს სამხრეთ კარის (სამხრ. მინაშენი) აღმოსავლეთ პილასტრის ფესტონებიანი კაპიტელი. ინტერიერში ფესტონების და ღილების მწკრივთა ერთად თუ ცალ-ცალკე გამოყენებას ვხვდებით X საუკუნის II ნახევარში, X—XI საუკუნეთა მიჯნაზე და XI საუკუნის პირველ მეოთხედში.

დასასრულ შევეხები ახლად აღმოჩენილ სვეტისთავს (სურ. 33, ტაბ. 31—33). იგი პარალელეპიპედს წარმოადგენს, რომელსაც ოთხივე მხარეს მრუდედ ჩათლილი ქიმები აქვს, მათ ზედაპირზე ნუშისგულის ფორმის „ფიგურებია" ამობურცული. სწორი შვეული ზედაპირი კი დაფარულია ლენტოვანი წნულით. მასაც, ისევე როგორც ძეგლზე შემორჩენილ მეორე სვეტისთავს, ქვევიდან გრეხილი „ეხინი" აქვს და ჩუქურთმა მხოლოდ სამი მხრიდან ამკობს. სვეტისთავი დაზიანებულია. ჩამოტეხილია ნაწილობრივ სამკუთხა ქიმებზე მოთავსებული ნუშისგულები და ჩამოთლილია მარჯვენა კუთხე, გვერდითი ჩუქურთმის ერთი მესამედი. სვეტისთავის დაახლოებით ამგვარი ფორმა — პარალელეპიპედი — ოთხივ კუთხით სეგმენტურად ჩაჭრილი ქიმებით, ადრეულ ძეგლებში (VI—VII სს.) არაერთხელ გვხვდება (სურ. 36). სვეტისთავის ძირითადი სიბრტყე შვეულია დახრილი ან ოდნავ მრუდშეზნექილი. ქიმები ბრტყლადაა ჩაჭრილი ან მრუდედ ამასთანავე, ეს ჩაჭრილი სამკუთხედები — ქიმები — ხან სადადაა დატოვებული, ხან მოჩუქურთმებულია (სურ. 36—1,5), ხან ამობურცული, რაიმე ფიგურაა ზედ გამოკვეთილი — ბურთული, ნუშისგული და სხვა (სურ. 36—2, 4, 6, 7)[48]. ამგვარი ხასიათის მოცულობითი ამობურცულობანი სვეტისთავის ძირითად სიბრტყეზეც გვხვდება, მაგ., საროში, ერედვში და მეტადრე ბრეძაში[49], სადაც ამგვარი ამობურცულობანი სვე-

---

[48] რ. მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი, „ვალეს ტაძარი და მისი აღშენებლობის ორი ძირითადი პერიოდი", ქართული ხელოვნება, ტ. 3, თბ., 1950 გვ. 35 სურ. 9, 10; თელოვანი (ინვ. № 309), ბრეძა (ინვ. № 419) — ეს კაპიტელები დაცულია ს. მ. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

[49] საროს (ასპინძის რაიონი). აზომილია ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლების მიერ, ნახაზები დაცულია საქ. სახ. მუზეუმის სპელეოლოგიურ განყოფილებაში.

რ. მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი, ერედვი 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება 4, თბილისი, 1955 ტაბ. 5:

ბრეძის სვეტისთავი (ინვ. № 418) დაცულია ს. ანაშიას სახელობის საქ. სახელმწ. მუზეუმში.



სურ. 36. სვეტისთავები.

ტისთავის თითქმის მთელ ფრონტს იკავებს. ამობურცულობანი ქიმებზე უცხო არ არის X—XI საუკუნეთა მიჯნის ძეგლებისთვისაც. X—XI საუკუნეთა მიჯნის ძეგლებში სვეტისთავის ძირითადი სიბრტყე უფრო ხშირად მცენარეული ორნამენტული წნულით ივსება და ქიმებზეც გვაქვს ხოლმე მცენარეული მოტივები, მაგ., ხეითი, აჩაბეთი, ბაგრატი[50]. ზოგიერთი სვეტისთავი მთლიანად ცხოველური რელიეფითაა დაფარული[51].

ზედა ვარძიის სვეტისთავი (როგორც აღვნიშნეთ) სამი მხრიდან ხალიჩისებრი წნულითაა დაფარული, მეოთხე ჩრდილო მხარე სადაა, როგორც გვაქვს

[50] Р. Меписашвили, В. Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинции Грузии—Шида Картли, Тбилиси, 1975, с. 76/1,2; Н. П. Северов, Памятники грузинского зодчества, Москва, 1947 г., таб. 103, 104.

[51] ვ. ცინცაძე, ბაგრატის ტაძარი, 1964, სურ. 26.

მეორე სვეტისთავზე. წნული ერთნაირი ხარისხით არაა ნაკვეთი. წინა ფასადური მხარე გულდასმით და წესიერად არის შესრულებული (ტაბ. 30), გვერდითი სიბრტყეები კი — მდარედ (ტაბ. 31, 32). დაუდევარი შესრულების გამო სხვადასხვაგვარად გამოიყურება. წნულის ლენტი იცვლება — ხან ორლარიანია, ხან სამლარიანი, ზოგჯერ ერთლარიანიც კი (ქვედა ნაწილში). მას პირველი სვეტისთავის მონახაზისგან განსხვავებით არა აქვს მაორგანიზებელი ჩარჩო ან ზოლები, რაც, როგორც წესი, ახასიათებს სხვა ცნობილი ძეგლების სვეტისთავებს. პირველი სვეტის მარტივი მოცულობითი გადაწყვეტა, მასზე ამოკვეთილი შესაფერისი, მკაფიოდ შესრულებული ჩუქურთმა არ უკარგავს ქვას ფაქტურას, მეორე სვეტისთავის სიბრტყეები კი ერთგვაროვანი მჭიდრო წნულით დაფარული, ყოველგვარი ჩარჩოს ან მაორგანიზებელი ზოლების გარეშე, დუნეა[52], მეტადრე გვერდითი სიბრტყეები, რომლებიც შესრულების დაბალი დონის გამო დაძაბუნებულად გამოიყურებიან. ეს გვაფიქრებინებს, რომ სვეტისთავი (ყოველ შემთხვევაში გვერდითი სიბრტყეები) უფრო გამოუცდელი ხელითაა შესრულებული, ნაჩქარევად არის ნაკვეთი, მიფუჩეჩებულია (ტაბ. 32—2,3). სვეტისთავის მჭიდრო ხალიჩისებრი წნულის მიახლოებულ პარალელს თითქოს ვხედებით მხოლოდ ოშკის ჰილონების — ბოძების — ბაზებში და პარხალის სარკმელში (ზედანის ბრტყელი ეღარებო ლენტით მოწნული ნაწილი)[53]. მისი სიმჭიდროვე გვაგონებს კუმურდოს სამხრეთი ტიმპანის ჩუქურთმას. ამგვარი სიმჭიდროვე იგრძნობა ზემო კრიხის ზოგიერთ ჩუქურთმაშიც.

ამგვარად, ზედა ვარძიის ორნამენტული სამკაულის განხილვისას ირკვევა, რომ ზოგიერთი გამოყენებული ორნამენტი ან ზოგი მათგანის სახეობა გვხვდება როგორც X საუკუნის დასასრულს და X—XI საუკუნეებში, ასევე მომდევნო ხანაშიც. რამდენიმე სახის უშუალო შესატყვისი არა გვაქვს, მაგრამ მათი ელემენტებიცა და შესრულების მანერაც დროის ამავე ფარგლებში ექცევა. უმეტესი მათგანი კი გარკვეულად X—XI საუკუნეების მიჯნას არ სცილდება. ასე რომ, ორნამენტის ანალიზი, სამკაულადის განაწილება და კომპოზიცია, თვით ჩუქურთმის სახეობა, კვეთის ხერხი იმაზე მიუთითებს, რომ ძეგლის აგების ყველაზე მიახლოებულ და დამაჯერებელ თარიღად X საუკუნის დასასრული, X—XI საუკუნეების მიჯნა უნდა მივიჩნიოთ.

---

[52] ამგვარი წნული გვაქვს, მაგალითად, „ბერის საყდრის“ სარკმლის მოჩარჩოებაში. აქაც ჩარჩო მაორგანიზებელი ზოლის გარეშეა ნაკვეთი. იგი მხოლოდ სარკმლის ქვის ფილის ზომებით იფარგლება და ერთგვარად მოდუნებულია.

რ. მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი, ბერის საყდარი, ქართული ხელოვნება, ტ. 7, 1971, გვ. 101. სურ. 6. ტაბ. 26.

[53] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბილისი, 1952, ტ. 64, 65, 142.

დასკვნა

ასპინძის რაიონში (ჯავახეთში), ვარძიის გამოქვაბულთა კომპლექსის ჩრდილო-დასავლეთით, ზედა ვარძიის ხევის ზემო ნაწილში მდებარე სოფელს (ამჟამად ნასოფლარს) ზედა ვარძიას ამშვენებს განვითარებულ შუა საუკუნეებში აგებული ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. ეკლესია ორი ხევის (ზედა ვარძიასა და გიორგი წმინდის ხევების) შესართავთან, კლდის ძირას ხელოვნურად მოსწორებულ და გამაგრებულ მოედანზე არის აგებული და სოფელში შესვლისთანავე იქცევს ყურადღებას.

ეკლესია ორსაფეხურიან ცოკოლზე დგას. მოპირკეთებულია როგორც გარედან, ისე შიგნიდანაც კარგად თლილი და მჭიდროდ მორგებული კვადრებით. გადახურულია ორქანობიანი სახურავით. ყურადღებას იქცევს სამხრეთი სამთაღედით შემკული სტოა, რომელიც მთავარ ნავს კარით უკავშირდება. ძეგლის განხილვისას მოშველიებული ამგვარი ეკლესიები — ქოჩალო, ახმეტა, ტაბაკინი და ორნავიანი ეკლესიები — ობოლეთი, ქილდა, დანკალი, ვანი და სხვა უფლებას გვაძლევს ზედა ვარძია ჩავთვალოთ ორნავიან ეკლესიად, რომელსაც სამხრეთით სტოა აქვს დამატებული. დასავლეთით, მინაშენი ეკლესიის თანადროული არ არის.

თუმცა გეგმისა და ფასადის გადაწყვეტა თითქოს ცნობილ ადრეულ ძეგლებს ეხმიანება, მისი ხორცშესხმა უკვე აგების დროის დამახასიათებელია. ის სიახლენი, რომელნიც ზედა ვარძიას ახასიათებენ: ორი თავისუფალი ბოძი, აბსიდის მაღალი ნიშები, ინტერიერის პროპორციები, ორნამენტით შემკული სვეტისთავები და იმპოსტები, სამხრეთი სამთაღედის პროპორციები და სტოაში გამოყენებული სამკაული (შესასვლელი კარის გაფორმება, სვეტისთავები, ბაზა, ლავგარდანი და სხვა.), აღმოსავლეთი ფასადის შემკობისადმი ახალი მიდგომა, სარკმელთა მოჩუქურთმებული საპირეები (როგორც სწორკუთხოვანი, ისევე მრგვალი სარკმლის), მოჩუქურთმებული კარნიზები და საერთოდ შესამკობად გამოყენებული ორნამენტის რეპერტუარის უმეტესობა, სამშენებლო მასალა, მშენებლობის ხასიათი, შესრულების ხარისხთან ერთად, და ზემო ჩამოთვლილთან ერთიანობაში, ზედა ვარძიას აშორებს ადრეულ ძეგლებს, X საუკუნის დასასრულისა და XI საუკუნის დასაწყისის ძეგლთა წრეში აქცევს მას.

ზედა ვარძიის სამხრეთის კარის ბალავარზე ამოკვეთილი კიდუროყვავილოვანი წარწერა, როგორც პალეოგრაფიულმა ანალიზმა დაგვანახა, თავისი სამკაულით უკავშირდება X საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის და XI საუკუნის დასაწყისის ხელნაწერთა საზენაო ასოთა სამკაულს. ეს გვაფიქრებინებს, რომ ზედა ვარძიის შემსრულებელს, იმ დროისათვის ცნობილი ხელნაწერების საზენაო ასოების სახეობა გამოუყენებია. წარწერა ნაგებობის თანადროულია. აქედან გამომდინარე, ზედა ვარძიის სამშენებლო წარწერაში მოხსენიებული ლიპარიტი, უნდა იყოს ლიპარიტ რატის ძე (ცნობილი როგორც ლიპარიტ მეო-

რე), ან ჩვენთვის ისტორიული წყაროებით ჯერჯერობით უცნობი ლიპარიტი, რომლის მოღვაწეობა X საუკუნის მეორე ნახევარს უნდა ემთხვეოდეს.

ამგვარად, ზედა ვარძიის ეკლესიის სახით ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი ორნავიანი ეკლესიის ქვეტიპი, რომელსაც სამხრეთით სტოა აქვს დამატებული.

ზედა ვარძიის მოკრძალებულად შემკული ეკლესიის განხილვისას ვხედავთ თუ როგორი მონდომებითა და კეთილსინდისიერებით არის შესრულებული ნაგებობა, როგორი სიყვარულით და დახვეწილი გემოვნებითაა შერჩეული ჩუქურთმა. იგი თავისი პროპორციებით, საამშენებლო ტექნიკით, ოსტატურად შესრულებული სამკაულით, ქართული ხუროთმოძღვრების საინტერესო და თავისებურ ძეგლს (X ს. დასასრულის, X—XI სს. მიჯნის) წარმოადგენს. თუ გავითვალისწინებთ მასალის დამუშავების სიძნელეს იმ დროის ტექნიკურ შესაძლებლობათა ფონზე, ნათელი გახდება რა ძალა და დრო მოანდომეს ოსტატმა და მუშებმა იმ ეკლესიის შენებასა და მორთვას, რომელიც დღესაც მნახველის აღტაცებას იწვევს.

ЗЕДА ВАРДЗИА

Резюме

Селище Зеда Вардзиа находится в Аспиндзском районе (в исторической провинции Грузии—Джавахети), в четырех километрах северо-западнее пещерного комплекса Вардзиа, в небольшом зеда-вардзийском ущелии (левого притока р. Мтквари).

В верхней части села, между двумя речонками, у подножия скального массива, почти примыкая западным фасадом к скале, на выровненной и укрепленной с северо-востока площадке возвышается церковь во имя Богоматери и при вступлении в селище сразу привлекает внимание зрителя.

Церковь стоит на двухступенчатом цоколе. Облицована по фасадам и в интерьере прекрасно тесаным камнем, и была перекрыта двускатной кровлей. Вход с юга через южный притвор, который общается с главным нефом дверью. Вторая дверь в главный неф была с запада. Позднее, как видно, для защиты от обвалов и камнепада, с запада пристроили небольшое глухое помещение и вторая дверь сейчас сообщается только с этой пристройкой. Из этой пристройки потаенный ход (сечение 45×80, протяженность 10 м) ведет в незаконченную по неизвестной причине пещеру (тайник).

Окна восточного фасада подчеркнуты орнаментированными наличниками, окна западного — лишены обрамления. Южный фасад украшен трехарочным входом[1]. Венчающий карниз был украшен орнаментом, при этом, рисунок орнамента, судя по фрагментам, менялся на каждом фасаде.

Привлеченный материал, при рассмотрении этого памятника, дает возможность определить тип Зеда Вардзийской церкви как двухнефную базилику с южным притвором.

Хотя решение плана, а также фасада перекликается с ранее известными памятниками (VI—VII в.в.), но воплощение характерна для конца X века, рубежа X—XI веков. Два свободно стоящих столба, высокие продольные арки, высокие ниши в абсиде, пропорции интерьера, украшенные резьбой капители и импосты, пропорция южного трехарочного входа и орнаментальный убор базы, капителей колонн, оформление южного входа, решение восточного фасада, орнаментированные оконные рамы, карнизы, большинство орнаментального репертуара, особенно, свободы и пластическая разработка растительного орнамента, четкость исполнения и т. д. вместе с каче-

[1] Двух и трехарочные входы известны с V века и на протяжении веков менялась пропорция колонн, арочного проема, а также оформление баз и капителей. К концу X, началу XI века эти пропорции достигают наибольшего изящества. Приведенные примеры (рис. 30) достаточно красноречивы.

ством строительства определяет время возведения церкви концом X — началом XI века.

Надпись, высеченная на архитраве южной двери, выполнена заглавными буквами — асомтаврули.

«Святая матерь божья, будь заступницей в день страшного суда Эриставт-эриставу Липариту, радением коего воздвигнута святая сия церковь, а также детям его. Аминь». Буквы слегка стилизованы. Они близки заглавным буквам рукописей последней четверти X и начала XI веков. Упомянутое в надписи имя Липарит — распространенное имя в историческом прошлом. К сожалению, не упомянуто отчество, нет также даты.

Исходя из художественно-стилистического анализа памятника, а также палеографического анализа надписи, ктитор должен быть Липарит II сын Рати, погибший в 1022 г., (во время царствования Георгия первого) в боях с Византией, или неизвестный, по историческим источникам Липарит, жизнь и деятельность которого приходится на вторую половину X века.

Церковь Зеда Вардзиа своими пропорциями, строительной техникой, сдержанной, изящной резьбой, исполненной с большой любовью и мастерством, представляет собой своеобразный, интересный в художественном отношении памятник грузинского зодчества конца X века, рубежа X—XI веков.

TSIALA GABACHVILI

ZEDA VARDZIA

Resume

L'ancienne agglomération, Zéda Vardzia, se trouve dans le distr d' Aspindza (dans la province historique géorgienne de Djavakhétie) à quatre kilomètres au Nord-Ouest de l' ensemble rupestre de Vardzia, dan les gorges peu profondes de l' affluent gauche de la Koura.

Dans la partie supérieure du village, entre deux petites rivières, au pied du massif rupestre, attenant presque, par sa façade Ouest, au rocher sur un terre-plein nivelé et fortifié du côté Nord-Est, s' élève une église dédiée á la Vierge et attirant, dès l' entrée dans le village, l' attentio du voyageur.

L' église se dresse sur un socle à deux étages. Elle est revêtue, sur-les façades et à l' intérieur de belles pierres de taille, et était recouverte d' un toit à deux versants. L' entrée était pratiquée du côté Sud et passait par un parvis Sud qui communiquait avec la nef centrale à l' aide d'une porte. Une autre porte, menant à la nef centrale, était pratiquée du côté Ouest. Par la suite, un petit local orbe, destiné apparemment à défendre le bâtiment contre les avalanches et les chuttes de pierres, avait été annexé du côtè Est, et la seconde porte ne donne actuellement accès qu'à ce local. Un passage souterrain (section 45 x 80, longueur 10 m) mène de cette annexe à une grotte (cachette) inachevée, pour des raisons restées inconnues.

Les fenêtres de la façade Est se distinguent par leurs chambranles ornementés, alors que les fenêtres de la façade Ouest ne sont pas encadrées. La façade Sud comportait l'entrée ornée de trois arcs[1]. L a corniche qui les couronnait était décorée d'un ornement dont le dessin, à en juger d'après les fragments, était différent sur chaque façade.

Le matériel auquel on a eu recours pour l'étude de ce monument permet de déterminer le type de l'église de Zéda Vardzia comme celui de basilique à déux nefs avec parvis Sud.

Bien que son plan, ainsi que la façade Sud soit apparentés à ceux des monuments qui nous sont connus aux VI—VII ss, l'exécution en est

[1] Les entrées à deux et trois arcs étaient répandues depuis le V s. et on observe au cours des siècles, des changements dans les proportions des colonnes et des baies des arcs, ainsi que dans l'arrangement des bases et des chapiteaux. A la fin X^e—début XIe ss., ces proportions atteignent leur plus haut raffinement. Les exemples, fournis par la planche 30 en sont une preuve suffisamment éloquente.

typiquement celle de la fin X^{e} — limite des Xe—XIe ss. Les deux piliers libres, les arcs longétudinaux haut placés, les hautes niches pratiquées dans l'abside, les proportions de l'intérieur, les chapitaux et les impostes sculptés, les proportions de l'entrée á trois arcs sur le côté Sud et le décor ornemental de la base et les chapiteaux des colonnes, l'arrangement de l'entrée Sud, la façade Est, les châssis ornementès des fenêtres, les corniches, la plupart du rèpertoire libre et plastique des ornements vêgétaux, la netteté de l'exécution, etc., alliés à la technique de la construction, permettent de dater l'édification de l'église de la fin X — début XI ss.

L'inscription gravée sur l'architrave de la porte Sud est faite en caractères majuscules, „assomtavrouli".

„Sainte Mère de Dieu, intercède le jour du Jugement dernier en faveur de l' Eristav des éristavs, Liparite, grâce au zèle duquel fut édifiée cette sainte église, et en faveur de ses enfants, Amen". Les caractères sont quelque peu stylisés. Ils se rapprochent des lettres majuscules des manuscrits du dernier quart X^{e} début XIe ss. Le prénom de Liparite, mentionné dans l'inscription, était un prénom, répandu aux temps, anciens. Malheureusement, l'inscription ne comporte ni nom patronymique, ni date.

En partant de l'analyse artistique et stylistique du monument, ainsi que de l' analyse paléographique de l' inscription, le donateur devrait être Liparite II, fils de Rati, mort en 1022 (durant le régne de Ghiorghi I) dans les combats contre Byzance, ou un autre Liparite, inconnu jusqu'à prèsent dans les sources historiques, dont la vie et l'activitè se rattachent à la deuxième moitié du X siècle.

Les proportions, la technique de la construction, la sobriété et le raffinement de la sculpture ornementale, exécutée avec un grand amour et un art perfectionné, font de l'église de Zéda Vardzia un monument original et fort intéressant au point de vue artistique dé l' architecture géorgienne, de la limite des Xe — XIe siècles.

ილუსტრაციები ტექსტში

1. გენგეგმა.
2. გეგმა.
3. სიგრძივი განაკვეთი, ხედი სამხრეთისაკენ.
4. სიგრძივი განაკვეთი, ხედი ჩრდილოეთისაკენ.
5. განივი განაკვეთი, ხედი აღმოსავლეთისაკენ.
6. განივი განაკვეთი, ხედი დასავლეთისაკენ.
7. აღმოსავლეთის ფასადი.
8. სახურავის გეგმა სხვენის დონეზე და განაკვეთები.
9. დასავლეთის ფასადი.
10. სამხრეთის ფასადი.
11. დასავლეთის მინაშენის და სამალავი გამოქვაბულის გეგმა.
12. სამხრეთი კარის ბალავრის წარწერა.
13. ამოკვეთილი წარწერის ასოთა ნიმუშები.
14. ლაპიდარული წარწერების ნიმუშები.
15. A 35 ხელნაწერის საზენაო ასოები.
16. ხელნაწერთა საზენაო ასოები X—XI სს.
17. ხელნაწერთა საზენაო ასოები X—XVI სს.
18. A 87 ხელნაწერის საზენაო ასოები.
19. H 1667 ხელნაწერის საზენაო ასოების ნიმუშები.
20. ჭედური ხელოვნების ძეგლების ასოთა ნიმუშები.
21. ასოთა სამკაულის დეტალი.
22. $K\frac{297}{509}$ ხელნაწერის საზენაო ასოები.
23. კედლის შელესილობაზე ამოკაწრული წარწერა.
24. ფრესკის ნაშთი აღმოსავლეთ ბოძის დასავლეთ საფეხურის სვეტისთავის ქვემოთ.
25. ფრესკის ნაშთი დასავლეთ ბოძის აღმოსავლეთ საფეხურის სვეტისთავის ქვემოთ.
26. ფრესკული წარწერების ასოთა ნიმუშები.
27. საღებავით მიწერილი წარწერა.
28. ორნავიანი ეკლესიები სამხრეთი სტოათი.
29. ორნავიანი ეკლესიები.
30. ორთაღედები და სამთაღედები.
31. სიგრძივი განაკვეთი სამხრეთ სტოაზე.
32. სოლისებრი ფოთლის ჩუქურთმის ნიმუშები.
33. კლაკნური ჩუქურთმის ნიმუშები.
34. ზენარიანი ჩუქურთმა.
35. განედლებული ჯვრები.
36. სვეტისთავები.

СПИСОК ИЛЛЮСТРАЦИЙ

1. Генплан.
2. План.
3. Продольный разрез, вид на юг.
4. Продольный разрез, вид на север.
5. Поперечный разрез, вид на восток.
6. Поперечный разрез, вид на запад.
7. Восточный фасад.
8. Южный фасад.
9. План на уровне чердачного перекрытия.
10. Южный фасад.
11. План западной пристройки и тайника.
12. Надпись, высеченная на перемычке южного входа.
13. Образцы букв высеченной надписи.
14. Образцы лапидарных надписей.
15. Заглавные буквы рукописи А 35.
16. Заглавные буквы рукописей X—XI веков.
17. Заглавные буквы рукописей X—XVI веков.
18. Заглавные буквы рукописи А 87.
19. Заглавные буквы рукописи Н 1667.
20. Образцы надписей памятников чеканного искусства.
21. Деталь украшения буквы.
22. Заглавные буквы рукописи $К\frac{297}{509}$
23. Процарапанная надпись на штукатурке.
24. Прорись фрески на западной ступени восточного столба.
25. Капитель западной ступени восточного столба и прорись под ней.
26. Образцы фресковых надписей.
27. Надпись черной краской на перемычке южного входа.
28. Двухнефные церкви с южным притвором.
29. Двухнефные церкви.
30. Двухарочные и трехарочные входы.
31. Продольный разрез по притвору, вид на север.
32. Образцы клинообразного орнамента.
33. Образцы орнамента.
34. Образцы S-образного орнамента.
35. Кресты.
36. Капители.

ტაბულების სია

1. სვეტისთავები.
2. ჩუქურთმიანი დეტალები.
3. აღმოსავლეთის სარკმლები.
4. სამხრეთის შესასვლელი.
5. საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.
6. საერთო ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.
7. ეკლესია სამხრეთ-დასავლეთიდან. 1941 წ.
8. ეკლესია სამხრეთ-დასავლეთიდან. 1953 წ.
9. ხედი ზევიდან, დასავლეთიდან-აღმოსავლეთისაკენ.
10. საკურთხევლის აბსიდა.
11. აბსიდის სამხრეთი მრგვალი ნიშა.
12. აბსიდის ჩრდილო იმპოსტი.
13. აბსიდის სამხრეთი იმპოსტი.
14. მთავარი ნავი, ხედი დასავლეთისაკენ.
15. მთავარი ნავი, ხედი ჩრდილო-დასავლეთისაკენ.
16. ჩრდილო ნავი, ხედი დასავლეთისაკენ.
17. პილასტრზე დარჩენილი „წიწვურის“ კვალი.
18. დასავლეთ ბოძის აღმოსავლეთი საფეხურის სვეტისთავი და ფრესკის ნაშთი მის ქვემოდან.
19. პილასტრთა კაპიტელები მთავარ ნავში.
20. აღმოსავლეთი ფასადის ლავგარდანის ფრაგმენტი.
21. აღმოსავლეთის ფასადი.
22. აღმოსავლეთი ფასადის სარკმელები.
23. დასავლეთ მინაშენის ჩრდილო კედელი შიგნიდან.
24. დასავლეთ მინაშენის სამხრეთი კედელი შიგნიდან.
25. კლდეში ჩაშენებული სამალავი.
26. სამხრეთი ფასადი.
27. სამხრეთ სტოას აბსიდა.
28. სამხრეთ ფასადის სამთაღედის ფრაგმენტი აღდგენამდე.
29. სამთაღედი აღდგენის შემდეგ.
30. სამთაღედის დასავლეთი სვეტის კაპიტელი.
31. სამთაღედის დასავლეთი სვეტის ბაზა.
32. სამთაღედის აღმოსავლეთი სვეტის კაპიტელი, მისი სამი მხარე.
33. სამხრეთის კარი.

34. სამხრეთ კარის ბალავარზე ამოკვეთილი წარწერა.

35. ხელი სამხრეთ კარიდან მთავარი ნავის ჩრდილო-აღმოსავლეთ ბოძზე.

36 $_1$. კარის ჩარჩოს დასავლეთი მხრის ფრაგმენტი.

36$_2$. კარის ჩარჩოს აღმოსავლეთი მხრის ზენარიანი ჩუქურთმის ფრაგმენტი.

ფოტოსურათები 1988—1980 წლებშია გადაღებული: ი. პამფილოვის, ი. გილგენდორფის, ვ. ხეთაგიშვილის, გ. გაბაშვილის, გ. გაფრინდაშვილის, ხ. შიმანსკის, რ. მეფისაშვილის, ვ. ცინ-ცაძის, ი. პინაევის მიერ.

ცხრილები

ТАБЛИЦЫ

1



2









7



8





11

12



13

15



16



17

18

19



20



21



22



23

24



26



27



28

29





31



32_1

32_2

32_3







36₁





36₂

შინაარსი

შესავალი . . . 3
თავი პირველი. ძეგლის აღწერა . . . 7
თავი მეორე. ძეგლის ისტორია . . . 23
1. სამხრეთი კარის ბალავარზე ამოკვეთილი წარწერა . 23
2. ფრესკული წარწერები 44
3. სამხრეთი კარის ბალავარზე საღებავით მიწერილი წარწერა 49
თავი მესამე. ძეგლის მხატვრული ანალიზი . . . 54
1. გეგმა და შიდა სივრცე 54
2. ნაგებობის ხუროთმოძღვრული ფორმები და ფასადები 64
3. ზედა ეარძიის სამკაულები და მათი განაწილება . 71
დასკვნა 86
Зеда Вардзиа. Резюме . . . 88
Zeda Vardzia. Résume . . . 90
ილუსტრაციები ტექსტში 92
ტაბულების სია (ნახაზები, ფოტო) 94
ტაბულები 97

Циала Ревазовна Габашвили

ЗЕДА ВАРДЗИА

(на грузинском языке)

«Мецниереба»
Тбилиси
1985

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 2219

რეცენზენტები — ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატები:
ლ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი, ნ. ა ნ დ ღ უ ლ ა ძ ე

რედაქტორი ე. ბ ე რ ი ძ ე
გამომცემლობის რედაქტორი ც. თ ო დ უ ა
მხატვარი გ. ლ ო მ ი ძ ე
მხატვრული რედაქტორი მ. ხ უ რ ც ი ლ ა ვ ა
ტექრედაქტორი ც. ქ ა მ უ შ ა ძ ე
კორექტორი ნ. ფ ი ფ ი ა
გამომშვები ო. ო ს ა ძ ე

გადეცა წარმოებას 28.2.83; ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.7.1985;
ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 10.9; პირ. საღ.-გატ. 11.0
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9.0;

უე 01631; ტირაჟი 3800; შეკვეთა № 661;

ფასი 1 მან. 40 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19